ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე

ლექსადექტეული მარგალიტები

ამ წიგნის ფურცლებს ვანდე,
დღეს საიდუმლო დიდი,
ქათქათა გვერდზე დავდე
მე სიყვარულის ხიდი.
როგორ მინდოდა მეთქვა,
რას ვაჯარებდი გულით,
მსურს გიწილადთთ ყველას
ჩემი „არსობის პური".
იქნებ გამეკინწლოს ვინმემ,
ან საყვედური დასცდეს,
მადლობას ვწირავ უფალს,
რომ მოვესწარი ამ დღეს!

07.06.2014

ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე

ლექსადქცეული მარგალიტები

60

თბილისი
2014

ვუძღვნი ჩემს მშობლებს

რედაქტორი: **ალექსანდრე წოწორია**
კორექტორი: **თამარ ძაძამია**
დიზაინერი: **ვალიკო ჯუღელი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა

295 69 13;
599 20 24 13

ISBN 978-9941-0-6837-9

მე საქართველოს ერთი კუთხე ვარ

მე საქართველოს ერთი კუთხე ვარ,
ქართული მიწის ერთი ნამცეცი,
ქართული ვაზის ნორჩი ყლორტი და
ხმალი მტარვალზე გადასალეწი.
მე ჩემი ქვეყნის ტკივილი მტკივა,
მე საქართველოს დარით დავთბები,
მამა-პაპათა წმიდა სალოცავს
შეუერთდება ჩემი სანთლები.
ღმერთმა ინებოს დიდება შენი
და დაგილოცოს ქართველი ერი,
გაგისულგრძელოს გენი ქართული,
იყოს სიმღერა ახალგაზრდული!
მრავალჟამიერ, ერო მედგარო,
სულო ძლიერო, შეუპოვარო,
გიმრავლოს ძენი, სიბრძნისა მჩენი,
აღარ ენახოთ შავბნელი დღენი!
ღვთისმშობლის კალთა მარად ეფაროს,
შენს ცას და მიწას, მადლით მოსილო,
ვერას დაგაკლებს ცხრათავა დევი,
შარავანდედის წრით შემოსილო!

01.06.1996

გაიყიდა საქართველო

გაიყიდა საქართველო,
რაღა დაგვრჩა საკუთარი,
მოაშურა, მორბის ყველა,
თურქი, ზანგი თუ თათარი.
აფერადდა ველ-მინდვრები
და აჭრელდა ირგვლივ ხალხი,
დევნილთ მოთქმა უფალს სწვდება,
გაღმა დარჩა მათი სახლი.
რა იქნება ნეტა მერმისს?
ქართულს გაიგონებს კაცი?!
მოღალატეს ცხენის კუდით
ძირს ათრევდა კოლხი მაცი!
ნუთუ მართლა ჩალად გვიღირს
თითო გოჯი ქართულ მიწის?
სალოცავებს მივაშუროთ:
მცხეთას, გელათს, ილორს, ყინწვისს...
სიყვარული გადაგვარჩენს,
მზე დაგვნათის მაღალ ციდან,
მთავარია უფალს გავყვეთ,
არ გადავუხვიოთ გზიდან.
ღვთისმშობელი დაგვიფარავს,
თავის მადლმოსილი კალთით,
აღარ ვნახავთ საქართველოს
წყალწაღებულ სოფლებს ავდრით.
ცისარტყელა კვლავ იელვებს
ნიშნად ჩვენი არ გაწირვის,
შეგეწიოთ ყველას მადლი
გერგეთს აღვლენილი წირვის!

28.06.2011

დედაო ღვთისა — მზეო მარიამ

„დედაო ღვთისა
მზეო მარიამ“,
შენ ხომ დედა ხარ,
გამიგე წამით,
მე, არ მასვენებს
ფიქრი შვილებზე,
შენ დაიფარე
დღითა და ღამით.
შენ შემივედრე
ჩემი ქვეყანა,
ჩემი წარსული,
აწმყო და ხალხი,
მოიღოს ღმერთმა
კურთხევა ერზე,
რომ არ ჩაიცვას
ქართველმა თალხი.
შენი მანდილი
ეგდოს მათ შორის,
ვისშიაც ბუდობს
ეშმა და ღვარძლი,
დე, იზრდებოდეს
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი
ყველა ოჯახში
წყვილ-წყვილი ბავშვი!
შენ დაიფარე
ზეცა და მიწა,
შენ დაგვანახვე
მოყვასი ჩვენი,
შენ წარუძეხი
ქართველ ერს წინ და
მიწას განერთხას
ბოროტი მტერი!

17.07.2012

უწმინდესს

როგორც აროდეს არ დაილევა
ღრიალი თერგის,
როგორც აროდეს გამოილევა
ნისლები მთების,
როგორც აროდეს არ გაქრება
ალპებში ყვავილების ზღვა,
ასევე იყოს თქვენი
სიცოცხლე კვლავ!
ახლიდან შეუსხამთ
კლდეებს ფიჭვები
თქვენ არ გასვენებთ
ჩვენზე ფიქრები:
რას მოვიმოქმედებთ,
როგორ ვიქნებით ხვალ!
ყოველი დღე
ჩვენ გვიხარია თქვენით,
იმედი ხვალის —
თქვენი ხილვაა ამბიონზე,
ღმერთმა ძალა მოგცეთ,
კვლავ ყველას დაასწარით
ლოცვა ალიონზე!
ჩვენ თქვენთან ერთად გვინდა
ვიხილოთ გაბრწყინება
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ი ს!
თქვენი ქადაგება
გვიკვალავს გზას,
უფალს მივეგებებით
რიდით და კრძალვით,
დავუფენთ პალმის
რტოებს და ბზას!
დედა ღვთისმშობელი მოგვანიჭებს

გატანის მადლს,
ყოვლისშემძლე უფალი მოგვიხსნის
გულიდან დარდს,
თქვენი წინამძღოლობა
არ მოეშალოს სამართლმადიდებლოს,
ჩვენ წინ დაგიფენთ
უდიდესი კრძალვით —
იას და ვარდს!

04.01.2013

დარიალის ხეობა

ნისლის ზეწარი
ეფარა მყინვარს,
ბურუსში იდგა
მედგრად გერგეთი,
ჩვენ მივიწევდით
დარიალისკენ,
სად უნდ გადაწყდეს
ქვეყნის სვე-ბედი.
იქ რუსი იდგა,
დაეპყრო მიწა,
მიწა ქართული,
ხევის სამკვიდრო,
სად იყო ნეტა,
ხევის სარდალი,
თვით ხევისბერი
ნეტავ სად იყო?!
როს გადმომდგარი
მეხს სცემდა მომხვდურს,
აზანზარებდა კლდეებს სალისას,
მისი ხმა კვეთდა თხემით ტერფამდე,

ზარი გაუდის ხანჯალს რვალისას.
ახლა მის ადგილს
იჭერს ტაძარი,
სდექ, არ გაბედო!
ღვთის შიში გქონდეს,
მთავარანგელოზთ
ფრთები შეუსხამთ,
უკან დაიწით,
დაიწით, თრთოდეთ!!!
თავს დაგვფარფატებს
მტრედების გუნდი,
არ იკარგება
არცერთი წუთი,
მიდის შენება
ღვთისა სახლისა,
ჩვენ ვართ მომსწრენი
ამ დროს, ამ დღისა...
უწმინდესს ხელით
დაუწერია,
მთვარანგელოზთ
ვეება ხატი,
მთელ საქართველოს
ვეძახი: — მოდით!
ნახე, მარიამ, გიორგი, რატი?
... ნისლს აუკრიფავს
გუდა-ნაბადი,
მიიწევს ზემოთ,
გამოჩნდა ნიში.
აი, ადგილი
შიოლას მოდგმის,
გვქონდეს თითეულს
უფლისა შიში!

01.08.2012

ქალბატონ ცისანა სარდალიშვილს

მამაოს დედას

ალიონია...
შვილი ლოცულობს,
საქართველოსთვის
 აღავლენს ლოცვებს,
მფარველობას სთხოვს
 დედა-ღვთისმშობელს,
უფალს ავედრებს
 მრევლისა ცოდვებს!
ის მამაოა,
რჩეული ტაძრის,
ყველას მრჩეველი,
ყველას მკურნალი,
ამბიონიდან
მის ქადაგებას,
მუნუსხულივით
 უსმენს უფალი!
წირავს მამაო,
დასი გუგუნებს,
მრევლი ტაძარში
აღარ ეტევა,
დედა დგას,
ქალი უსათნოესი,
გული საგულეს
აღარ მეტევა!
... ნახე, გიორგი?!
მამაოს დედა,
მე იასამანს
ვამსგავსებ დიადს,
მისი თვალები,
სიკეთით სავსე,
უპოვართათვის

არ ზოგავს ხმიადს!
... დედამიწაზე
ქალი ბევრია,
ყველას არ ძალუძს
შვილების გაზრდა,
აფერუმ, ქალებს,
რომელთაც ღმერთმა
არგუნათ შვილის
ლამაზად აღზრდა.
აი, ასეთი მწამს
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო,
სადაც შერწყმია
ფსალმუნნი დილის,
ერთურთისაგან
ითხოვს დალოცვას,
ის დედა არის,
ის კიდევ შვილი!

11.04.2014

მლეთა

შემომეფეთა ალპებში
ულამაზესი ასული.
იქით „ლომისი“ მოსჩანდა,
გადაგვეშალა წარსული.
ზღვა იყო უკიდეგანო,
ყვაოდა ირგვლივ ყოილი,
ხევის შვილების მომრთველი,
ბარის არ იყო დობილი.
ვეროდეს წარმოვიდგენდი,
გავშრი, გავშეშდი, წამიერ.
„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს ‘’

მის დამწერს მრავალჟამიერ!
სალი კლდეები მეფურად,
დგანან არწივის ბუდედა,
იქით „გერგეთი“ მფარველობს,
ვერვინ გახედავს მრუდედა.
აქეთ ლომისის სალოცავს,
აუუუ, რა მადლი ჰქონია!
ამგვარი ძალის მოცემა,
მე არსად გამიგონია!
... გოგო ვიხილე წერწეტი,
კისერზე ჯაჭვი ებნია,
ღვარად გადმოსდის ცრემლები,
თავადის ქალის სეხნია.
ზოგისთვის მძიმე საოცრად,
ზოგსაც გიშერი ეხვია,
იწონებაო ცოდვები,
აქ არა სჭრიდა ხერხია.
რკინის ქალამნებს შევეხე,
ნეტავ რა ხელმა აკეთა,
დრომ ვერაფერი დააკლო,
დარჩა წარსულის სარკეთა.
... გახსენი პირი მიწისა,
იქ წვანან გმირი მამები,
ბორგავენ, ვერ ისვენებენ,
იქაც გვერდით აქვთ აბჯრები.
მათ გულზე ხარობს გვირილა
ულამაზესი, სპეტაკი,
ვინაც ღალატი გაივლოს
ეხუროს ქალის ლეჩაქი!
წმინდა მამები დღედაღამ,
დარიანში თუ ავდარში,
ახლოს არიან უფალთან,
ათენ-აღამებს საყდარში.

აი, რამ გადაგვარჩინა,
ვინ მოგვიყვანა აქამდის,
ხევის შვილები მტერს ხმალით,
ფეხით მისდევდა სახლამდის!
... ისმის გალობა მთის წვერზე,
ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,
ამ საოცრების მხილველი,
გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

19.06.2012

დავით გარეჯი

ნუში ყვაოდა, საოცარ ფერებში...
რა ნახა თვალმა?!
ის ერთი იყო იმ უდაბნოში
დედოფლის დარად!..
და მას გარს ერტყა
კლდეში ნაკვეთი დავითის ლავრა,
მე გამაოცა სიჩუმემ მკვიდრმა,
ირმების კვალმა.
ვნახე ადგილი, სად ფერფლად იქცა
ბოროტი ძალა...
დგას მოწამეთა, სად ცალ-ცალკეა
ტანი და ქალი.
მე გამაოცა წმინდა მამების
შრომამ და ძალამ,
ოდეს იდინა კლდეთა ღარებში
ნაჟურმა წყალმა.
დღესაც დგას ქიმზე
დოდოს ნაკვეთი სენაკთა რიგი,
მათ ვერაფერი ვერა დააკლო
უდაბნოს ქარმა.

... მდუმარე ფრესკებს შევავედრებ
ჩემს მიწას, ალაგს;
მაღალ ღმერთს შევთხოვ,
მათ სიახლოვეს ლოცვითა გავლას.
... ვნახე ადგილი, სად განისვენა
ნეტარმა მამამ,
ვინც მას შეეხო,
ყველა განკურნოს
ღვთიურმა ძალამ!
ყვაოდა ნუში და
მას ფუტკარი ეკვროდა სულში,
თავდავიწყებით ეტრფოდა დიადს,
ეს ის ძალაა,
რომ გაანათებს
უკუნეთ წყვიადს!

22.03.2008

მესაზღვრე ბერები

მესაზღვრე ბერები
ლოცვით იცავდნენ საზღვარს,
ქართველი დედა
სამშობლოს უზრდიდა
ცხრა ძმას,
რეკდა ზარები —
სიონს, ოშკსა და ზარზმას,
დღეს კი რა მოგვდის,
რამ აგვიბნია თავგზა?!

03.04.2008

მამათა ნატერფალზე ენძელას ეხარა

მამათა ნატერფალზე
ენძელას ეხარა,
მუხლმოყრის ადგილას —
იები ეფარა,
უდაბნოს მკაცრ კლიმატს
საოცრად ედარა,
ვითხოვდი უფლისგან —
მიმსვლელი ემრავლა!

04.04.2008

ბოლნური ჯვარი

ვაჰ, წინაპარო,
აშენე ოხვრით,
შენ ვერ იყარე
მტარვალზე ჯავრი,
იცოდი, მერეც
არ დაგვინდობდნენ,
იმალებოდა
ბოლნური ჯვარი!
შენი ნაკვეთი
ცრემლით და ლოცვით,
ხან ფეხზე დგომით
და ხანაც ჩოქვით,
ამოკვეთილი, ამოკაწრული,
წრიული რგოლი,
გულში ისარი,
მოყვასისათვის სადიდებელი,
მტრის განმგმირავი

მხოლოდ ის არი!
და ახლა, როცა
თვალდანახული
ტაძრის კედლებზე
ტყვიით დაცხრილეს,
ხელით მოგლიჯეს
და ამოჩიჩქნეს,
დაპატრონების მსურველთ
ეგონათ, წაშალეს კვალი
ქრისტიანული
დიდება უფალს,
გაიხსნა პირი,
დღეს ხილულია
მიმსვლელისათვის
ქვაში ნაკვეთი
ბოლნური ჯვარი,
ნიშანი —
ჩვენი
მ ა რ ა დ ი ს ო ბ ი ს!

17.08.2013

ტანჯია

იქ , სადაც
სულხანს
აუდგამს ფეხი,
იქ, სადაც
იდგა
დიდი სასახლე,
იქ, სადაც
სუფრა
გაშლილა დიდი,

ორბელიანებს
უსვამთ ზედაშე...
მადლობა უფალს,
ჩვენც შეგვხვდა
მადლი,
ვმთხვეოდით
დიდი
საბას ნატერფალს,
სანთლად დაიწვა
საქართველოსთვის,
არ დაუნდია
საბა ნარ-ეკალს!
... დღე იდგა მშვიდი,
ჩუმი და წყნარი,
მამების ლოცვა
აღწევდა ცამდის,
ნაძვის ხეები
ლამაზად მწყობრში,
საბას ტაძარი
მშვენება ამ დღის!
თავს გვადგა საბა,
ფეთქავდა გული,
საქართველოზე
მლოცველი მარად,
არ დაგივიწყებთ
შთმომავლობა,
მუდამ მოგიხმობთ,
წმინდანო, ფარად!

17.08.2013

წალკა, ბერთა

ჩამოქცეულმა სოფელმა შემძრა,
რა დაეტაკა — ისხარი, დელგმა?!
მათ ხომ აშენეს, იწვალ იდაგეს,
ეს რა ტკივილი არგუნათ ბედმა!
დარჩა სახლები ჭერჩაქცეულნი,
მიტოვებული, პარტახ-ეული,
ამ ადგილს მოდის ყველა სნეული,
აქ ხომ მადლია უფლის გრძნეული.
რისთვის დაიდო სათავე წყარომ,
მხოლოდ იმისთვის, ჩვენ რომ ვიხაროთ,
ვადიდოთ ქვეყნად უფალი, ღმერთი,
მხოლოდ ის არის, ის — ერთადერთი!
ამ გზით ვიაროთ, წყლით განვიბანოთ,
კალმახებს უყვართ გალობა ტკბილი,
დროა გონს მოდით, რწმენით ვილოცოთ,
ნუ, ნუღარ გძინავთ საღათას ძილით!
წმინდა ბასილი, წმინდა გრიგოლი
და იოანე უფალს შერწყმია,
მე ღვთისმშობელი ვიხილე ტაძრად,
ჩვენზე მლოცველი, ხორცი შესხმია!
მამა დოროთე აყენებს წირვას,
ბერი ტიხონი ლოცვას აშველებს,
შენ მიეც, ღმერთო, გატანის ძალა,
შენ მოუმართე ხელი ქართველებს!

26.06.2012

წალკა

წალკაში წერო
ვიხილე ბოძზე,
მზის გულზე იყო,
არ ედო ჩრდილი,
თავის პატარებს
ფრთის ქვეშ მალავდა,
ზამთარში თბილი,
ზაფხულში გრილი.
იქ, კენწეროზე
ბუდე აეგო,
უზარმაზარი,
ლამაზი, რბილი,
მაღალ ფეხებზე
შემდგარი წერო
ულამაზესი,
ნატიფი, თლილი...
რა სიყვარული
ცოდნია წეროს,
არვის დაუთმო
ароდეს შვილი,
შენ ქალი გქვია?!
შენ დედა გქვია?!
რად გადააგდე
ნაგავზე ჩვილი!!!

26.06.2012

რაჭა — ისმის „ ბინდისფერია სოფელი“

ზღვად დამდგარი შაორის ტბა
რუდუნებით ყურსა გიგდებთ,
ბადრი მთვარე მოგპარვიათ,
ზედ დაჰნათის მხარეს მზისფერს.
გარინდულა მაყვლოვანი,
აჟრიალებთ მოცვის ბუჩქებს,
ვაჟთა დასის ეს გუგუნი
კარგად ახსოვთ კახეთს ნუშებს.
რა საოცრება ვიხილე?!
ღმერთო! რა მადლი ტრიალებს,
ყველა კუთხეში ჯვარია,
ვერარა გაგვატიალებს!
უფალი სუფევს ქვეყნადა
ვიყოთ მარადის ერთადა,
არ დავთმოთ არცერთი გოჯი,
მომხვდურს დავუხვდეთ მედგრადა!

5.10.2011

იმერეთი

საპოვნელას არ ვეძებდით იმერეთში,
კაცხის სვეტის მოსალოცად წასულები,
გავეცალეთ ქალაქის თქორს, ბუღს და ქაოსს,
სად ბევრია ბოროტი და ავსულები.
ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგვეგება,
ქუჩის პირას ხელებს გვართმევს
ვაშლის რიგი,
აქეთ ტყემლებს დაუხრიათ
მძიმედ თავი,
გვეხვეწება, — დამკრიფეთო, ჩქარა მიდი!
პეპლებივით ირევიან ფერთა გამა,
ზოგი წითლად, ზოგიც შავად დარახტულა,
შორს კორომი ბროწეულის ალნადები,
აბრეშუმის სინაზეში აფაკლულა.
ეს რა თავბრუ დაგვახვია, ღმერთო ჩემო?!
არ გვეთმობა, აღარ გვინდა წასვლა არსით,
არ მოგაკლოთ ღვთის წყალობა მაღალ ღმერთმა,
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავის კალთით!

16.07.2012

საღამო იმერეთში

დედა მერცხალი კამარას კრავდა,
თვის გულისსწორს შველასა სთხოვდა,
ორნივ ბუდეში ჩახუტებულნი,
ბარტყებისათვის ფარდაგსა ქსოვდა.
ეხეთქებოდა ჭერს და ქილიშებს,
ალბათ ეტყვიან მერე ბადიშებს,
რა ნახეს, რა ესმათ ღამით,
მონუსხულები ვიხილე წამით.
წყვილი იხილეს მათებრ ანთილი,
ჯერ არ ეხურა არცერთს მანდილი,
მაგრამ მეფენი ვიხილე ცხადლივ,
გადმოსდიოდათ ღვთიური მადლი.
არ მოუშალო, ღმერთო, ამ ოჯახს,
ქვეყნად ყველაზე მთავარი განძი,
პატივისცემა მშობლების, ქმრების
და რძლების ტკბილი სიმღერა, ჰანგი.
იმერეთს ვნახე ოჯახი კაცის,
გავვოცდი, ღმერთო, დასწერე ჯვარი,
გადაურჩინე ერი და ბერი
და გაუმრავლე ჭიტაძის გვარი!

16.07.2012

ცა — მოჭედილი ვარსკვლავით

ალგეთს ლეკვები დაზრდილან,
ძუს არა — დედა ხვადისა,
იმერეთს ლომნი ვიხილე
შრომით გაცრეცილ ქალისა,
ეზო და კარმიდამო აქვს,
გადამღერება თვალისა.

ოჯახში ვეფხვი მძვინვარებს, —
„სარჩო იშოვეთ ხვალისა“,
წკეპლები გამზადილი აქვს
ბრონწეულის და ბალისა,
ნეტა მას, ვისაც მოხვდება,
კაცი დადგება რვალისა,
სიყვარულ მქადაგებელი
დამბრუნებელი გალისა.
მამაი ყოველ სულიერს
მზეჭაბუკის და დალისა,
სარეცელს ერთგულ მეუღლის
ბრილიანტის და ლალისა,
ძმადნაფიცთ უერთგულესი
ხევის უმტკიცეს სალისა,
იმედი ჩვენი მომავლის,
გამთენებელი ღამისა.
... თავს ტალავერი გვიჩრდილავს,
ხეებს ძლივს უჭირთ ტოტები,
იმერელ კაცის მარანში
მუდამ სავსეა ბოცები.
... ქალი ატყვევებს მერცხლის გუნდს,
გაქვავებული უსმენენ,
გესმით იმათი ღუღუნი?
ჩვენს საქართველოს უმღერენ!
... ცა — მოჭედილი ვარსკვლავით,
ღამეს დარჩება საჩუქრად,
ვთესოთ სიკეთის მარცვალი,
არვინ გვახსენოს აუგად!

17.07.2012

კაცხის სვეტი

გულანთებული მლოცველთა დასი,
უახლოვდება კაცხის სვეტს — მაღალს,
მაქსიმე ბერი დაყუდებული,
იქ სანთელს უნთებს, ერთადერთს, მართალს!
უფალს ავედრებს თავის ქვეყანას,
თავის ხალხს ლოცვით იცავს მტერისგან,
იქ მოწყვეტილი ლოცულობს ჩვენთვის
განცალკევებით თავის ერისგან.
ის ახლოს არის უფალთან ძლიერ,
სულით ხორცამდე აღვსილი მადლით,
ყოველი ჟამნი, დღენი და მწუხრი
ლოცულობს მამა ანთილი შანდლით.
მთის მაღალ წვერზე ასული ბერი,
მზერას მოაპყრობს მიწაზე წამით,
მუხლმოდრეკილი მრევლი იხილა,
თაფლის სანთლები ეშვება დაბლით!
და გვლოცავს, გვლოცავს ძლიერი მამა
ღვთისგან რჩეული გრძნეული ძალით,
ცხადლივ ვიხილეთ კაცხის სვეტს ბერი
ერზე მლოცველი დღისით და ღამით.
... გამოაბრძანეს ულამაზესი
ღვთისა მშობელი
ძოწეულს ტანით,
ჩვენს შორის იყო
დედა ქრისტესი,
ის დაბლა იყო,
უფალი — მაღლით!
იწვის სანთელი,
თან ერთვის ლოცვა:
„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
ღმერთო, აღმართე სიმართლის ჯვარი,
გაგვიმთლიანე ჩვენი სამშობლო,
მხოლოდ შენ დადევ ხილული ზღვარი!“

16.07.2012

ანდრია კრიტელის
ლოცვის დროს დაწერილი

ვის შეუძლია
მოჰგვაროს ცრემლი?!
ვის შეუძლია
გაჟრჟოლოს ტანში?!
ვის შეუძლია
იყოს უფალთან?!
ან და მარადის
იუფლოს ცაში!
ვის შეუძლია
გალობა მისებრ?!
თაფლის სანთელი
იწვოდეს რკალში,
მე დღეს პირველად
ვიხილე, ღმერთო,
სამფეროვანი
ნათელი
წვაში.
„მიწყალე მე ღმერთო,
მიწყალე მე“
18.03.2013

მადლის მაძიებელი კაცი
(და ანასტასიას ნაამბობი)

გერგეთის დაღმართს
სიბნელემ გვისწრო,
იქ ბილიკია
ციცაბო, ვიწრო,
ზეციდან წვიმის
წვეთები გვცრიდა,
კაცი შემოგვხვდა,

თავს ქვევით ხრიდა.
— ნუ გეშინიათ,
ჩაგიყვანთ ქვემოთ,
არვის დავტოვებთ
უყურადღებოდ!
— მადლს ეძებ შვილო?!
კეთილის მქმნელო,
— არა, დედილო,
მე აქვე
ვცხოვრობ...
გზად მივდიოდი,
როს მომლოცველთა
ვიხილე დასი...
აქ ხშირად არის
შემთხვევა მსგავსი.
— მსურს სხვაც მოვძებნო,
არ დაგვრჩეს ვინმე...
— ღმერთმა გიშველოს!
შენ ჰპოვე მადლი,
ხევის შვილთ
სულ სხვა
ჰქონიათ დარდი!
... ძალუმად წვიმდა,
ძალუმად წვიმდა...
ალპურ ზონაში
თეთრი გვირილა
სიმდაბლის ნიშნად
თავს დაბლა
ხრიდა,
თავს დაბლა
ხრიდა!

25.01.2013

და — ანასტასიას ლოცვა

ბეთლემის ბაგად
ვაქციე უბე,
მოდი, უფალო,
გთხოვ, დაიბუდე!
ეს გზაა სწორი,
სხვა გზაა მრუდე,
მოდი, უფალო,
შენ გაიკეთე
ჩემს სახლზე ბუდე!
ბოროტებასთან
დამღა და ზღუდე!
მოდი, უფალო,
ძლიერ მჭირდები,
უმორჩილესად
გთხოვ,
დამიბრუნდე!
მსურს განვიბანო,
ცრემლით აივსო
ჩემს თვალთა უპე,
მოდი, უფალო,
შენ მანუგეშე,
დამიშრე გუბე!
... ბეთლემის ბაგად
ვაქციე უბე!

25.07.2013

ჰერეთის კარი

შემორჩენია ჟამთა სვლას აბრა —
„ჰერეთის კარი“,
მაგრამ სადღაა ნეტა ჰერეთი?!
მიტაცებული მუსლიმთა მიერ,
მიწა იბერთა გაპოხებული
წინაპართ ძვლებით,
ირგვლივ — ოაზის
თვალწარმტაც მთებით.
... კაკლის ხეივანს მიყვები უბრად,
არ არის სიტყვა უფრო ქართული,
რა ვუთხრა იმას, რა ვუთხრა იმას?!
ვინაც არა ქმნა საქმე კაცური
და დაუტოვა შთამომავლობას
ინგილოები ამოშანთული!
მამულიშვილნი- ცრემლშეუშრობნი,
საქართველოზე ნაცემ-ნაგვემნი,
რომელი მცნებით შესცოდეს უფალს,
რომ გაიწირნენ ნაღდი ქართველნი?!
... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას ეტყოდა“
ნეტავ სად არის უნეტარესი
ან ქართლის დედა
მტერს რომ ებრძოდა?!
თავჩაჩეჩქვილი ვნახე ქურმუხი,
ალაზნის ველი ბორგავს მდუმარედ,
თავს წამომდგარი ვეება ლოდი,
გაშტერებული, მდგომი მწუხარედ!
... დგას მოლოდინში დიდი ტაძარი,
გასცქერის მომსვლელს —
მტერს და მოყვარეს,
ვინ რუდუნებით აუნთებს სანთელს,

ვინ ამოჩიჩქნის კედლებს და კანდელს.
... გაუფატრიათ, ამოუცლიათ,
თუ სასიცოცხლო,
რაც რამ ებადა,
ამას ცხოველიც არ ჩაიდენდა,
ადამიანმა როგორ იკადრა?!
ვუვლით გარშემო, ვავედრებთ
ჩვენს სულს,
ვგრძნობთ ანგელოზთა დასი გრიალებს,
რამდენს გაუძლო წმინდა გიორგიმ,
რამდენ ქარტეხილს, შტორმს და გრიგალებს?!
კვლავ ვანთებთ სანთელს
უძველეს ქვაზე,
ჩვენ წინაპართა
კვალი ატყვია,
ვტოვებ სალოცავს
უსიერ ტყეში,
ტაძრის გუმბათზე
მერცხლის ბარტყია!
გვიმზერს ტაძარი,
გული მიკვდება,
ვტოვებ მრევლის
და მამის გარეშე,
მივიხედე და, ო, საოცრებავ!
მთა მოეფარა,
დროა, დავეშვე.
... ჩვენ ყველას ვუღებთ
გულს და უბის კარს,
რამდენი რჯული შეგვიფარია,
შენ დაიფარე საინგილოში
ყველა ქართველი — მზეო მარიამ!

17.08.2013

ქურმუხი

— ალუდა როსტიაშვილს

ქურმუხის წმინდა გიორგი,
შენს იმედზეა ქართველნი,
მხოლოდ შენა ხარ მათი მზე,
ამომავალი ნათელი.
შენ დაიფარე ყოველი,
რაიც ქართული არისო,
შენი ფარი და მახვილი
დამცველი იყოს ავ დღისო!
ქურმუხს ავედრებს ალუდა,
მის მიწას, ცას და ვარსკვლავეთს,
არ დაინანებს ცხვარ-ძროხას,
რაც აბადია საკლავებს.
ოღონდაც იცნონ ქართველად,
როსტიაშვილი გვარადა,
დიდ საქართველოს შვილობა
ასრულებოდეს მარადა!

17.08.2013

მას, ვისაც ეკუთვნის

შენ გიყვარს შენი სამშობლო?
-მოიკალათე ქალაქში,
წადი, შენს კუთხეს მიხედე,
სანამ გროში გაქვს აბგაში!
არ ხნავ, არ თესავ, არ იმკი,
არ იცი პურის მადლია,
სხვისი ხელების შემყურეს
არც რაი არ გაბადია!
რას ეუბნები წასულებს?
ნავარდობ დედაქალაქში,

აღდგომას მიხვალ,
წითელ კვერცხს
გადაუგორებ საფლავში!
აი, ვის უყვარს სამშობლო,
აი, ვის უყვარს მამული,
საინგილოში ლოცვისგან
გაცვეთილია ფსალმუნი!
ფეხს არ იცვლიან იქიდან,
ის ჰერეთი ხომ ჩვენია,
ღმერთო, შენ იცი ის ტანჯვა,
რაც გულზე მათ დამჩნევია!
უფრთხილდებიან, უვლიან,
ჩვენს სალოცავებს ცად აწვდილს,
წმინდა გიორგი მფარველობს,
ჩოქვით მიდიან ტაძრამდის!
... გაივლი კაკლის ხეივანს,
როგორც გასცდები
კახში ხარ,
ამ ხალხის დამფასებელი
ათი იმდენი კაცი ხარ!
... აღდგომის ქვევრებს ახდიან,
იქ დაილევა ზედაშე,
მოდი, ჩავიდეთ კახში და
მივუჭახუნოთ მე და შენ!
ღმერთო! შენთვის ხომ ყოველი
შესაძლებელი არისო,
სისხლით მორწყული ჰერეთი
შემოგვიმტკიცე ამ მხრითო!
საზღვარი იქით გაიდოს,
შემოუერთე კახეთსო,
ღმერთო, მოასწარ იქ მყოფნი
თვის სიცოცხლეში ამ დღესო!

20.03.2013

საინგილო

მიგვიყიდია სული თათრისთვის,
იმათ ხელშია რაც გვაბადია,
თამარის ხიდი, მძლავრი, უდრეკი,
მიმსვლელისათვის გულის ვარდია.
ვერ დაანგრიეს, ძვრაც კი ვერ უყვეს,
მუსლიმებისთვის დიდი დარდია,
ვინ დაიბრუნებს?! ვინ დაგვიბრუნებს?!
მის უკეთესი რა გვაბადია!
... რას ერჩი თათარს?
ერთურთს არ ვინდობთ,
შენმა ქართველმა
შენ არ დაგინდო,
მახვილი ჩაგცა
მკერდში გულამდე!
გვლეჯენ, გვართმევენ,
ტირის ტანძია,
გვიხმოს, გვეძახის
დიდი ვარძია!
... სხვებს ვიკრავთ გულში,
ვიძვრენთ უბეში,
ჩვენი კი შორეთს
გაგვიძახია,
ამიტომაც გვჭირს
მოუშუშები,
ტაძრის გუმბათზე
მერცხლის ბარტყია!
... დავიწყებული ინგილოები,
ერეკლე მეფეს მოუნათლია,
ახლა ვის ახსოვს საქართველოში?!
ჩვენზე ახია!!!
რაც გვემართება,
ჩვენზე ახია!

28.06.2013

მონატრება

„სწორდი სმენაზე“ გეძახით,
ცაცხვის სურნელით გაზრდილნო,
ჭაღარა შემოგფენიათ,
ადრე — ხატულა ყმაწვილნო.
ერთად განვლიეთ ცხოვრების
საუკეთესო წლებია,
არ მავიწყდება არასგზით
ირმის შვლის ნუკრის ცრემლია.
იმ წიგნის ფერი, სურნელი,
პირველად ხელთ რომ ავიღეთ,
იმ მძიმე ტვირთის ტარება,
ჩვენი აღზრდით რომ გაიღეთ.
პირველი მასწავლებელი...
ბულბულს მაგონებს ველადა,
მომნატრებიხართ, მიყვარხართ,
თქვენით გავმხდარვარ ხელადა!
რა დამავიწყებს თქვენს სახეს
უმანკოს, როგორც ღვთის კრავი,
რაითღა მოგიწონიოთ?!
ინტერნეტით თუ ხის კავით.
ათ წელს ვათბობდით ერთმანეთს,
ვავსებდით ჩვენი ყოფითა,
დიდ სიყვარული დაგვქონდა
გულით, საცერით, გობითა.
ვეფიცებოდით დობასა,
ბევრიცა მყავდა ძმობილი,
სხვაგან რომ არსად შეგხვდება
გურული სისხლით შობილი.
... მიყვარხარ, ჩემო სოფელო,
სხივო, ბეთლემის ბაგაო,
სად უგალობდნენ სიყვარულს,

შოთა, ილია, საბაო.
სადაც ვიხილეთ ღვთის სახე,
ღვთისმშობელს შეგვაფარაო,
გვიყვარდეს ჩვენი მოყვასი,
შევავსოთ უფლის ფარაო.
იმავ სკოლაში მოგელით,
გაცისკროვნებულ სახითა,
თვალებში შემომანათე,
ნუ, ნუ მიყურებ მალვითა!
მე იგივე ვარ მარადის,
ასე გვასწავლეს აქამდის,
თქვენ „გეიხარეთ, ბაღნებო“,
სიკეთე — კართა კარამდის!

03.02.2012

ჩემი ლანჩხუთი

მე მიყვარს ჩემი ლანჩხუთი,
ჩემი ქალაქი პატარა,
იმ წლების სითბომ, სურნელმა
მთელი ცხოვრება მატარა!
ვამაყობ დიდად ალაგით,
სადაც — ავიდგი ფეხია,
იყო შრომა და კვლავ შრომა,
გული არ გაგვიტეხია.
ვსერავდი ქალაქის ქუჩებს
გახარებული გულითა,
მოყვასს თვალებში ვუმზერდი
გაბრწყინებული სულითა.
გავიდა წლები ნანატრი,
დაჰკრა ბუკმა და ნაღარამ,
დრომ ვერაფერი შეცვალა,

თმა დამიმშვენა ჭაღარამ.
დავმკვიდრდი დედაქალაქში,
აქაა ჩემი ოჯახი,
წარსულს ჩაბარდეს დარდი და,
სულ სიხარული მყოფადში!

07.05.2006

ლელა და გელას

მამიდას გასახსენებლად

ჯერ იყავით ორი ტოლმა,
მერე — ორი „ბაჯანჯურა“,
კიდევ აქეთ — „რუსალია“,
ორი გვრიტი ფრთახატულა.
გაიზარდეთ სიყვარულში,
ფერება და სიხარულში,
იქით — გიგა, გაგა, გელა,
აქედან კი — ნაზი ია,
და მყვირალა დიმუკელა,
ახლა ორი ერთნაირი
დახატული ყვავილი ხართ,
მჯერა, გვასახელებთ ყველას,
ისეთ დედის გაზრდილნი ხართ.
რომ მიყვარხართ ასე ძლიერ,
ეჭვი ხომ არ გეპარებათ?
ისემც დედ-მამა მიცოცხლოს,
წასულებს კი — ნეტარება.
ნეტამც მალე ჩადგეს ქარი,
მერე წვიმა წამოვიდეს,
არ მოგაკლდეთ ღვთის კურთხევა,
შრომა ნაყოფს გამოიღებს!

05.07.1990

იყოს ქვეყნად მშვიდობა

დე, ყველამ იდღეგრძელოს,
იყოს ქვეყნად მშვიდობა,
გაიზარდოს ბავშმა,
დაფრთხიალდეს ბარტყმა,
გაიხაროს ჩვილმა,
გადიფრინოს წერომ
სიყვარული გვდევდეს თან,
სიბერემდე ვწერო.
მინდა ყველა ვლოცო,
მინდა ყველა ვკოცნო,
სულ სიკეთე გისურვოთ
ამ მზიან ქვეყანაში,
არ მოგაკლოთ ღვთის ძალამ
ჯანი და პურის მადლი!
გამრავლდით და გაიხარეთ,
იმზეგრძელეთ მარადის,
სიხარული, სიყვარული
ყველას კართა კარამდის!

09.10.2005.

„მე რომ სიყვარული მინდა“

მე რომ სიყვარული მინდა,
ღმერთო, ჩქარა მაპოვნინე,
ჩამიბუდე გულში მზე და
ნეტარება მაგრძნობინე,
ჩემი ქვეყნის გოგო-ბიჭი
სულ წყვილ-წყვილად არონინე,
ერთიანი საქართველო
აფიცე და აკოცნინე.
შინ და გარეთ, ჩემს სამშობლოს
სულ მშვიდობა ერტყას სარტყლად,
პატრიარქი გვიდღეგრძელოს,
დიდხანს გვყოლებოდეს სარდლად.
დე!იხაროს საქართველომ,
გაიმარჯვოს სიყვარულმა,
ყველამ, ყველამ იმზეგრძელოს:
ერმა, ბერმა, ყველა რჯულმა.

05.08.2000

არ მბეზრდება

არ მბეზრდება ვწყევლო, ვლანძღო
ეს მთავრობა ძირმომპალი,
არ მსმენია, არ მინახავს
უმსგავსობა მე ამგვარი.
მონებსაც კი არ აგდებდნენ
ასეთ დღეში აფრიკაში,
დაიღალა, გაცამტვერდა
საქართველო ცოდვის მკაში.
მართლაც, ცხვრებად მოგვაქციეს,
კომბალს გვირახუნებს თავში,
უსინათლოდ, უხელფასოდ,
არც მჭადია შეჭამანდში.
ოჯახები დაანგრია,
კაცს არ მიესვლება სახლში,
ღმერთმა ავად ნუ გაგვხადოს,
თორემ ფარა არის გზაში.
თავად ბროლის კოშკში სძინავთ,
მუცლებს ვერ მალავენ ტყავში,
გრიალებენ, სრიალებენ,
დაცურავენ ბროლის ტბაში,
მე კი ვფიქრობ, არ შერჩებათ,
იმათ მოევლებათ ცაში,
ღმერთო, ღმერთო, გაუნათე
საქართველოს ამ წყვდიადში!!!

06.12.2000

„ოცი წლის შემდეგ“

ღმერთმა გაკმაროს ეს გაჭირვება,
აღარ გენახოს აროდეს ომი,
იყავ ბედნიერ, ჩემო ქვეყანავ,
რომ შეგნატროდეს ყოველი ტომი.
თავისუფალი შენი შვილები
ლაღად სერავდნენ მშვიდობის ზეცას
და ფრთახატულა ანგელოზები
შემოუსახლდნენ ჩვენს მყუდრო კერას.
ირგვლივ ბაღნარი, ედემ-ბაღები,
გამრჯე ქართველი, ლამაზი მჩენი,
იყოს მშვიდობა, ძმობა, ერთობა
და გაგვიმრავლდეს მზიანი დღენი.
ოცი წლის შემდეგ ვერ მეცნე, ვერა,
ვერც წარმოვიდგენ როგორ იქნები,
გამიკვირდება?! გნახავ დადაფნულს
სიყვარულით და ლურჯი იებით.
იყავ მარადის, მშვიდობის მტრედი
დაგფარფატებდეს თავზე მეგზურად,
არის გატანა, არის ძახილი,
აწ და მარადის ვიყოთ ერთგულად!

20. 05.1995

გამოძახილი

გურული კაცის წერილმა
„დასურ“ მატკინა გულია,
უგრძვნია ხალხის ტკივილი
და ქვეყნის გასაჭირია.
მოგეცეთ ლხენა, კარგსა ვცნობთ,
არ დაგვიკარგავს გონია,
ქვებს რომ არ ვისვრით, ძამიკო,
საკვირველ არის მგონია.
ვმუშაობთ, ხელფასს არ ვიღებთ,
დღეები გარბის წყენითა,
ყოველ საღამოს ოჯახში
ვხვდებით ყეფით და ღრენითა.
კუჭის დონემდე დასული,
ხალხია გონს გადასული,
აღარც ქორწილი, ასული
დარჩა მამის სახლს დასმული.
ვისთვის აწყობენ ამ გეგმებს,
ან ვისთვის უნდათ მამული?
თუ დღეს არ გაჩნდა პაწია
თამთა, ლაშა და გაბული.
თუ არ დაპურდა ქვეყანა,
არ აბიბინდა ჯეჯილი,
თუ არ დაფასდა გარჯაში
დაღლილი კაცი, კეთილი.
ამ წლებზე პასუხს ვინ აგებს?!
რით გავიმრთელოთ გულია,
მე ჩემდათავად სულს გჩუქნით,
ყველას დაკოცნა მწყურია.
ნუთუ ძნელია გაგება
ერთურთის ჭირი-ლხინისა,
გახსოვდეთ მუდამ „იობი“

არა თქმით უფლის ძვირისა.
კვლავაც დარეკავს სიონის
ზარი, უმტკეცი რვალისა,
კვლავ ცისარტყელა იელვებს,
დიდების ნიშნად ხვალისა,
დაიზრდებიან ლეკვები
ალგეთს ჯიშიან მგლისანი,
კვლავაც დაიცავს ქართვლისა
დედა, ბარის და მთისაი!
ჩვენც ვიგრძნობთ თვისუფლებას
და ვნახავთ ქვეყნად გაზაფხულს,
ლურჯთვალა იებს, ენძელებს,
არ ვნახავთ ტიტებს დაზაფრულს.
და ჩაიღვრება მზის ჯიღი,
ჩვენსა გულებში სხივებად
და სიხარული ულევი
აკიაფდება მძივებად.
იმეფებს ირგვლივ მშვიდობა,
იფრენს ღუღუნა მტრედები,
მომრავლდებიან მგალობელ:
შაშვი, ბულბული, ქედნები.
იქორწინებენ წყვილები,
გვირგვინს დაიდგმენ თავზედა,
დე, კვლავ გვეხილოს მყინვარწვერს
ჯიხვი გადმომდგარ მთაზედა!

05.05.2000

უმისამართო

ყველაფერი დაიწერა,
ყველაფერი ითქვა,
მაშ არა ვთქვა?!
არა ვწერო?!
— სჯობს გაჩერდე,
შენთვის იყო, —
ბევრჯერ, ბევრჯერ
მითქვამს.
... რადგანაც ვარ
ქართველი,
სურვილი მაქვს
„ამფერი“,
ჩემებურად ვწერო,
ყველას მივეფერო
და დავლოცო გულით,
გაბრწყინებულ სულით:
— წინ გიძღოდეთ
უფალი,
გრძელი გზები
უვალი,
ირგვლივ-მდელო
ხასხასა,
ზეცად-ლურჯი
კვასკვასა.
თავზე გედგათ
ღვთიური
ცისარტყელა შვიდფერი,
ყანა მოგცეთ
სამკელი
მოთუხთუხე, მზისფერი!
სიხარული ულევი,
სიყვარული უმკელი,

მოეხვიეთ ერთმანეთს,
მაგრად ჩასჭიდეთ
ხელი.
სიკეთე გმობს
ბოროტებას,
გვიქადაგებს
შოთა ბრძენი,
ეს ცხოვრებაც,
ჩემო კარგო,
შაირია
ამად გრძელი!

04.09.2007

იმედის დილა

გათენდა იმედის დილა,
იფეთქა კვირტებმა ბაღში,
ამწვანდა მინდორი ველად,
ღრუბლები გაიფანტა ცაში.
გარბის დრო,
წლები წლებს მისდევს,
ჭაღარა მომერია თმაში,
მე კი კვლავ გათენებას ველი,
ინათებს, ინათებს წამში!
ქვეყნად სიყვარული მეფობს,
წითლად შეღებილა ვარდი,
გვრიტები ისევ დაფრთიანდნენ,
შორს ნაღველი და დარდი.
იქნება ქორწილი ჩემს ოჯახში,
გადიფრენს გოგონა ბარში,
ბიჭუნა მოიყვანს მორცხვ პატარძალს,
იქნებ გამიძახოს კარში?!
მე კი დავლოცავ დედის ლოცვით,

მუდამ ვედგები მხარში,
მარად წინ ევლოთ გამარჯვებით,
არ ჩაიმუხლონ გზაში.
ორი არსება გავაჩინე და
ვთესე სიკეთე მათში,
მთელი ცხოვრება მათ მივუძღვენი და
მშვიდობა მქონდა სახლში.
აწიც სიმშვიდე არ მომეშალოს,
ქვეყნად — მთასა თუ ბარში,
ღვთით სიყვარული მეფობდეს ყველგან:
ცაში, სახლში და ხალხში!

22.04.2005

უძღვნი გაგას და ირინას გედნიერებას

ხომ ლამაზია ტყემლის ყვავილი,
მაგრამ ატმისა მაინც სულ სხვაა,
არ შეედრება მას არც ვაშლისა,
გარგარის, კომშის და თუნდაც მსხლისა.
მე მას შევადრი ტბას გედებისას,
ცას ლაჟვარდოვანს — აღდგომის დღისას!
პირველ სიყვარულს, გასროლილ ისარს,
რომ არ ასცდება დასახულ მიზანს,
რა შეედრება ბაღებს ატმისას?!
... მაგრამ დაბერავს ქარი ოხერი
და წარიტაცებს გვირგვინის ფურცლებს,
აცეკვებს ტანგოს, ააფრენს მაღლა,
მოღლილს, შელახულს მიაგდებს დაბლა,
ზოგიც გაჰქრება ჰაერში ალბათ.
ხეზე დარჩება გამონასკვული
ნაყოფი ტკბილი და დარახტული,
იგემეთ, ხალხნო, მაგრამ გახსოვდეთ
ულამაზესი, ლურჯი აპრილი!

07.04.2006

ვუძღვნი ჩემს შვილებს

— ია ისაკაძეს და გოჩა გვარამიას

გათენდა აღდგომის დილა,
მშვიდობამ დაივანა ხალხში,
ყაყაჩომ გააწითლა ველი,
ღრუბლები გაიფანტა ცაში.
უფალმა მაზიარა დიდ სიხარულს,
გამომარჩია სხვაში,
ასრულდა ოცნება სანუკვარი,
აღარ მაქვს თეთრები თმაში.
ქვეყნად სიყვარული მეფობს,
დაინგრა ბოროტების ბჭენი,
ასულმა გადიფრინა ბარად,
უმრავლოს საქართველოს ძენი!
არის ქორწილი ჩემს ოჯახში!
სიძე შემოაღებს კარებს,
მე კი გულს ვაჩუქებ, სულს დავუთმობ,
ფერხთა ქვეშ დავუფენ ვარდებს!
და მუდამ დავლოცავ დედის ლოცვით:
გფარავდეთ ღვთისმშობლის კალთა,
წინ მიგიძღვოდეთ მამა ღმერთი,
იყავით მორჩილნი მარად.
გაკურთხოთ უფალმან კიდით კიდე,
მშვიდობა გქონოდეთ ფარად,
სახელოვანნი ყოფილიყავით,
დიდ წინაპართა დარად!!!

01.05.2006

აპრილს ვუმღერე

აპრილს ვუმღერე ლურჯსა და მზიანს,
დღეს საოცრად თოვს, მძიმე ფიფქებით,
მაშინ მზის ჯიღი გივსებდა გულ-მკერდს,
დღეს დაგიხრია თავი ფიქრებით.
მე კი, შევადრი შენს მორულობას,
ლამაზ პატარძალს, თეთრი მანდილით,
უსასრულოა ეს სიყვარული,
არ იზომება ეს დრო, მანძილი.
იმ აპრილიდან ამ აპრილამდე,
ვიგემეთ ღვთისგან ნაყოფი ტკბილი
და დღეს ორთავეს გიმშვენებთ უბეს
ულამაზესი ქალ-ვაჟი ჩვილი.

16.04.2007

მარის!

მდინარაძე — გოგეშვილი

ქედანს გამსგავსე ღულუნას,
მორცხვად თავდახრილს ბანზედა,
დილით ჩემს ბაღში გიხილე,
დაგოგმანობდი ნამზედა.
ფრთხილობდი, თვალი გეჭირა,
იყურებოდი განზედა,
ყელზე გიშერი გეხვია
ულამაზესი ძალზედა.
გვერდს გულისსწორი გიმშვენებს,
ბუდე მოგირთავთ სახლზედა,
ბევრ გვრიტნი დააფრთიანეთ,
მზიანი დარი ცაზედა!

18.01.2013.

პატარა ირაკლი გოგეშვილს

სარკეზე დამიტოვე
პატარა თათულები,
გული სიხარულით აივსო.
შენ, ჩემო აისო და
ჩემო გათენებავ,
ჩემო აპრილო და მაისო!
სახეს დაგიკოცნი
ლამაზს და მომღიმარს,
გულში ჩაგიკრავ და
არ გიშობ,
ღმერთო, გამიზარდე
ირაკლი გოგეშვილი,
კაცი მოყვასი და
საჯიშო!
ჩემი სალუკა და
ჩემი იკაკუნა
კარგად ერთმანეთსაც
არ იცნობს,
როცა გაიზრდებით
დედ-მამის გასახარი,
მერე ერთმანეთსაც
გაიცნობთ!
სისხლის ყივილი და
გენის აღზევება
თავისას გაიტანს-
არ ვმისნობ,
კაცი მტერს მოასპობს,
ქვეყანას დაიცავს,
ქალი მოაშენებს საჯიშოს!
ქვეყნად უთვალავი
ბავშვი გაიზრდება,

აი, საწყაულიც აივსო,
ღმერთო, ააყვავე
ჩემი საქართველო,
სალი და იკაკუნა
მაისობს!

10.10.2007

პატარა — მარი დვალიძეს

ღვთით მოფრენილი გვრიტი ხარ
და მოკაშკაშე ვარსკვლავი,
შენ მორაკრაკე წყარო ხარ,
მთით მონაქროლი ამბავი.
შენ პაწაწინა მარი ხარ,
დვალიძეების სარდალი,
გწყალობდეს მაღალი ღმერთი,
იყავ ჭკვიანი, ამტანი.
ღმერთმა გიცოცხლოს მშობლები,
მაიკო ლელოს გამტანი.
ბიძიები და ბაბუკა
გეხარებინოს მარადის,
გფარავდეს ღვთისშობლის კალთა,
სიკეთე კართა კარამდის!

24.08.2005

ბელა გოგეშვილს

ჩემი სადარი სად არი?
თვალნი ანათებს მზისადა,
ტანი ალვის ხეს მიმიგავს,
მხოლოდ ტოლი ვარ დისადა!
ვამშვენებ ლანჩხუთის ქუჩებს,
დავქრი იისფერ „მერსეთი“,
იქ საინგილო მოვხიბლე,
აქეთ ქართლი და მესხეთი!
გავიშრიალებ, გარემო
მიღიმის ირგვლივ დილითა,
დავკოცნი იებს, ენძელებს
ცვარ-დანამულებს ღილითა!
აქეთ ვარდები გადახსნის
კოკორს წითელი ფერისას,
იქ ყოჩივარდებს ვაკოცებ
უერთგულესებს ველისას!
ჩემს ღიმილს ვაფრქვევ მიდამოს,
ყველა მიყვარხართ გულითა,
აი, როგორი გოგო ვარ
ამაღლებული სულითა!...
ფანდურს ჩამოვკრავ, დავკვესავ
ბებოს ნასწავლებ სიმღერებს,
იქ პიანინოს ვაცეკვებ,
აქეთ „პეტუნას“ვუმღერებ!
ჩემს ბაბუს ვეთაყვანები,
ბებოს ვუკოცნე ჯიგარი,
აგერ ახლახანს ცრემლებით
გავუთბე კუბოს ფიცარი!
დაიას ტყუპის ცალი ვარ,
ძამიკო მიყვარს —გელაო,

სულ მალე იმის ქორწილში,
ო, დელი, დელი, დელაო!
დედას და მამას ვაღმერთებ,
ვუკოცნი თვალებს ჟუჟუნას,
ყველა მიყვარხართ, გეხვევით:
მაღალ-დაბალი, პუტკუნა!
ქარი მიწეწავს დალალებს,
გული სავსეა ზღვისადა,
აბა, ჭაბუკნო, მზადა ხართ?!
გინდ იყავთ ბარის, მთისადა!
ვნახოთ, ვინ არის ვაჟკაცი
სამართლიანი ცისადა,
ჩემ გვერდით იდგეს მარადის,
თავს თვლიდეს ჩემსა ღირსადა!

28.01.2014

ლელა-ბელას

მსურს მოგილოცოთ
დაბადების დღე,
გისურვოთ ქვეყნად
რაც არის კარგი,
ღვთის სიხარულით
აგევსოთ გული,
თქვენთვის გაიღოს
დიდების კარი!
ქვეყნად არავინ

მზია აფხაძეს

დაბადების დღეს გილოცავ,
აფხაძის ქალო მზიაო,
ყველა სამრეკლოს კარები
შენთვის იქნება ღიაო,
მღვდელ-მორჩილისთვის სამოსი
მოგიქარგ-მოგირთვიაო,
შენს ნაქარგს ეამბორება
ლაშა, თამარი, ნიაო,
შენი ლამაზი სიცოცხლე
უფლისთვის მიგიძღვნიაო!
კვლავაც ნათელი დღე გქონდეს,
შუქი გმოსავდეს დიადი,
აროდეს დაგიზოგია
მთხოვნელისათვის ხმიადი.
დისშვილთ და ძმისშვილთ გადაყე
ათასგზის გახდი სტუდენტი,
აროდეს დამენანება
შენთვის საქები ბუკლეტი.
უფალი ხედავს დამალულს,
ჩვენთვის ხილულიც ბაცია,
ხან დედა იყავ, ხან მამა,
ხან მართლის მქმნელი „მაცია“,
შენ აპრილივით ლურჯი ხარ,
უკიდეგანო ზღვასავით,
ბევრს გაუხეთქე გული და
ახლაც კრაჭუნობს რამაზი.
აღდგომის მადლი გფარავდეს,
ჯანი გქონოდეს მთლიანი,
არ მოგეშალოს ღვთის მადლი,
„ლილეო“ — ომახიანი!

29.04.2013

გელას — საპირველსექტემბროდ

გულისფანცქალით ველოდი
დღეს საოცნებოს, მზიანს,
პირველ სექტემბერს, პირველ ზარს,
ნანატრს, საფიცარს, ზვიადს.
ამ მაღალ კედლებს სკოლისას
გაცისკროვნებულს, დიადს.
პირველო მასწავლებელო,
ვფიცავ, ვისწავლო კარგად.
ვიყო სამშობლოს ერთგული
და ვასახელო მარად
და თუ დასჭირდა მის კალთას
გადავეფარო ფარად!

25. 08.1988

ამოძახილი

დედა შემოგევლოთ,
ჩემო დარახტულნო,
ჩემო სიამაყევ,
ჩემო საგანძურნო.
აბრეშუმივით ნაზო და ლამაზო,
შენ კი ფოლადივით მტკიცე
და მამაცო,
ჩემო სიცოცხლევ და
ჩემო გათენებავ,
მამის გულის გულნო,
დედის ამღერებავ!!!

05.09.2005

მაისია

მაისია, ტიტის ფურცლებს
დაუფარავს ირგვლივ ველი,
ჩემს სარკმლის წინ იასამანს
მოუღერავს ნაზად ყელი.
მასაც არხევს ქარი ისე,
როგორც გალას იასამანს,
მე კი ირგვლივ ყველანი მყავს:
დღე და ღამე, მთვარეც თანა.
მე მაისი მისთვის მინდა,
რომ შევიგრძნო ვარდის სუნი,
დავითრო და დავისუსხო,
ამითრთოლდეს ნაზად გული!

07.05.2003

ნინის და დიმას

მოგეფერები გულით,
უძვირფასესო თვალო,
გაგიფრთხილდები ძლიერ,
ჰერეთს გაზრდილო ქალო.
როგორ უყვარხარ მამას,
კახში ლოცვაა დიდი,
წმინდა გიორგი გიცავს,
„ნუ გეშინია მიდი“!
სულ წინ იარეთ ერთად,
ირგვლივ გვირილა ღელავს,
ეს საქორწინე ჯიღა,
უფლის კურთხევით ელავს!
დაშვება არის უფლით,
მსუბუქი ხარის უღლით,

კოფოზე ბევრი შვილი
და სიხარული უბით.
ქვეყნად სიკეთე თესეთ,
სულ სიყვარული იმკეთ,
გამყოფ ზოლს დარჩენილნი,
შემოიერთეთ, იძმეთ.
არვის დაუთმოთ გოჯი
წინაპართ სისხლით სვრილი,
თქვენთვის გასწირა თავი,
შეარგეთ ტკბილი ძილი!

17.07.2012

ნინის დიმიტრისაგან

ჩემს გულს მოგიძღვნი,
სიცოცხლეს ჩემსას,
შენზე ვილოცებ
მაცხოვრის თვალწინ,
ყველა წმინდანებს
ვთხოვ შეგვავედროს,
რათა მოიღოს
უფალმა მადლი.
მთელი ცხოვრება
მოგეფერები,
აგივსებ უბეს
ხატულა ბავშვით,
მერე ჩავჭიდოთ
მაგრად ხელები,
უფალს ვეახლოთ
რიდით და კრძალვით.
მერე წაგიყვან
ხოდაბურებში,

ყვავილს დაგიკრეფ
მინდვრის, უნაზესს,
მერე მოგიწნავ
გვირგვინს გვირილას,
სულს შევავედრებ
უფალს უმდაბლესს.
მთელი ცხოვრება
გაგიფრთხილდები
და მეყვარები
არა წამიერ,
ღმერთო, უმრავლე
ჩემს საქართველოს
ჩემებრ ანთილი,
მრავალჟამიერ!

17.07.2012

ნინის

მე ყველა ორსულს
დედას ვადარებ,
დედას უფლისას,
დედას მაცხოვრის,
ამ აპრილს მოვა
ჩემი პაწაწო,
აპრილს დატოვებს
დედას საცხოვრისს!
ჩაეკონება
გულში დედიკოს,
მერე გაიცნობს
თავის მამიკოს,
სამყაროს ირგვლივ
მოავლებს მზერას,

მორცხვად ჩაგვიკრავს
თვალუკებს ყველას!
აქ რას გპირდებით?!
— სითბოს, სიყვარულს,
ნათელ ცას, ირგვლივ
ცისარტყელებით,
მინდვრად — ხასხასა
მწვანეს სათელად,
კამკამა წყაროს,
თავთუხს სამკელად!
— შენს სამშობლოს კი
მტერი არტყია,
შენ, შენ შეკრიბე
მძლავრი არმია!
შენ ხარ იმედი,
იმედი ხვალის,
იყავ ვითარცა
ფოლადი რვალის!

22.02.2013

საბას, სალის, ელენეს

საბა — ხმალივით ზამბახი,
სალი — ვარდია დილისო,
ელენე — თეთრი გვირილა,
გადაბარდნილი ივლისსო,
ალპულ ზონაში მალული
ლომისას ამოსულიყო!
სამთავე ულამაზესი,
სამთავე მზეა დილისო,
კამკამა წყარო, ნეტარი,
მაგრილებელი პირისო,

არა! მთვარეა ვეება,
სავსე უკუნი ღამისო,
აკვანთან — ჩვილის მნათობი,
დიდი იმედი მამისო.
მთვარიან ღამეს დღე მოსდევს,
კაშკაშა, დილის მზიანი,
ღმერთო, ამრავლე ამქვეყნად
ქალ-ვაჟნი მხარბეჭიანნი!

24.07.2013

ელენეს

გვირგვინს დაგადგამ
ალპებში მოწნულს,
მოგრთავ, მოგჩითავ
როგორც ფერია,
თერგის ზვირთები
ისწრაფვის ზღვისკენ,
მაღლა არწივნი
ცას უმღერიან!
სალი კლდეები
დგანან მეფურად,
გარინდებულან,
ხევს გასცქერიან,
სალოცავები
ვერ იტევს მლოცველს,
გვირილების ჯგრო
გზას აწყდებიან!
მოგიწნავ გვირგვინს,
მსგავსს ვერსად ნახავ,
აგავსებ ხვევნით,
კოცნით, ალერსით,

როგორ მინდოდა
მოგფერებოდი ...
გთხოვ, მაპატიო,
ვერ ვთქვი
 გალექსვით!

25.07.2013

ელენეს

მამის გული ვარ,
დედის — მზე!
ამომავალი მთვარეო,
გულისფანცქალი ბებიკოს,
ცხრა ბიჭის მჯობნი ბარეო,
სალის ვუყურებ გვერდულად —
მიცინის არე-მარეო,
საბა-ჯენლტლმენი ბიჭია,
მარწევს აკვანში მალეო!
ჩავჭიდოთ ხელი ეთმანეთს,
ვამშვენოთ ჩვენი მხარეო,
მზეო, ამოდი ცხრათვალა,
ღრუბელო, დამემალეო!

30.04.2013

ელენეს

ელენიკომ
გვრიტებს
დაუფუნჩხა
პური,
ნამცეცებად
 აქცია
ერთი ნაჭრის
გული,
დაუყარა
ბებომ
ფრთახატულა
გვრიტებს,
სიხარულით
კენკეს,
არ დაუთმეს
ჩიტებს.

05.02.2014

სალომეს

შენ მოხვედი ჩემთან
გაზაფხულთან ერთად,
შენ მიგიჩნევ, სულო,
ხატებად და ღმერთად,
გაიშლება კვირტი,
გაიზრდები შენცა,
გავიხარებთ ყველა:
დედა, მამა, მეცა,
ვინაც ცუდად შემოგხედოს
დიდი მგელი ეცა!

13.02.2007

სალის და საბას

თქვენ ერთი ბაბუს
სითბო მოგაკლდათ,
ბაბუს, რომელიც
უფალს უყვარდა.
იყო კეთილი,
სითბოთი სავსე,
უმისობას კი
ვერავინ ავსებს!...
არის მონატრება
შვილიშვილების,
კოცნიან შენს სურათს
ლამაზი სულები,
მუხათგვერდს მოვლენ და
რარიგ გაიხარებ,
მოხატულ ყვავილებს
საბნად დაიფარებ!
შენ არსად წასულხარ,
ჩვენთან ხარ მარადის,
ლოცვით გზას გაგინათებთ —
სამოთხის კარამდის!

06.11.2010

მანანა ბებოს სალომესაგან

ამ ლურჯთვალა იებს,
ამ პაწაწო ხელით,
დაბადების დღეზე
გიძღვნი გულით წრფელით.
არ იფიქრო, ბებო,
დაგივიწყო წამით,
აგრემც გავიხარო
დედითა და მამით,
რომ ზრუნავდი ჩემზე,
არ მტოვებდი წამით,
სულ ჩემზე ფიქრობდი
დღისითა და ღამით.
გავიზრდები დიდი,
ლამაზი და მარდი
და ვიქნები მარად
ბებოს გულის ვარდი!

11.03.2009

საბამ პირველად იხილა ვარდი

საბამ პირველად იხილა ვარდი,
გაოცებული თრთის!
ხელი წაიღო, შეეხო ყვავილს,
თავისკენ უხმობს, ხტის!
... იქნებ უნდოდა ჩაეკრა გულში,
ვინ მიუხვდება ფიქრს?
მოასწრო საბამ, ხელი ჩაბღუჯა,
კოკორი გაჩნდა ძირს,
... საბამ არ იცის,
როგორ ეტკინა
ყვავილს — ბუნების შვილს!

04.05.2010

საბას

„სალიკო, სალიკო“, —
იძახის საბა
და სიყვარულით
ჩაიკრავს გულში.
ღმერთო მაღალო!
ამას გთხოვ ძლიერ,
შენ დაიბუდე
გვრიტების სულში!
დედაო ღვთისა,
გაბარებ სალის,
საბას და ყველა
პატარას ცისას,
არ მოუშალო
უღრუბლო ზეცა,
დღეგრძელ უმყოფე
მშობლები მზისას!

17.07.2012

სალომეს

ვაშა! მოვედი ამქვეყნად,
რომ გაგიხაროთ გულია,
აქეთ თბილისი ვამშვენო,
იქით რაჭა და გურია.
ძლიერ მიყვარხართ ყველანი,
გთხოვთ, მომეფეროთ პატარას,
რომ გავიზრდები ბაბუკა,
წყაროს წყალს გასმევ ანკარას.

05.02.2007

სალომეს გასეირნება

მეც შენსავით ლამაზი ვარ,
მეც შენსავით პაწია,
გთხოვთ, გავიცნოთ ერთმანეთი, —
გამარჯობა, ბაჭია!
ეს ჩიორა ჩიტუნაა,
ეს კი ფისო ანცია,
ეს ჩაპია! სულ ქათქათა,
ახლა უკვე ბაცია!
ვიმეგობროთ, გიერთგულებთ,
არც თქვენ დამრჩეთ ვალშია,
თუ ამინდი შეიცვლება
შემოგიყვანთ სახლშია!

07.05.2010

სალის

გუშინ კვირტი ვნახე ვარდის
გაბერილი, ყვითელ ხაზით,
დღეს საოცრად წითელია,
გადუშლია გული განძით.
ერთს ფუტკარი ეტრფის გულით,
მეორეს კი „პეპო“ აზის,
რა კარგია გაზაფხული,
გამითენე, ღმერთო, ასგზის!

04.05.2010

ზამბახები

ზამბახები დგანან მწკრივში,
გადურაზავთ გულის კარი,
საოცარი სურნელია,
არვინ არის მათი დარი.
მზე გაუთბობს მოხატულ გულს,
თმებს აუშლის ანცი ქარი,
ყველას, ყველას გიკრავთ გულში,
გეფერებათ სალი ქალი!

04.05.2010

ტიტები

გუშინ ბებოსთან
ტიტას ვაკოცე,
მე მათი ფერი
ძლიერ მაოცებს,
ზოგს მოუკუმავს
ტუჩები წითლად,
ზოგიც აშუქებს
საოცრად ყვითლად,
... მიყვარს ტიტები
სისხლისფერები,
ყველას ვეხვევი
და ვეფერები!

11.04.2010

გაზაფხულის ძალა

აი, ამოყო თავი ენძელამ,
ია უმშვენებს გვერდს,
ყოჩივარდები ულამაზესი
როგორ უხდება ფერდს?!
მინდვრად ყაყაჩომ
 გადიბრდღვიალა,
ცაზე ანათებს მზე,
ხარობს ბუნება,
ირგვლივ გარემო —
საბა, დედა და მე!

11.04.2010

იასამანი

ულამაზესი იასამანი
დედოფალივით დგას!
არ ეპუება, არ უშინდება,
მაისის წვიმას, ქარს.
ნაირნაირი ყვავილთა გამა,
ამშვენებს ბებოს ბაღს,
მე მირჩევნია
ამათთან ყოფნა,
„კოწის“, თოჯინას, სახლს!

11.04.2010

საბას

საქართველოს ეზრდება
პატრიოტი, მამაცი,
ნეტა ვისი ბიჭია,
დედასი თუ მამასი?!
ის დაიკოს გულია
თბილი, ტკბილი, ლამაზი,
ძმაკაცები ბევრი ჰყავს,
დაჩი, ლუკა, რამაზი.
ხვალ მიიღებს საჩუქრებს,
კვლავაც ბევრი მიეღოს,
ღვთისმშობელი გმფარველობს,
დაგიფარავს იესო!

18.03.2013

სალის ჩავიკრავ გულში და...

სალის ჩავიკრავ გულში და
საბას დავკოცნი მძინარეს,
ჩავიყვან ჭალას, მინდორში,
ყვავილს დავკრიფავ მდინარეს.
გვირგვინს დავუწნავ ათასგვარს,
თავზე დავადგამ მღიმარეს,
საბას თეთრ ცხენზე შემოვსვამ,
კვიცი უძღოდეს წინ-არეს!

20.10.2011

სალომეს

გულით ვითხოვ, ღმერთო,
გამიზარდე სალი,
მიეც სანატრელი
სოხუმი და გალი.
ლურჯ ტალღები ზღვისა,
ნაკადული მთისა,
თეთრი ზეცა ცისა,
ბრწყინვალება მზისა,
ხანგრძლივობა დღისა,
არ მოაკლდეს ჩემს სალომეს
მოწყალება ღვთისა!
გაუმრავლე ერი,
მორწმუნე და ბერი,
აღუდგინე საქართველო
მთლიანი და ვრცელი.

05.10 .2010

სალომეს

„დაგელოცოს ჭერი, ფუძე“, —
გვლოცავ, როგორც დიდი ქალი,
დალოცვილი იყავ მუდამ,
ბებო შემოგევლოს, სალი!
იყავ მუდამ ბედნიერი,
არ გქონოდეს არვის ვალი,
გაახარე დედის გული,
მამის მახარია სალი.
ჩაეხუტე შენს ძამიკოს,
დაუკოცნე შუბლი, თვალი,
როცა დიდი გაიზრდება,
ის იქნება შენი ფარი!

02.09.2010

სალის

ჩემს სალომეს დავლოცავ,
თვალხატულას, ქათქათას,
როდის ამოანათებს
კუკიას და მახათას.
ბაბუ არ მოაკლებს სალის:
შოკოს, ნაყინს, ნატახტარს,
ბებო წინ გადუშლის წიგნებს,
ფერად ფანქრებს, სახატავს,
ბიძი თოჯინებს უყიდის —
ლამაზ „ბარბის“ ათასგვარს,
თქვენც გაღირსოთ
 მაღალ ღმერთმა,
ნეტარებას ამდაგვარს!

05.09.2007

თებერვალი სალისია

თებერვალი სალისია,
მარტი გვარამიასი,
აპრილში კი ველოდებით
გოგო გვითხრეს დიმასი!
დაილოცოს განგება ღვთის,
არ მოგაკლდეთ წყალობა ცის,
ხანგრძლივობა ნათელი დღის,
სიკაშკაშე ცხრათვალა მზის,
ლურჯ ტალღები ლივლივა ზღვის,
მონაბერი ბახმაროს მთის,
პურის ყანა თავთუხა მკის,
სიხარული აღდგომის დღის,
კმაყოფილნი იყავთ მუდამ
უსასრულო ცხოვრების გზის!

19.03.2013

საბას

დღეს ცხრამეტი მარტია,
ნათელი და მზიანი,
გუშინდელი დღე იყო
ქარიან-წვიმიანი!
ხვალ იფეთქებს ატმები,
ტყემლებს კვირტი გახსნია,
გაზაფხულის სურნელი
თბილისს უკვე ამჩნია!
აჟღურტულდნენ ჩიტები,
გამოცოცხლდა „ ჩაპია“,
მამლაყინწა გვახსენებს,
ჯერ ხომ ისევ მარტია?!

19.03.2013

რა სიხარული მაჩუქე

რა სიხარული მაჩუქე,
ნუთუ ვარ ამის ღირსია?!
ახლაც ჩამესმის მიშიკოს
„ქალი ლამაზი ვისია?“
ქალი სალომე ვისია
და უცებ მარიც ვისია?!
შენია, ჩემო მიშიკო,
შენი და შენი ძმისია,
ია, სალომე, მარიამ
გქონოდეთ ღვთისა შიშია,
ამრავლეთ საქართველოში
გვარამიების ჯიშია!

16.04.2007

ეს რა გვრიტი მოფრენილა

ეს რა გვრიტი მოფრენილა
მოღულუნე უცხო მხრიდან,
თავანკარა ნაკადული
მომდინარე მაღალ მთიდან,
ბების გულის სიხარული,
ჩემი ვარდი, ჩემი ია,
აბა, ვინ იქნება ნეტა?
ვინ, ვინა და სალომია!

16.04.2007

იამ ააწყო ნაძვის ხე

იამ ააწყო ნაძვის ხე,
წვიმებით რთავდა გოჩა,
დასავლეთიდან ბაბუას
მოაქვს ნანატრი ხონჩა,
ბებო ჩურჩხელებს გვთავაზობს,
ბიძაც არ დარჩა ვალში,
დე! სიხარული ბუდობდეს
ყველა ჩვენგანის სახლში.

01.01.2007

პაწაწოს

მაშინ როცა ჩემს ბაღში
იზეიმებს აპრილი,
გაამზადე, ბებიკო,
უთეთრესი მანდილი.

12.02.2013

საბას

იმედიანი ბიჭი ხარ,
სულ ასე იცი „მერე რა“,
ბებოს გული ხარ საბუკა,
მოდი, მოგელის ბაბუკა!
შენ თბილო, დედის იმედო,
სალის გული ხარ მარადი,
ამ უზარმაზარ სიყვარულს
ნეტავი როგორ მალავდი?!
მამიკოს წითელქოჩორა,
ბებოს უყვარხარ ძალიან,
რას დაგიწყია ყმუილი?!
მე კი მეგონე ბოჩოლა.

05.07.2010

გაზაფხულიც მოვა

გაზაფხულიც მოვა,
გაიღება კარი,
სახლში სითბო შევა,
ნეტარების დარი.
გაიხსნება კვირტი,
აფეთქდება ხენი,
ატირდება ვაზი,
გამრავდება ძენი!
არ მოგაკლოთ ღმერთმა
ბედნიერი დღენი!

12.02.2013

გვრიტები

ჩემს ბაღში გვრიტებს
რა დალევს,
ბარტყობა შესაშურია,
ნახეთ, იმათი ცხოვრება
რარიგად საამურია!
ყელზე გიშერი შებმია,
დედოფლად მოკაზმულია,
რაჭული სიდარბაისლე,
სამოსიც მოქარგულია.
თანასწორია ცოლ-ქმარი,
გაინაწილეს საზომი,
შესციცინებენ ღუღუნით,
სულ ჩართული აქვთ წამზომი!
ისწავლეთ გვრიტებისაგან,
ცხოვრება რარიგ ტკბილია,
რას გვასწავლიდნენ სკოლაში
ვაჟა, აკაკი, ილია?!.
რაიც არსებობს ამქვეყნად
ღმერთისგან გაჩენილია,
სჯობს მაგალითი ავიღოთ,
თუ დრო გვაქვს დარჩენილია!

05.06.2014.

ერთგული ჩიტუნა

რაფაზე ჩიტი ჩამოჯდა,
ბელურა არა, „მზეწვია“,
მომინისკარტა, მახარა,
თურმე ზამთარი მეწვია.
სხვა დროს სად იყავ პატარავ?
მორთულხარ ჩიხტიკოპითა,
ეს საზეიმო სამოსი,
ღმერთო, რა ძლიერ მოგიხდა?!
შენ ხარ ერთგული ჩიტუნა,
არ ტოვებ შენსა ბუდესა,
თუ გარეთ ძლიერ შეგცივდა
გთავაზობ ჩემსა უბესა!

21.12.2012

დეკემბრის თვეში — ქრიზანთემას...

ულამაზესო მინდვრის ყვავილო,
ეს რა მოგსვლია?!...
როგორ ჩაგსვლია
ფიფქები ყელში?...
ხან წვიმა გესხმის,
ხან ქარი ცივი,
ხანაც დეკემბრის
ყინვა და თქეში!
არ საყვედურობ
ქვეყნად არავის,
და დგახარ როგორც
მიუსაფარი!!!

5.12.2011

გზის პირს ყვავილი შევნიშნე

გზის პირს ყვავილი შევნიშნე,
მორცხვად დახარა თავიო,
მივედი, მოვუალერსე,
ნაზად მოვხვიე მკლავიო,
ჩემსა პატარძალს ვამსგავსე,
ღმერთო! აცილე ავიო,
წინ გასავლელი ბევრი გვაქვს,
მომიახლოვე ნავიო!

20.06.2012

ნასტია ბაბოს კიპარისი

ო, როგორ ლამობს კიპარისი,
ავიდეს მაღლა,
თითისწვერებზე აწოწილა
და არხევს ტალღა.
ароდეს იგი
თავს არა ხრის,
არ იხედს დაბლა,
თუნდაც ხელადით
ღვინო აწვდინო
ან სავსე ტაბლა.
ნეტავ რა უნდა,
იქ რა უნდა,
რა უნდა მაღლა?!
აუწვდენია გაჭიმული
ცამდე ხელები,
ქართულ მიწაში
გაუდგია მაგრად ფესვები,
სად საძმოდ ცხოვრობს:

ასურელი, იმერ-მესხები,
უფლის სიყვარულს
უსათუოდ დავესესხები.
დგას კიპარისი, ერთადერთი,
ბაბოს ეზოში
ნეტავ ვინ დარგო?
ან რა მიზნით,
ან რომელ დროში?
... ცაში აწვდილი კიპარისი
ელის საოცრებას,
როგორ შეუძლია
ამდენი ლოდინი?!
— იწვევს გაოცებას!

18.07.2012

ამოვა ია

ორიათასი წელი მოსულა,
ვერ გაგვიგია ქართველთ რიგიან,
ახლა გვმართებდა ლხინი, ზეობა
ეს დღეები კი წყენით მიდიან.
საქორწინონი ბევრნი გვყავს ირგვლივ,
ზამთარიც გავა მწუხრის და ყინვის,
გაალღობს გულებს გაზაფხულის მზე,
ამოვა ია, დათბება ირგვლივ.
მარად იკაშკაშებს ცაზე ვარსკვლავნი,
მარად იქნება ბრდღვიალა მზე,
მარად იარსებებს ქვეყნად სიყვარული,
მარად ვიქნებით ამქვეყნად ჩვენ!

01.01.2000

ლექსი დედაზე

დედა — საწყისი ქვეყნად ყოველის,
დედა — ცხოვრების ბოძი მედგარი,
დედა — სიცოცხლე ჩაუქრობელი
დედაზე ტკბილი ქვეყნად რა არი?!
გამოგივლია დღე გაჭირვების,
გულს უმაგრებდი დაჭრილთა გროვას,
არ შორდებოდი მამაკაცს გვერდით,
თქვენ ერთი გქონდათ
ლხინი და გლოვა.
დედა — მებრძოლი რკინის ფარაჯით,
დედა — ლოდინი შვილის დარაჯით,
დედა — ნაღველი, უთქმელი დარდი,
დედა — მოხუცი დაღარულ სახით.
დედა — ცოცხალი, ძაძით მოსილი,
დედა — ჯარისკაც შვილს მომლოდინი,
დედა — იმედი, ხვალის ნათელი,
არა, არ ჩაქრეს დედის სანთელი!
დედა — ექიმი, მასწავლებელი,
დედა — კოსმოსის გზების მნახველი,
დედა — ალერსი, დედა ნუგეში,
ვინ, ვინ ჩაგიკრავს მისებრ უბეში?
თქვენია მარტი, ქალთა დღე დიდი,
თქვენია საძმოდ შეკრული ხიდი,
თქვენია ქვეყნად ნათელი ზეცა,
გზას გინათებდეთ მშვიდობის დღეცა!

03.17.1987

დედასადმი

და იყო დედა...
ღვთაება იგი
საწყისი ყოვლის:
სიკეთის, რწმენის...
მშობელი დედა
წყარო სიცოცხლის,
დაუშურველად ყოვლის გამჩენი.
დედა შენება, დედა კეთება,
დედა სახეზე ნაოჭი ხშირი,
დედა თმათეთრი, გულდაღარული,
ხელდაკოჟრილი, გულჩათხრობილი.
და არის დედა იმედი დიდი,
შვილთა მფარველი ჯვარანგელოზი,
ნუ მოგვეშალოს, ნუ მოგვეშალოს
დედების ლოცვა საქართველოში!
დედით ყოველთვის მაგრები ვიყავთ,
პატარობისას თუ დიდობაში.
ის გვასაზრდოებს სულით და გულით,
დედა გვყოლოდეს სულ მშვიდობაში!
ო, მახსოვს დედა, ტანჯვით, წამებით,
კეთებით, შრომით, სულ შენებაში,
„შვილებს რაიმე არ გაუჭირდეთ“, —
ძილშიც შფოთავდა დედის ხმა მაშინ.
და ახლა, როცა სახლიც გვაქვს, კარიც,
და ყველა კარგად თავის გზას ადგას,
ო, მაშინ დედა, ო, ისევ შფოთავს,
გამოუწია იმ შრომამ ახლა.
და დედის ტვირთი ასე დიდია,
ჭაპანი იგი უღლისა მძიმე,
თუ გაებმები, უნდა გასწიო

და გაიტანო ის ხნული ისე,
რომ შიგ ჩათესილ თესლმა კეთილმა
ნაყოფი მოგვცეს სულზე უტკბესი:
იად და დიმად, გელად და ლელა-ბელად,
გიგა და გაგად გადმოსახედი.

03.05.1995.

მამას

ზამთარი მოდის, ფიფქები ცვივა,
ქარი ქრის, ნამქერს ქვევითკენ გზავნის,
სახლში კი თბილა, ო, ისე თბილა,
ბუხრის პირს ფისოს ჩასთვლიმოს ლამის.
კოპიტის შეშას ტკაცუნი გააქვს
და იწვის, იწვის, ანათებს ალი.
დე, მუდამ ენთოს სიკეთის სხივი,
გაგვბრწყინებოდეს ცხოვრების კარი.
სიცოცხლის დიდი საწყისი — დედა,
ცხოვრების დიდი ბურჯი ხარ — მამი,
ნუ მოგვიშალოს მაღალმა ღმერთმა
შენი ხმა, შენი მარჯვენის მადლი.
ვინ იცის, რა არ გადაგხდა ნეტა,
როგორ აეწყო შენი იღბალი,
მაგრამ სიკეთემ გაიმარჯვა და
მტერს მოუკვეთე გული ჯიგარი.
ჯერ სულ პატარა დაგტოვა მამამ,
მიშას სიკვდილმა გული გაუპო,
დედის ანაბრად დარჩით ობოლნი
და თქვენი გზები ასე გაიყო.
შენი შრომით და როგორი შრომით
შექმენ ოჯახი სტუმართმოყვარე,

და ამ შრომაში თმაც გაგითეთრდა,
შენი ხელები ამბობს ყველაფერს.
გავიდა წლები, წამოვიზარდეთ,
ო, გვზრდიდი ისე როგორც „დრაკონი“,
მე ახლაც მახსოვს ჩაი და ყანა
თუ ბაღი იგი ჩემი ნათოხნი.
სირცხვილი არცერთს არ გვიჭმევია,
ცივი მჭადით და პრასით გაზრდილებს
და ახლა, როცა სიძეც გყავს, რძლებიც,
გიზრდით შენებურ კაცურ ყმაწვილებს.
პირველი იას ეფერებოდით,
დასაფიცარიც არის ყველასი
რადგან ამხელა ბატალიონის
გზის დამლოცველი არის ყველასი.
ია და დიმკა, გიგა და გელა,
ლელა და ბელა, გაგა, თამარი,
სახელის, გვარის, გამგრძელებელი
გეშენებინოთ აწიც მრავალი.

15.12.1995.

ფენიჩკა ბებიას

ჩვენო გამზრელო ბებიკო,
მოგეფერები, დაგკოცნი,
თურმე რა მძიმე უღელი
გიტარებია ამ ყოფის.
ჩემო ფენია ბებია,
იმნაიშვილო გვარადა,
ეს შენი სათუთი გული
ამ ტკივილს როგორ მალავდა?!
შვილმკვდარი დედა თუ იყავ,

ძმაც თუ მოგიკლეს „იმ დროში“,
ქმარი თუ დაასაფლავე
და არ გებადა თვით გროში.
 ეს ჩვენ არცერთმა ვიცოდით,
 ეს შენგან ჩვენ არ გვიგვრძვნია,
გიტარას ისე უკრავდი,
 ატირდებოდა ნიბლია.
თინა და ბუხუ გაზარდე
იმ გაჭირვებულ ყოფაში,
გითენდებ-გიღამდებოდა
ტანჯვა-წამება, შრომაში.
დედას დედობას უწევდი,
კავშირი გქონდათ ართქმული,
ამიტომ ღმერთმა თქვენს შვილებს
ცხოვრება მისცა ზღაპრული.
ჩვენს გულში შენი ადგილი
მუდამ იქნება ნათელი
ტკბილად იძინე, ბებიკო,
არ ჩაქრეს შენი სანთელი!

07.07.2014

ექსპრომტად დაწერილი

მეც მიწერია ლექსები,
თათარაიძის გვარისო,
ლექსო არ დაიკარგები,
დიდო იმედო ხვალისო!
ზოგს გაუხარა გული და
ზოგიც გაგლიჯა ლამისო,
ლექსი მზე არის კაშკაშა,
მთვარე — უკუნი ღამისო!

25.10.2011

ოთხი დეკემბრის მთვარეს

დეკემბრის მთვარევ,
გვირგვინით შემკულო,
კაშკაშა ვარსკვლავნი
გიმშვენებს მხარს,
მშვიდობა მოავლინე,
მარადის ერთობა,
გერტყას ურიცხვი
ვარსკვლავთა სპა.
იყავ მედიდური,
იყავ ქედმაღალი,
მაღლიდან დაჰყურებ
ქვეყანას მწყრალს,
ნუ აბობოქრდები,
ნუ დაიმალები,
იხილე ძირს მიწა
და ირგვლივ ცა.
იყავი დარაჯი
მძინართ და
თვალხილულთ,
იყავი მნახველი
სიკეთის კვლავ.
დაე! სიყვარული
იდებდეს სათავეს
ღამეს, მხოლოდ ღამეს,
მარადის, კვლავ!

05.12.1997

ნეკოს პეპელა

პეპელა რტოზე ჩამოჯდა,
ჩამოასვენა ფრთებიო,
ნეტავი ბევრი იფრინა?!
ნუ, ნუღარ დაიღლებიო?!
შენ ალამაზებ გარემოს,
ჩემო ლამაზო პეპელავ,
გუშინ ჩემს ვარდზე იჯექი,
დღეს მინდვრად წასვლა გეძნელა?!
იყავი ჩემთან, ფერიავ,
იფრინე ვაშლის ტოტზედა,
შენ გაზაფხულთან მოხვედი,
გაინავარდე მზეზედა.

04.09.2007

პასუხი ნეკოს

ია რომ ყვავილია,
ეს, ვიცი, ჩემო ნეკო,
მე სხვა მაოცებს, კარგო,
ის ნიჭი, შენ რომ გერგო.
მე შენს თვალებსა ვკოცნი,
ცრემლს — შენს ღაწვთაგან მდინარს,
გიკოცნი გულის კუნჭულს,
სახეს, ყველასთვის მცინარს.
მაოცებ შენი ნიჭით,
ლექსით, რითმების წყობით,
გასაოცარი აზრით,
გრძნობით, ფიქრით და ნდომით.
წერე, პარტარა ქალო,
გქონდეს მუზების წყარო,

ულევი სხივი მზისა,
ლურჯი ტალღები ზღვისა,
ჟუჟუნა წვიმა ცისა,
და არ მოგშლოდეს ქვეყნად
იმედი მომავლისა!

02.01.2002

ნინოს და რაჭველს

ნინოს უბრწყინავს თვალები,
გამაცნო თავის რჩეული,
წყვილი ვიხილე წირვაზე,
არ ვნახო გოგო ეული!
ყველას ეპოვოს მეორე
ჯიშით და გვარით რჩეული,
გოგრიჭიანებს დავლოცავ,
გფარავდეთ ძალა გრძნეული!
შვიდ წელს იფიქრა რაჭველმა,
ბოლოს თქვა: „ნინო ჩემია!“
გამრავლდით დედამიწაზე,
რაჭას ხარობენ კლდენია!
საითაც წასულიყავით,
დღენი გქონოდეთ მზიანი,
ამრავლეთ საქართველოში
ქალ-ვაჟნი მხარბეჭიანნი!

12.03.2014.

გოჩას

სიძეს სიდედრი უყვარდეს,
მე არა გამიგიაო,
რატომ არ უნდა გიყვარდეს,
ვინ გაგიჩინა იაო?!
მერე სალომე
ვინ შობა,
ან საბა გვარამიაო?!
არც იას დასჭირვებია
ის სამი კაკალიაო!

14.01.2014

დიდების კარი

ათი წელი გაკავშირებთ
ამ დიდებულ სავანეს,
ათი წელი, ათი წელი...
სანატრელი დროა,
სიყმაწვილის ეს ძვირფასი წლები
არასოდეს, არასოდეს მოვა.
აქ ისწავლეთ ია, ანი ბანი,
აქ აიდგით სახვალიოდ ფეხი,
აქ აიწყვეთ მოსირმული ფრთები,
ჰა, დასერეთ აწ ცხოვრების გზები!
არასოდეს დაივიწყოთ, არა,
ის პირველი ღვთაებრივი ღმერთი,
ვინაც წრფელად ჩაგიხუტათ გულში,
როგორც დედა ის არს ერთადერთი.
ვინც გასწავლათ ერთმანეთის ცნობა,
სიყვარული, ერთგულება, ძმობა,
თმენა, მკობა სიკეთისა დიდის,

არასოდეს, არასოდეს, არასოდეს
დაივიწყოთ იგი!
დღე დღეს მისდევს,
წელი წელსა იმკის,
ისე განვლეთ, ვერც გაიგეთ, ალბათ,
რა ტკბილია მოგონება იმ დღის,
როს დარჩება ცხოვრებაში ზღაპრად.
ის პირველი გაკვეთილის ზარი,
ის ნათელი გამოხედვა თქვენი,
მორიდება, სიყვარული დიდი,
დასაწყისი ამ გზის ძნელზე ძნელი.
თქვენ გაიგეთ ამ ცხოვრების არსი,
რისთვის გაჩნდით,
რატომ ცხოვრობთ ქვეყნად,
თქვენ შეიგნეთ, რომ სამშობლოს შვილი
იყოს ქვეყნად სანიმუშო ყველგან.
ასახელეთ საქართველო დიდი,
მშობლიური, საყვარელი დედა,
საძმო მიწა მრავალეროვანი,
ააყვავეთ თავდადებით ყველამ.
დღეს გაისმის საზეიმო ფიცი,
დაირეკა ბოლო სკოლის ზარი,
არასოდეს დაივიწყებთ ვიცი,
ვინც გაგიღოთ ამ დიდების კარი.
გაიხედეთ, გზა დიდია, დიდი,
აირჩიეთ, ვინ იქნებით ნეტა?
მთავარია, იყო წრფელი, ზრდილი,
გქონდეთ ცნობა სიკეთისა ქვეყნად.
ასახელეთ თქვენი სკოლა დიდი,
დააფასეთ აღმზრდელები თქვენი,
გაიხარეთ ცხოვრებაში ყველამ,
ია-ვარდით მოგეფინოთ გზები.

05.14.1987

საშობაო

გულით გილოცავთ შობა-ახალწელს,
მშვიდობა იყოს მეგზური თქვენი,
ჯანისმრთელობა, ულევი სითბო
და სიყვარული ყველაფრის მთქმელი!
არ მოგკლებოდეთ მადლი უფლისა,
გფარავდეთ მუდამ ღვთისმშობლის კალთა,
ვიყოთ გამტანნი, ვიცხოვროთ ძმურად,
გვემკოს მზისფერი თავთუხის ყანა.
მარად ისმოდეს გალობა სიონს,
გამრავლდეს ქვეყნად ტაძრისა მრევლი,
მუდამ გვახსოვდეს ღაღადი უფლის,
უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი!
წინ გზა დიდი გვაქვს გადასავლელი,
ნუ შეგვაშინებს მძვინვარე ტალღაც,
დე, გაუმარჯოს შობა-ახალწელს,
მრავალჟამიერ გრგვინავდეს მაღლა!

12.23.1999

ბატონ — ლაშა ჟვანიას!

ვითხოვ უფლისგან,
მოგეცეს ძალა.
გეკეთებინოს
 სიკეთე ქვეყნად,
უკვე შესძელით,
უძლური ქალი
მიგეღოთ, როგორც
 მშობელი დედა.
თქვენ, თქვენი ქვეყნის
ტკივილი გტკივათ

და თქვენ გრძნობთ
ცემას მაჯისას ხალხის,
თქვენ საიდუმლოს
ამოხსნა იცით,
თქვენ ხართ რჩეული
უფლისა სახლის!
დე! იმზეგრძელოს
საქმემან თქვენმა,
გიმრავლოთ მოძმე
სიბრძნისა მჩენი,
საქართველოსთვის
სწორდით, ბიჭებო!
არ მოგეშალოთ
მზიანი დღენი!

14.05.2008

მამუკა ისაკაძეს

მას, ვისაც უყვარს
მოსმენა ლექსის,
მას, ვინც სამშობლოს
დაუდგა გვერდით,
ვის ბეჭებზეა
უღელი ქვეყნის,
ღმერთმა დალოცოს,
აკურთხოს ზენით!
ამ დიდებულ გვარს
ამაყად ავრცობს,
ქალ-ვაჟს გიკოცნი,
ახლა რომ ანცობს!
ბარაკონს წასულთ
დაუნთებ — სანთელს,

ღმერთი მათ სულებს
მოაფენს ნათელს!
... შენს პაპას,
ქვეყნის სასაკლაოზე
მიუტანია სიცოცხლე
თვისი,
რაჭას დატოვა
უსათნოესი ქალი
თამარი
და შვილნი მისი...
სისხლი ისევ
ჩქეფს
მუხლის — მთის კაცის,
ღმერთმა ინებოს
დიდება ამ ცის!

31.10.2013

ვუძღვნი ნორა ისაკაძე — ომიაძეს!

რაჭიდან ჩამოგვიტანეს
მოსაგონარი დიადი,
ომარის, საბას დაუდევს
კომპიუტერში სურათი.
ეკრანზე რაჭის სახლია,
წელთა სიმრავლე ატყვია,
ირგვლივ ციყვები არტყია,
აივანს მერცხლის ბარტყია.
სახლი ღიაა ყველასთვის,
იქ, გვერდით „განის წყალია“,
აღარ მიდიან წყაროზე
მუხლის ლამაზი ქალნია!
საით წასულან ნეტავი?

ლენა, ქეთო და მარია,
აღარც გუგულა არა ჩანს,
აღარც ვანტო და კლავდია!
თამარის აშენებული
ფუძე ისეთი მყარია,
ვერარას აკლებს ჟამთა ცვლა,
მოსასვლელია ქმარია!
რაჭას დატოვა ცოლ-შვილი,
ვინ დაუხუჭა თვალია?!
ამ ეზო ყურეს ავსებდა
ისაკაძების გვარია!
... ხან წვიმა მოდის,
ხანაც თოვს,
ხან უსაშველო ქარია,
სახლი აავსე მიმსვლელით,
ამას გთხოვ დედა-მარია!

17.06.2014.

სოფელი მუხლი
ისაკაძეების საგვარეულო სახლი

სახლი ეული

მუხლში დგას სახლი...
უწინდელ დროში
აღვსილი ხალხით,
ხალხით, რა ხალხით?!
... ამ სახლის კედლებს ახსოვთ
რაჭული სითბო დიდი,
აქ გადებულა ოდეს
ბავშვობის ნატვრის ხიდი.
მოწყურებიხარ ყველას,
ვინაც გიხილა ერთხელ.
გახსოვს? ვეძებდით ტყეში
პანტას, მაჟალოს, ძეხველს!
რაჭულს ერწყმოდა დიდი
ძაძამიების ხიბლი,
გურული ქალის რძლობა,
ვანტოს, გუგულას დობა.
ისაკაძების სახლი,
რაჭას მოელის მიმსვლელს,
მსხალი ისევ დგას გვერდით,
როგორ უყვარდათ მისებს!
აღარ გაივლის გოჩა,
აზანზარებდა იქ მთებს,
გოგი, თამარი ჩავლენ
და აისრულებს მიზნებს!
მაიკოს, მამუკას გული,
სავსეა სიყვარულით,
ჩემებშიც ყივის სისხლი,
ათრთოლდნენ სიხარულით!
ნორას შვილები ჩავლენ,
გიას მოსვლია მუზა,
იხილეთ სახლი რაჭას —
აი, ჩაეშვა ღუზა!

09.06.2014

ელენე ნუცუბიძეს

შვლის ნუკრს გამსგავსე ჭიუხვზე
შემოფეთებულს ანაზდად,
შენი ბროლივით სიცოცხლე
გაგევლოს სუფთად, ლამაზად,
სხვა ვერა მოვიგონე რა,
შვლის ნუკრი ვპოვე სარკაზმად!
არადა ჩინარს გამსგავსებ,
ცისკენ ატყორცნილს ველადა,
პროსპექტზე რამდენი ბიჭი
შენით გამხდარა ხელადა,
რამდენს გაუთბე გული და
რამდენს აუვსე ხელადა,
ვიხილე ყმაწვილების ჯგრო
გაშტერებული მზერადა!
მე კი ფაფუკ ფიფქს გამსგავსებ
ჯერ არ დაცემულს მიწადა,
ნეტა იმ ვაჟკაცს, რომელსაც
გახდიდე შენსა ღირსადა!
ქარი გიწეწავს დალალებს,
თვალნი ანათებს მზისადა,
მე მარჯნის თვალი მგონიხარ
მოვარაყებულ ზღვისადა!
არა, ვარდი ხარ მაისის,
ცვარდანამული დილისო,
ნეტავი ღმერთი ვის გახდის,
ანახვებს შენსა ღიმილსო?
დედის გული ხარ ნეტარი,
მამიკოს გულის ფიცარი,
ძამიკოს — თავმოსაწონი
და ხატზე დასაფიცარი,
შენ საქართველოს შვილი ხარ,

ნუცუბიძე ხარ გვარადა,
გფარავდეს დედა-მარია,
უფლის კურთხევა მარადა!
... მიწად ღიღილო გეფინოს,
ზეცად — ნიშანი ღვთისაო,
წინ პურის ყანა სამკელი,
თავთუხა, სავსე, ზღვისაო,
აგსრულებოდეს სურვილი,
რაც რამ გქონოდეს გულსაო,
მუდამ გახსოვდეს ბაგაში,
ყრმას რომ აძლევდნენ
ოქროს, გუნდრუკს და მურსაო!
აი, იმ ვარსკვლავს მიჰყევი,
ეს გზაა მხოლოდ ხსნისაო,
გიყვარდეს შენი მოყვასი,
ძმას არა შურდეს ძმისაო,
მამულს არავინ გართმევდეს,
მტერი განერთხას ძირსაო,
ყველამ იცოდეს, მოდიან
ყლორტები მარაბდისაო!

11.01.2014

ნინო ფერიშვილს

ბრონწეულის ყვავილო —
ალნადებო მზისაო,
ნიჟარაში შობილო —
მარგალიტო ზღვისაო,
მონაბერო ნიავო —
მაგრილებელ მთისაო,
დილის ცვარო, ნაპკურო,
მაისის ვარდისაო,
ხმაჭიკჭიკა ბულბულო —
გაზაფხულის დღისაო,
შვიდფერო ცისარტყელავ —
შემამკობელ ცისაო.
გასახეთქო კოკორო —
ატმის ყვავილისაო,
აგვისტოს დღის სიგრილევ —
ცაცხვის ტოტებისაო.
პურის ყანა სამკელო —
„ბროლოსან-ალისაო“,
მონაყოლო ამბავო —
ვერხვის ფოთოლისაო,
დაკალმულო თვალ-წარბო,
თამარ დედოფლისაო,
შენი თეთრი მანდილი
კამკამ დილის მზისაო,
სავსე უბე შვილებით —
შესაშური ყმისაო!

20.01.2014

ნონას!
ბაჩალიაშვილი — როსტიაშვილი

დაბადების დღეს გილოცავ,
დალოცვილი იყავ ღვთითა,
სულ შვიდფერი ცისარტყელა
დაგნათოდეს მაღალ ციდან!
შენი თბილი გული მუდამ
სავსე იყოს სიხარულით,
შენი დიდი ცხოვრების გზა
გაგექროლოს სიყვარულით.
რუდუნებით შექმენ კერა,
გვერდს გიმშვენებს
ვარსკვლავთსწორი,
ულამაზეს ჯაბას, ნინოს
მიუმატეთ კიდევ ორი!
საინგილოს დაიბადე
გოგი პაპას ოჯახშია,
ყოველი დღე გითენდება
საქართველოს ლოცვაშია!
მინდა, გულით მოგეფერო,
ჩემო თბილო, ტკბილო ნონა,
მე მგონია ქვეყანაზე
არვინაა შენი წონა!
შენ ისეთმა დედამ გშობა,
შენ ისეთმა მამამ გზარდა,
კიდევ ერთი მაცქატუნა
ჩემს დიმიტრის გაუზარდა!
„გიშის“, „ქურმუხს“ შევავედრებ
გაგითენდეს დღე ნათელი,
შეინიროს მაღალ ღმერთმა
შენი ლოცვა და სანთელი!

28.01.2014

ნონა დეიდას — ელენესაგან

ელენიკო მოგილოცავს
დაბადების დღესო,
დეი, შენსა დღეობაზე
მანდ მიგულე მეცო!
ამ პაწაწო თათულებით
ყვავილს გჩუქნი —
ია-იას,
გიცეკვებ და დაგიმღერებ
ჩემს საყვარელ
ტია-ტიას!

28.01.2014

ვუძღვნი — პატარა ირინას

ულამაზესი ყოჩივარდას შეკრული კონა
დიდი პატივით ამოიღე ჯიბიდან ნაზად,
გულისფანცქალით მომილოცე რვა მარტის დღე და
მორიდებით ამომხედე დაბლიდან მაღლა.
ლექსს მოგიძღვნი-მეთქი,
აღგითქვი იმ დღეს,
არ მინდა დაგრჩე ვალში,
შენ სიყვარული მიწილადე და
ვინ ვარ ყოჩივარდას თვალში?
ღმერთო, დამილოცე ლამაზი ირინა
მშვიდობის მომტანი ქვეყნად,
მიეცი სამშობლო საამაყო და
შვიდფერი ცისარტყელა ზეცად.
გაზაფხულს ყვავილებს გაუცინებს და
ზამთარში ფაფუკ თოვლს პენტავს,
ღმერთო, გაახარე პატარა ასული,

თვალი არ გაექცეს სხვებთან.
ყველა ოცნება აუსრულე და
აფრინე ღრუბლების ძნებთან,
კეთილი ხალხი არ მოუშალო და
განერთხას სატანა ფერხთან.
ჯერ პატარაა, სულ პაწაწინა,
გულით კი სიყვარულს თესავს,
მშობლები უცოცხლე და
და-ძმანი უმზეგრძელე,
ბებო, ბაბუკა და მეცა.
ჩემო ირინა, გკოცნი, გეხვევი,
მინდოდა მადლობა მეთქვა,
სიტყვები უძლურია, გულით გეფერები,
გაკურთხოს მაღლიდან ღმერთმა!

13.05.2003

ქალბატონ — ნანას

თქვენ მზეს შეგადრით
თბილსა და დიადს,
რომლის სხივები
გულს სწვდება ზვიადს.
არა! — შეგადრით
მთვარეს, გაბადრულს,
გზას რომ უნათებს
ღამით ნაკადულს.
ყვავილს შეგადრით —
გვირილას სპეტაკს,
რომელიც ათრობს
პეპელას ნეტარს.
წვიმას შეგადრით
მაისის თვისას,

ჩიტებს რომ ნამავს
ზეცაში ღვთისას.
არა, ნანას შეგადრით,
დედოფალს ქართლის!
მორწმუნეს, მორჩილს
სჯულისას მართლის.
არ მოგეშალოთ
მშვიდობა ქვეყნად,
სიკეთე ყველამ
 ვაკეთოთ ერთად,
რათა ღიმილით
იაროს სალიმ,
ელენემ, საბამ,
თეკლამ და მარიმ.
პატარა გულები
სავსეა პირამდე,
თქვენი სიყვარულით
ხვალინდელ დილამდე!

04.06.2010

ქალი ვიხილე...

ქალი ვიხილე საკურთხეველთან,
მთხოვნელი ღვთისა, არ ვიცი რაის?!
ღმერთო, რაც გთხოვოს მას შეუსრულე,
არ გასცდეს აპრილს, არ გასცდეს მაისს!
გახარებული მეხილოს ყველა,
შესრულებოდეს ყველას სურვილი,
ვეახლოთ უფალს, ვილოცოთ გულით,
დაძლეულ იყოს ჩვენი წყურვილი!

06.03.2013

ანასტასია ბახტაძეს

როგორ გიხდება წითელი თავსაბური,
ქმნილებავ ღვთისა, ალვისა ტანით,
თვალი ვერ მოვწყვიტე შენსა სილამაზეს,
წირვაზე მდგომი გავბეცდი წამით!
თითო კაკალს ღმერთი ყველას აძლევს,
უნდა გატეხო ან დღით, ან ღამით,
ეს შანსი უნდა გამოიყენო,
მერე სულ წყვილად იცურეთ ნავით!
ნაპირთან დედა მოგიფანცქვალებს,
გურული ქალი, ძლიერი ბანით,
სულ სასიმღეროდ გქონოდეთ საქმე,
წითელ ვარდს გჩუქნი დაცვარულს ნამით!

06.03.2013

გერგეთელ ქალს!

ხევის შვილობას რად ჩემობ,
ან რად გახურავს მანდილი,
თუ წინაპართა სალოცავს
არ უთხარ შენი წადილი?!
გერგეთის წმინდა სამება
იცავს საფიცარ მთა-მდელოს,
მთელ საქართველოს მფარველობს
ბეთლემის თეთრი საყელო,
თვალი გაქვს, ვერ დაგინახავს,
არც ყურთა სმენა გქონია,
ამგვარი უსამართლობა
მართლა არ გამიგონია!
გვიან არ არის აროდეს,
დაბრუნდი ქრისტეს სამოთხეს,
ხევ-ხუვს გაზრდილო ქალაუ,
ღმერთი გიკურთხებს გამომზრდელს!

05.06.2010

ქალბატონ მარინა ტყემალაძე- ტაბლიაშვილს

მოგესალმები კრძალვით, ქალბატონო
ულამაზესო, რჩეული გვარით.
თქვენი სიკეთე ღმერთმა შეიწიროს,
დალოცვილ იყავ უფლისა ძალით.
თქვენი წინაპრის სათუთ მიწაზე
დავადგი ფეხი, ვიპოვე მადლი,
მეც გავხდი ღირსი, მეხილა მღვიმე
და მომელოცა მაღალი კაცხი.
ასწლოვან ბზების რიგი ვიხილე,
როგორ მწყობრშია გაზრდილნი ლოცვით,
იქ კიპარისი ცად ატყორცნილი
გვეფერებოდა, გვავსებდა კოცნით.
თქვენსა წინაპართ ნათელი მარად,
თქვენ გახარება ქალაქად, ბარად,
მე თქვენ გიხილეთ ღვთისრჩეულ ქალად.
ულევი წელი უფალი ფარად!

16.07.2012

იაკობ შონიას დედას

ვლაქერნობას ვიყავ ზუგდიდს,
ქალი ვნახე საარაკო,
ენგურის პირს ამშვენებდა,
შეგშურდება შენ, არაგვო... .
აქ ღვთისმშობლის კვართი ვნახე,
იქ — სამების სალოცავი,
არ მოაკლო ორთავ კუთხეს,
ღმერთო, შენი დამლოცავი!

20.09.2011.

გია მერკვილაძეს

შენ, ჩემო ძმაო,
ღმერთი გაკურთხებს,
შენ არ მოსწყდები
საძმოს ქვაკუთხედს,
არ გატკენს დიდ გულს
სავსეს ბადაგით,
თავს არ მოგაწყენ
ჩემი ქადაგით.
მაგრამ ეს ვიცი,
დიახ, ასეა ...
კაცმა, რომელიც
უფლის გზით დადის,
იღწვის, ლოცულობს
საზვერეს გადის,
ხედავს სიკეთეს,
უყვარს მოყვასი,
არავინაა მისი ტოლფასი!
რაც მთავარია,
მან იცის ფასი
ამქვეყნად დროის,
დაკარგულ განძის!
აი, რა თქვა მან:
„მე შემიძლია
საათის ორში
ვილოცო ვეჯინს,
გერგეთს, ილორში,
ავუნთო წყვილად
სანთლები გმირებს,
რომელთა სისხლი
ყივის დიდგორში.“
ყველამ ვიცოდეთ
დროისა ფასი,
აი, რა არის
ცხოვრების არსი!

27.06.2011

ძმა — ალექსანდრე წოწორიას

კოლხელი ლაზის დალოცვას
ვღებულობ წრფელი გულითა,
სიტყვები ვერ მიპოვნია,
აღმატებული სულითა!
მოყვასს რომ ჩაეხუტები,
დას რომ უწოდებ ჯიგრულად,
მითხარი, ამას რა ჰქვია?!...
ღმერთმა გაცხოვროს მდიდრულად!
სხვას რომ სიკეთეს უკეთებ,
რომ ხარობს შენი გულია,
ამ სიხარულით გეცხოვროს,
დაგეპყროს მთელი დუნია!
შემოგჯარვია ძმაკაცნი
შენი ლექსებით პყრობილი,
არ დაგელიოს ამქვეყნად —
მორწმუნე და და ძმობილი.
ასრულდეს შენი ნატვრა და
იხაროს შენმა ჯილაგმა,
ვინც შეგეცილოს მამულში
მიწას გაკრული პირაღმა!

26.10.2013

ზურა იაშვილს

ნეტა იმ გოგოს, ვისაც ეღირსოს
ჩაძირვა შენსა ცისფერ თვალებში,
მხოლოდ თავისად გიგულვოს მარად
და გაიტრუნოს შენსა მკლავებში.
ნეტა იმ ასულს, ვისაც დაადგამ
გვირგვინს გვირილას, მოწნულს ალპებში,
სადაც რბის თერგი და ნავარდობენ
მთისა არწივნი კლდისა კალთებში.
შენს სიმღერაზე აფეთქდა გული
და გაიყინა სისხლი ძარღვებში,
ვინც ავი თვალით გამოგიჭყიტოს,
ყველა ჩააგდოს ღმერთმა შავ დღეში!

30.06.2012

ვეფხია მაჩიტიძის ლოცვა

ვეფხიას ლოცვა
ისმინა ღმერთმა,
ყველამ იხილა,
სხვებმა და მეცა!
გვერდს უმშვენებდა
ლამაზი ქალი,
ღვთის მგალობელი
და მტკიცე რვალი.
სივრცეს ავსებდა
ნაზი ჰანგები,
იქით, შორს დარჩა
გულის დარდები,
ახლა კი დროა
ცვენა ყვავილთა,
მხოლოდ ვარდები,
მხოლოდ ვარდები!

17.01.2012

უგისას, გელათის, მოწამეთას მოლოცვის შემდგომი ტრაპეზი

სიხარული არ მოაკლო
ორ ძმას სიხარულიძესა,
მშვიდობა და გამრავლება
ქვეყნად ჰქონდეთ იმათ ძესა!
ჩვენ აროდეს დავივიწყებთ
სითბოთ სავსეს ამა დღესა,
ერთიანი საქართველო —
იმათ მთვარეს,
იმათ მზესა!

07.10.2011

ძმებს სიხარულიძეებს

სულ სიხარული
გქონოდეთ ჯანში,
არ მოგეშალოთ
მშვიდობა სახლში,
მზისფერი ღვინო,
ლიცლიცა — ჯამში,
ასეთი გუნდი —
სიმინდის ნადში,
თავთუხა კალო —
პურისა მკაში,
უღალატონი —
ნაფიცთა ძმაში,
ბან-მოძახილი —
სიმღერის თქმაში,

კელაპტრის ღვენთა —
უფლისა სახლში,
თეთრი გემები —
სოხუმის ზღვაში,
ლამაზნი ოვსნის —
ნარნარი დასში,
უფლის ნიშანი —
უღრუბლო ცაში,
არვინა გჯობდეთ
სიკეთის ქმნაში,
ღმერთმა გამრავლოთ
ამ ქვეყანაში!

07.10.2011

დავით კოპალეიშვილს

ჩვენს დავითის დღეობაზე
ლხინსა არ უჩანდა ბოლო,
აქეთ ცეკვა გაუმართავთ,
ოქრო გოგოს ისმის სოლო,
ხელებს კვანწავს ოსტატურად,
კობა არის მარჯვედაო,
ხან დააბამს, ხან აუშვებს,
იღიმება განზედაო.
ვიხოცებით, ვუკრავთ, ვმღერით,
მძღოლი ითმენს კბილის ღრჭერით.
ხან ოსურის ილეთს იჭერს,
ხან ზეცაში აიჭრება,
ხანაც გაშლილს არწივივით
ფრთებს ფარფატი მოუხდება.
საოცარი ღამე არის,
ჩვენ გვიფარავს არგვეთს ძმანი —

დავითი და კონსტანტინე,
ღვთის დაშვებით ჩვენთან არის.
დაილოცოს უფლის გზები,
წინ ბევრი გვაქვს გასავლელი,
ღვთისმშობელო გევედრები,
მოუმართე ქართველთ ხელი!

05.10.2011

ვასილის

აჩხოტს გვისტუმრა ვასილიმ,
წყალობდეს წმინდა ბასილი,
იქ უწმინდესის მეზობლად
ღვთის გაიმართა სადილი.
რა თბილი გული ჰქონია,
როგორი დიდი, ტევადი,
სიგრძით მაგიდა გაეწყო,
ღვინო მოგვართვა ხელადით.
ქუხდა სიმღერა მის სახლში,
თუმც ცალუღელა ხარია,
მის ცოლს იქ, აქ კი მის ოჯახს
ფარავდეს დიდი მარია!
ღმერთმა უცოცხლოს მშობლები,
შვილი — გულგასახარია,
ცხვარ-ძროხა ბევრი ჰყოლოდეს,
ერკემალი და ხარია.
ნისლი გადვიდეს მთის წვეზე,
ბევრი მზიანი დარია,
აქ პატრიარქი შობილა,
თქვენ შემოგნატრით ბარია!

01.08.2012

გულიკო ჟღენტს

არვინ ჩაგიკრავს ისეთი კრძალვით,
არვინ გატარებს ჩუმად, მალულად,
არვის არა აქვს ისეთი სითბო,
მხოლოდ შენ დაგაქვს გულით ფარულად.
თვალები გეძებს, გეძახის გული,
გულო მოგელი ნაკადულს მდინარს,
შემოანათებს ტაძარში სხივი და
შენსა სახეს მანახებს მღიმარს.
ისმის გალობა ანგელოზთ დასის,
მათ ხმას შერწყმია შენი ხმა მშვიდი,
შევთხოვ მაღალ ღმერთს, მოიღოს მადლი,
წყალობა იყოს, ო, დიდზე დიდი.
შიშველი ფეხით მოგილოცნია
წმინდა „ლომისი“, გერგეთს — „სამება“,
შენ გიხარია... შენ გტკივა, ვიცი,
ყველა მოწამის ტანჯვა-წამება!
შესმენილ იქნას ჩურჩული შენი,
გიბედნიეროს ასული, ძენი,
არ მოგკლებოდეს ლამაზი დღენი,
განიხვეს შენთვის სამოთხის ბჭენი!

29.01.2012

მარის — მატევოსიანი

მარი, ო, მარი
ღვთაება ღმრთისა,
მარად კაშკაშა
ვარსკვლავი ცისა,
სხივი ელვარე —
ნეტარი მზისა,
ოცნების ქალი —
ღამის და დღისა,
ნარნარი ტალღა —
ლურჯთვალა ზღვისა,
გადამღერება —
მდუმარე მთისა,
ატმის ყვავილი —
აპრილის თვისა,
სავსე თავთავი
თავთუხა — მკისა,
იყოს ბედნიერ
აღდგომის დღითა!
... ო, როგორ მინდა
გიხილო, მარი,
გვერდით გყოლოდეს
ერთგული ქმარი,
შვილები, როგორც
ვარსკვლავთბიჭუნა,
გოგონა-მორცხვი,
ღვთისმშობლის დარი!
ხარობდეს ყველა,
ამღერდეს ქნარი,
არავინ იყოს
თქვენი
სადარი!

10.02.2010

ელზა ხმალაძე-ხუბულურს

ყველაში ვძებნე სიკეთე,
მასზე ავაგე ლექსია,
მივეფერ — მოვერაკრაკე
რითმის ურღვევი წესია.
შენში კი ვნახე ერთგული,
ღვთისკურთხეული ქალია,
უფლის წინაშე მლოცველი,
შეუდრეკელი რვალია,
გიბედნიეროს შვილნია,
გვერდით გყოლოდეს ქმარია,
ნოდოს, საბუკას, სამი და —
ანა, სალი და მარია,
ღმერთის წყალობა თან გდევდეს,
გერტყას ფოლადის ფარია,
მშვიდობა გქონდეს მარადის,
ბევრი მზიანი დარია!

31.01.2012

ნინო ხუბულურს

თელეთს ვიყავი სალოცავს,
ხარობდა მთა და ბარია,
გულანთებული ლოცვითა
ხატთან ვიხილე ქალია,
იგი საოცრად ტურფაა,
იგი საოცრად წყნარია...
უმალ მივუხვდი განზრახვას,
„ამინ“ ვუთხარი ბანია,
ღმერთმა გაკურთხოს, ლამაზო,
მოგცეს ერთგული ქმარია,

შვილი მრავალი გყოლოდეს,
მრთელი ჰქონოდეთ ჯანია,
მშობლები დიდხანს გიცოცხლოს,
გიმრავლოს და და ძმანია!
თეთრ გემით სოხუმს სწვეოდეთ,
გიხმობს ილორის ზარია,
წინ მამა — ღმერთი გიძღოდეთ,
გფარავდეთ დედა — მარია!

10.06.2000.

ნონა ხუბულურს

შენი ღიმილი თანა მდევს,
 რარიგ ამინთე გულია,
შენნაირ სარძლოს ინატრებს,
რაჭა, ქართლი და გურია.
მინდა გიხილო დედოფლად,
შენი დალოცვა მწყურია,
შენი გაზრდილი ქალ-ვაჟით,
აივსოს მთელი დუნია!
წითელ ყაყაჩოს გამსგავსებ,
ყელმოღერებულს ველადა,
მასწავლებელი ქალი ხარ,
ვინ შემოგხედავს ცერადა?
იმას გაუგე, უყვარხარ,
ნუ, ნუ გაიხდი მტერადა,
თორე მოგიტაცს ქალაუ,
არ ღირხარ გულის ძგერადა.

30.01.2012

ოლიკოს!

თეთრ ფიფქს შეგადრი ქათქათას,
ჯერ არ დაცემულს მიწადა,
ნეტავი შემომხედავდე,
გამხდიდე შენსა ღირსადა?!
როგორღა ვიყო ცოცხალი,
თუ მეგულვები სხვისადა,
თავი „ყარამან“ მგონია,
იქნებ არც ვღირდე ფიქრადა?!

25.01.2010.

ირინა გოცირიძეს

შაკოს და დათას დედას,
მუდამ მშვიდობა ერტყას,
ჯანი გქონოდეთ მრთელი,
წირვაზე ტაძრად გელით!
ლოცვა ჩამესმის შენი,
გალობ უტკბილეს ხმაზე,
შენ დაიპყრობდი დარბაზს,
ფანდურ, ჩონგურ და ჩანგზე.
მინდა გიხილო, კარგო,
გახარებული გულით,
შენი ოჯახის ღვაწლი
შესმენილ იქნას უფლით!

12, 02, 2010

ოქრო წულუკიძე — კურტანიძეს

მართლა ოქრო ხარ,
სიხარულის მომნიჭებელი,
სიკეთის, სითბოს და
სიმღერის ქვეყნად მთესველი.
კახეთს წასულხარ მოსალოცად —
მეგრულს მღეროდი,
გერგეთს გიხილე მიმავალი —
იქაც კვნესოდი.
ზუგდიდს ხომ გაილაღე,
— იხარე გულო,
გელათს და მოწამეთას
გიგალობ, სულო!
გევლოს, გელოცოს
წინაპართა სულის საოხად,
წარსულს ჩაბარდეს
ავადობა, დარდი და ოხვრა.
მაღალ ღმერთს შევთხოვ,
გაგახაროს „ილორს“ მოლოცვით,
გეხილოს მტერი, მიმავალი
ჩოქვით და ფორთხვით.
აი, სამება!... წინ მიგვიძღვის
მამა ილია...
ვინც მას მიჰყვება,
ყველა კაცი დალოცვილია,
ნუ ჩამორჩები...
შეგაშველოს განგებამ ხელი,
მხოლოდ ეს გზაა გადამრჩენი,
ამ მოდგმის მხსნელი!

29.01.2012

ინგა კურტანიძეს

გამოგარჩია უფალმა,
ზენიტში იყავ მარადის,
არ მოგკლებოდეს ღვთის მადლი,
სიკეთე კართა კარამდის.
როგორ უხდებით ერთმანეთს,
შენ და მანანო ქალიო,
კვლავ უწინამძღვრე მომლოცველთ,
მოვიგურგულოთ გალიო!
უსაყვარლესი გოგო ხარ,
ტკივილს ატარებ გოდრითა,
არავის უმხელ შენს დარდებს,
უვლი სალოცავს ლოცვითა,
შენი ქათქათა დედიკო,
„მინდორს მოკო ფიორია“,
უტკბილესი არსებაა,
საყვარელი ჩიორია.
დაგვირიგებ გრძელ-გრძელ ბლინებს,
„კოკას“ ასმევ ოქროსაო,
აქეთ მედას პერაშკები,
იქ მანანოს კექსებსაო.
ხუმრობები არ გველევა,
გვახალისებს დათო, კობა,
ჩვენს ერთობას გაუმარჯოს,
დაილოცოს ჩვენი ძმობა!

27.08.2013

ქალბატონ ჟუჟუნა შავერდაშვილს

თავადის ქალი ასულა ჯაჭვით,
შენ კი გიხილე მოსილი ფატით,
ხელს გაშველებდა შაკო, ძმა მისი,
მინდა შევავსო ჯიხვის სასმისი.
და დაგილოცო სამშობლო შენი,
ძირს — მომლოცველი და მაღლა — მფრენი,
განიხვეს შენთვის სამოთხის ბჭენი,
კიდევ იცოცხლე ას ოცი წელი!

20.06.2012

ქალბატონ ლეილას

ვერ გამებედა მეკითხა შენთვის,
მიზეზი დიდი მწუხარებისა,
არ დავუშვებდი... ვინ გაგიმეტა?
ნავთსაყუდელო მდუმარებისა.
სულ თვალწინ მიდგას
მე შენი სახე,
ვის შეუძლია მოგგვაროს ღიმი?!
მხოლოდ უფალი...
ის არის მხსნელი,
ამ კაცთა მოდგმის
დიადი სხივი!

25.01.2012

ოქრო გოგოს

იფრიალე მინდორ-მინდორ,
დაინამე ცის ნაჟურით,
მოილოცე ლომისი და
შეავედრე უფალს სული.
გამაოცე გამძლეობით
და იმედი მომეც ხვალის,
დე, სიმაგრე მოგცეს ღმერთმა
მლეთას აღმართული ჯვარის!

20.06.2012

ქალბატონ - თინათინ გაგუას

ღმერთმა ინება გაცნობა ჩვენი,
ისე, შემთხვევით არცა რა ხდება,
წინ მიგვიძღოდა ხატი ანჩისა,
მორწმუნეთათვის უფალი ჩნდება!
ვიყავთ აღვსილი ულევი ძალით,
ფრთები შეგვესხა თითქოს მარადის,
ლოცვით, გალობით მივსდევდით უფალს,
ყველა გაკურთხოთ კართაკარამდის!
რეკდა ზარები დიადი სამებიდან
და იყო თბილი და ნათელი დღე,
მიზანი ერთია, ღვთის წინამძღოლობით
გავაერთიანოთ ქვეყანა ჩვენ!
ო, რა დიდია წყალობა უფლის,
მარად გვფარავდეს ღვთისმშობლის კალთა,
ერთად გვეზიდოს ჭაპანი უღლის,
აფხაზეთს შევხვდეთ დიდ ტაძრის კარად!
მარად იკაშკაშებს ცაზე ვარსკლავნი,
მარად იბრდღვიალებს ცხრათვალა მზე,
მარადიულია უფლის სიყვარული,
მარად მორჩილნი ვიქნებით ჩვენ!

09.02.2006

ვუძღვნი ქალბატონ ტანია გელანტიას

როგორ მინდა მოგეფერო,
გაგიხარო გულია.
ნუ იდარდებ, რაც რომ მოხდა
იმის შეცვლა რთულია.
ბედნიერი თუნდ იმით ხარ,
საწუთრო რომ იხილე,
მაინც ღირდა ქვეყნად მოსვლა,
თუმცა ბევრი იტირე.
ერთი გოგო შენც ხომ იყავ,
მეგრულ „ნანათ“ გამოზრდილი,
იქ, ტეხურას ნაპირებზე
ფრთხიალებდა შენი გული.
სადარდელი ოდით დაგყვა,
ბიძამ გაგიმრთელა გული,
არასოდეს დაივიწყებ,
ნათელს იყოს იმის სული.
ცქრიალებდი კოხტა გოგო,
ბევრ ბიჭს გაუხეთქე გული,
არ ინდომე იმათ გვერდით
და ცხოვრება დაგრჩა რთული.
მამა ომმა შეიწირა,
ძმამ და დებმა გადიფრინეს,
არ დატოვე დედა მარტო,
მტერი არა გააცინე.
ოჯახს ბურჯად ედექ წლები,
ილაზათე, იჯახირე,
შენი სითბო, სიყვარული
ყველას, ყველას უნაწილე.
დედამაც რომ მიგატოვა,
მარტო დარჩი იმ დიდ სახლში,

გარე მტერი რას გაკლებდა,
შინაურმა მოგვდო ჯანში.
დაგინგრიეს თვალწინ მხარე,
დაიფანტეთ დაბომბვაში,
ხეიბარი დარჩი ქალი,
გეზარება გასვლა ხალხში.
„სკანი გოლუ აფირონი“,
მაინც გახსოვს ტკბილი სიტყვა,
გული თბილი, ბაგე ტკბილი,
მიმზიდველი მუდამ იყავ.
დღეს რას ითხოვ,
ნანობ რასმე?
რას შეცვლიდი, ნეტავ რასა?
ღმერთო, ღმერთო, გადმოხედე
კენტად დარჩენილსა ქალსა!
ნატრობს, ნახოს საქართველო
მთლიანი და სხივმოსილი,
მხსნელი მოევლინოს სამწყსოს,
ნასწავლი და გამოწვრთნილი;
როგორც იყო ცოტნე დიდი,
სამეგრელოს გამოზრდილი,
არ ენახოს საქართველოს
ამნაირი გასაჭირი.
ახალ საუკუნეს ვლაშქრავთ,
გაგვინათე, ღმერთო, სული,
აღარ, ჰყავდეს საქართველოს,
არც უცოლო, მარტოსული... .
წყვილად, წყვილად გაგითენდეთ
ზამთარი და გაზაფხული,
იბარტყეთ და იმზეგრძელეთ,
გაიხარეთ ყველამ გული.

10.12.2000

ცუგო ისაკაძე — ზანგურაშვილს

ქალი იშვა უთეთრესი
რაჭველების დიდ ოჯახში,
პატარისას იყავ „ცუგა“
„თამარ“ გახდი დიდობაში.
იყავ მუდამ დედის გული,
მამის ხატი საფიცარი,
დავითსა და თამარს ლოცავს
ივერიის სალოცავი!
და გაისმა ბრძანება ღვთის,
დე! ქორწილი შედგეს მყარი,
გამრავლდნენ და გაიხარონ
სანამ თბილისს იდენს მტკვარი!
მუდამ იყავთ ბედნიერნი,
არვინ იყოს თქვენი დარი,
თქვენი შვილებისთვის ჟღერდეს
სამეგრელოს ყველა ქნარი!

04.10.2012.

ქალბატონ ნინო ჯანგიძეს

სპეტაკო ქალო, რჯულით ქართველო,
უწმინდეს სახელს ატარებ თანა,
სულით-ხორცამდე კურთხეულ იყავ,
ჩემს გულის ძახილს მიიღებ განა?!
ვამაყობ თქვენთან ახლოსა ყოფნით,
მე თქვენ რომ გხედავთ ვხედავ დედასა,
დედას ქართლისას, დედას ქართველის
მტერთათვის ხმლისა გადამლეწავსა.
ერის ბურჯი ხართ სინათლის მჩენი,
ცოდნის ტაძარი — მწყურვალის მხსნელი,

ჩარგულს — გვერდს მდგომი, ნუგეშის მცემი,
დალოცვილ იყოს გამჩენი თქვენი.
თქვენებრ დედანი ძლიერ ცოტა გვყავს,
მე ვეღარ ვხედავ ქართულ ჭაღარას,
დიდ კრძალვას, რიდს და თაყვანისცემას,
გაცამტვერებამ გული დაღარა.
თქვენ ხართ სანთელი, სვეტიცხოველში
მაცხოვრის ხატის წინ ანთებული
და იწვი ქვეყნის სადიდებელად
ქართველობისთვის თავდადებული.
დე! გაიმარჯვოს საქმემან თქვენმა,
გიმრავლოს შვილი მართალი, მცოდნე,
დე!ჩვენშიც იყოს ხალხისა მხსნელი,
ვითარც წარსულში რაინდი ცოტნე!

10.05.1999.

საღამო კუკიაზე

გუშინ კაცი გავიცანი,
კაცი იყო უკაცესი,
გვერდსა ქალი უმშვენებდა
ქალი იყო უმკაცრესი,
იუბილეს ულოცავდა,
სულით იყო უმდაბლესი,
კაცი ჩოხოსანი იყო,
ქალი იყო უნაზესი!
ის საღამო გრილი იყო,
სიო ქროდა საამური,
ეთერს ჰანგი აღავსებდა,
ედებოდა გულს ალმური.
გული გრძნობდა სიჭაბუკეს,
კვლავ იფეთქა გიჟურ ძალამ,

აქეთ ხაიამი ისმის,
იქით შოთა, დიდი გალა!
რაკარგია სიყვარული,
დაილოცოს მისი ძალა,
აქ სიხარულს გვანიჭებს და
იქ დარჩება თავის ქალა!

20.08.2011

ქალბატონ- ელენე მახათაძეს

სიტყვების ძებნა დავიწყე
ართქმულის, არგაგონილის,
არ იქნა, ვერსად ვიპოვე
და დავრჩი გაოგნებული.
მაშ, რით დავიწყო,
არ ვწერო?!
ყველა სიტყვაა ნახმარი...
ბიჭუნამ შემომაწია
დღეს გულის სითბო ამგვარი.
ის ნინოობას ულოცავს
ჩემს ქალს, უნაზეს იას,
არც მას უნახავს, არ იცნობს
ასულს, საოცრად მზიანს.
რად გიყვარს, ხომ არ გინახავს,
იქნებ ვინ არის სახით,
ხმა გულიაო, მან მითხრა,
მაცოცხლებელი კაცის.
აქედან მინდა დავიწყო,
გულით მსურს, გითხრა მართალი,
მსურს მოგეფერო, ჩაგიკრა,
ბევრი გსმენოდეს ამგვარი.
მე ნინოობას გილოცავ,
დღენი გქონოდეს მზიანი,
არ მოეშალოს თქვენს ოჯახს

ზარები ომახიანი.
გფარავდეს მაღალი ღმერთი,
მისი შვილი ხარ ალალი,
ვაზის ჯვრით ნინო ლოცულობს,
ქრისტეს რჯულისთვის მაშვრალი.
შენი ხმა, სითბო, სალბუნი
გულისგულს ხვდება ნარნარით,
მე გხედავ, გიცქერ, გიცინი,
მსურს, რომ გიხილო „ამდგარი“!
მე არასოდეს მსმენია
ასეთი ტკბილი ქართული,
ის საოცარი დამოძღვრა
მარჯნის მძივივით ასხმული.
მაოცებ ნიჭით ყველაფრის,
დღეს იშვიათი რამ არის,
თუნდ ესაუბრო მოკეთეს,
ტკბილი ხმით უთხრა სალამი.
არ მოგიშალოს უფალმა
ხმის ძალა, სითბო გულისა,
თქვენ მუდამ გახსოვთ ღაღადი
და შეგონება უფლისა!
ამიტომ გიყვარს მოყვასი,
გტკივა, ქვეყნისა ტკივილი,
მალე გენახოს აფხაზეთს
დაბრუნებული ქართველით
დატვირთულ გემის კივილი!
დე, ქალბატონო ელენე,
გთხოვთ, მაპატიოთ სულგრძელად,
შემოგბედეთ და არ ვიცი,
თუმც კი მიგებდით უთქმელად.
ყველა სალოცავს ვავედრებ,
ყველა წმინდანს და მაცხოვარს,
ღმერთმა სამშობლო გვიმყოფოს,
აღარ გვეძახდნენ მათხოვარს.

01.27.2002

ლეილა მასწავლებელს — გუჯაბიძე

მრავალ ახალ წელს, მრავალ სიხარულს,
სიტკბოს, სიყვარულს შემოსწრებოდე,
შვილი გიმრავლოს, ჭერი გიხაროს,
მტერი მოგაკლდეს, გამოგლეოდეს!
თქვენ შემაყვარეთ კვლავ „დედა ენა“
თითქოს მეც ახლა ვიყო პატარა,
ვითარცა ია, ნათია, დათო,
მეც მათებრ მიძგერს გული ჭაღარა.
ნორჩების გულის მესაიდუმლევ,
მომაჯადოვეთ თქვენი ბუნებით,
თქვენი ღიმილი და ტკბილი სიტყვა,
მუდამ თან გვდევდეს წელთა დინებით.
ყოველი ბავშვი საკუთარ შვილად
როგორ მიიღეთ, როგორ შესძელით?
სულით მდიდარო, გურულო ქალო,
იყავ ჯანმრთელი მრავალი წელი!
მე მაგონდება გარდასულ წელთა
ჩემი პირველი მასწავლებელი,
გულით ვატარებ სათუთად ხსოვნას
ძვირფასი ნორა მასწავლებელის.
თქვენც ხომ პირველი „ია“ ჩვენს შვილებს
იად აცანით, ნაზად აპკურეთ,
იის სურნელი და სათნოება
ყველას თანაბრად გაუნაწილეთ
და გზის სათავე დიდი ცხოვრების
თქვენ გაუკვალეთ, გაუადვილეთ,
ყოველი ბავშვი, თქვენი აღზრდილი,
გულით ინატრებს თქვენს გაკვეთილებს.
და ახლა, როცა ფრთები გაშალეს
და აგიფრინდნენ მერხიდან გვრიტნი,
თქვენ მათზე ფიქრი კვლავ არ გასვენებთ:

რად არ მიიღო დღეს იამ ხუთი?
დათუნამ რატომ იცელქა ნეტავ
ან აბასოვა რას შვრება ნეტავ?
„მოგკლავთ, ისწავლეთ, არ შემარცხვინოთ“,
კვლავაც გაისმის ძახილი თქვენი,
ნურც მოუშალოს ღვთიურმა ძალამ,
თქვენი ზრუნვა და ამაგი თქვენი.
მე თქვენ აროდეს დამავიწყდებით,
ჩვენო ლეილა მასწავლებელო,
დიდხანს იცოცხლეთ და გაიხარეთ,
დიდ სიყვარულის მქადაგებელო.

10.12.1986

ნანული ჩხარტიშვილს

ნანოს მივუძღვნი
ლექსს ჯერ არსადთქმულს,
მუზას რომელიც
არვის მოსვლია!
უჰ, უთვალავი
წლები გასულა,
ოჰ, ღმერთო ჩემო,
ეს რა მომსვლია?!
არ გაგიხსენე
არცერთი წამით,
ჩაგკეტე მაგრად,
ჩავრაზე კარი,
ოჰ, გამითენდა
ბედნიერი დღე,
აღარ დამჭირდა
მე რუსის ჯარი!
აქვე მყოლიხარ

დაბუდებული,
გულის კუნჭულში,
ჩემო დაიკო,
ჩაბარდეს წარსულს
უთქმელი დღენი,
როგორც იყო და,
როგორც არ იყო!
ჩავჭიდოთ ხელი,
ერთმანეთს ისე,
როგორც გვივლია,
ვიაროთ გვერდგვერდ,
არ დავეკარგოთ
ერთმანეთს ისევ,
აღარ ვეძებოთ
ერთურთი ფერდ-ფერდ!

25.08.2010

ნანულის

რაც ჩემს ბაღში
ვარდი მეფობს,
ყველას ერთად დაგიკრეფდი,
მოგართმევდი, მოგიძღვნიდი,
გულში მაგრად ჩაგიკრავდი
და გეტყოდი, ჩემო დაო,
მყვარებიხარ ძალზე ძლიერ,
თუმც ვერ გნახე
დიდი ხანი.
ამ ცხოვრების „პანი-ჟანი“,
გაგვიფრინდა სწრაფად წლები,
გაგვითეთრდა შავი თმები,

ბებიები გავხდით უკვე,
დაგვრჩენია კიდევ წლები?!
ოცდაშვიდი მაისია,
შეგისრულდა „იგრეკ“წელი,
„ლიმენს უსასრულობამდე“
მეგობრობა კიდევ ჩვენი!

27.05.2013

ნაირა შავერდაშვილს

დაბადებულხარ ოთხ წელში ერთხელ,
წელთა სიმრავლე შენ არ გეხება,
ზამთრის მიწურულს, გაზაფხულს დამდეგს,
სადღაც მათ შორის მოხდა შეხება.
ყველა კაცს მიწის — წლის ყოველ ერთ დღეს
აქვს დაბადების დღეი ნათელი,
შენ, არც თებერვლის ოცდარვისა ხარ,
არც პირველ მარტის შემონათების!
სასწაული ხარ, თვით საწყაული პირთამდე სავსე,
ლამაზი, ზრდილი, სიკეთის მაცნე,
მიმტევებელი, სულით მაღალი,
ქვეყნად არა გყავს, კარგო, ბადალი.
მინდა, გიხილო გახარებული,
ვნახო მე შენი კარგი დედობა,
იყო მეუღლე ნაღდი ვაჟკაცის,
აწ გვეზეიმოს ყრმათა ძეობა!
გაზაფხულს შეხვდე იის სურნელით,
მწვანე გქონოდეს მუდამ სათელად,
ზეცად ცისფერი არ მოგეშალოს,
მშვიდობად გერტყას შენ ცისარტყელა!

01.03.1998

ნიკოლოზ აივაზოვს

კოლიოს დაბადების დღესთან დაკავშირებით

შვილივით გლოცავ,
რამეთუ ოდენ დედის ლოცვაა
ყველა ლოცვაზე უფრო ძლიერი,
მაღლით გფარავდეს მარადის ზენა
და ზეციური თვალსაწიერი.
იყავ ჯანმრთელი, ჭკვიანი, ქველი,
იყავ ამტანი კაცთა ცოდვისა,
იყავ გამტანი, იყავი ბრძენი,
დასაფიცარი საძმო ბოძისა.
დე, სიყვარული გემკოს ულევი,
გაზაფხულივით, ლამაზო, კარგო,
გაზაფხულს მოაქვს სიცოცხლის ეშხი,
გაგმარჯვებოდეს ამქვეყნად, კარგო.
დედაშვილობის ძალით და მადლით,
არა გენახოს ამქვეყნად დარდი,
მუდამ გფარავდეს წმინდანის კალთა,
იყავ მომსმენი ზეციურ ხმათა.
არც საფიქრალი ხვალინდელ დღისა,
მშობლები დიდხანს გყოლოდეს მზითა,
გიბედნიეროს დასაფიცარი
და — უნაზესი, როგორც ცის ნამი.
გყოლოდეს სატრფო მორცხვი და ზრდილი,
მუდამ გფარავდეთ ვარდების ჩრდილი,
მშვიდობის მტრედი გყავდეთ მეგზურად,
გეცხოვროთ ტკბილად, იყავ მეფურად.
ხარ ასურელი, დედით ქართველი
და ქრისტიანი, ადამის მოდგმა,
მეამაყება, რომ ჩვენს ქუჩაზე
დადის ჭაბუკი, ლამაზი, კოხტა.
შენ სიყვარული იცი მოყვასის,

ავთანდილივით უღალატო ხარ,
გაფასებ, გიმზერ სპეტაკი სულით,
იხარე, გლოცავ კეთილი გულით!
კიდევ რა გითხრა, არ ვიცი, კარგო,
რით გამოვხატო, როგორ შეგაქო,
ხალხს ყვარებოდე, გქონოდეს ნდობა,
კეთილ-ბოროტის გარჩევა, ცნობა.
შენ გზა დიდი გაქვს გადასავლელი,
ნუ შეგაშინებს მძვინვარე ტალღაც,
მაშ, გაუმარჯოს ლამაზ გაზაფხულს,
მრავალჟამიერ გრგვინავდეს მაღლა!

01.03.1998

სხვა ერის ხალხს-იონა იონანიძეს

სადაურსა სად წაიყვანს ბედი,
უთქვამს ჩვენსა წინაპართა ოდით,
ღვთის განგებას ვერ გადურჩა კაცი,
თვით სიცოცხლეც მხოლოდ მისგან მოდის.
ქვეყნად ერთია დედა,
ქვეყნად ერთია ღმერთი,
ერთადერთია სამშობლო
თვით სიცოცხლეზე მეტი.
და თუ ქართველს ქართველობას წაართმევენ,
და თუ ჩვენს ერს გონების აზრს დაუხშობენ,
რაც ვერ შეძლო, ვერც თათარმა, ვერცა სპარსმა,
ვერც სელჩუკმა, ვერც ირანის დიდმა შაჰმა,
არ იქნება საქართველო?... არც ქართველი?
პასუხს აგებს ქვეყნად ბედის გამგებელი!
ჩვენ არ დავთმობთ არცერთ მტკაველს
ქართულ მიწის,
ენას ჩვენსას, მამამთავრულს

ქართულ შრიფტის,
არც არავის არ შევარჩენთ ცხრა აპრილს და
ქალთა კისრებს დაჩეხილებს რუსულ ნიჩბით.
... თქვენ კი სხვა ბედი გარგუნათ ღმერთმა,
ლტოლვილთა ხვედრი შესაბრალია,
ქართულმა მოდგმამ გულით მიგიღოთ,
აქ არაფერი დასამალია.
და თუ ფეხი გიბიჯია ჩვენს მიწაზე,
თუ კაცი ხარ და გახურავს ქუდი თავზე,
თუ სამშობლო გიწილადეს ქართველებმა,
გვერდით ედექ განსაცდელში მტრის ჯინაზე.
ლხინში ყველა მაგრები ვართ ყანწით ხელში,
ჭირში უნდა გამოიცნოს ყველა ერი,
ვინ, ვინ უდგას ბარიკადზე ქართველს გვერდით,
აისორი, ქურთი, ოსი თუ ბერძენი?
სიმართლის მძებნელს საპასუხოდ გულს უხვრიტავენ,
მართლის მთქმელს ვიცით, რომ ზურგს უკან ტყვიას ახლიან,
მაგრამ ქართველი ოდითგანვე ამ გზაზე იდგა და
საქართველოს სხვა მიზანი არ გააჩნია!

03.10.1989

მინაწერი

ვკითხულობ ლექსს და სინანულით
მევსება გული.
შენ აქ არა ხარ...
ისევ ბრუნავს ცხოვრების ჩარხი,
ახლად დაწყებულ ცხოვრების გზას
ადგახარ მძიმეს,
ისე გაგევლოს, არ გენახოს
არცერთი მარცხი,
ხდება ასეთიც, ვინც გადუვა
განგებას ღვთისას.

არ ვიცით კაცთა,
რას გვიმზადებს ცხოვრება დიდი,
მედგრად დახვდომა ჭირსა შიგან
ვაჟკაცთ ხვედრია,
გაგმრთელებოდეს ორ გზას შუა
ჩამტყდარი ხიდი!
... შენ გყავს საფიცარი ხატება იგი,
შვილი, ძე შენი,
სიცოცხლეზე მეტად ძვირფასი,
მაგრამ რა მოხდა, რად მოუკალ
პატარა გული,
რად აბორგდი და რაისთვის
ამოზვიადდი!

10.12.1993.

ვუძღვნი ბატონ — შურა ომიაძეს

ნათელ-მირონის დიდ ძალას
შეუკრავს ჩვენი გვარია,
ნათლული ბევრი გყოლოდეს:
დიმა, ნიკო და მარია.
ლამაზი რაჭის შვილი ხარ,
უსპეტაკესი, მართალი,
დიდხანს იყავი ჯანმრთელი
ომიაძების სარდალი.
გულით ვთხოვ მაღალ განგებას,
გახარებული მეხილე,
თუ რამ სადარდო გულში გაქვს,
წარსულის იყოს მეწილე.
გიყვარს სამშობლო საფიცი,
შენი ჯიში და ჯილაგი,
ყველა ნატვრა და ოცნება

აგსრულებოდეს დილამდის.
ულამაზესი ოჯახით
ახარე შენი ერია,
ცოლ-შვილი ღმერთმა გიცოცხლოს,
გამოგლეოდეს მტერია.
მალე გეხილოს მთლიანი
თქვენ საქართველოს გულია,
შენი შვილების კაცობით
ხარობს რაჭა და გურია.
ლამაზი შვილიშვილები
გიმრავლოს ღმერთმა მარადის,
არ მოგკლებოდეთ წყალობა,
სიკეთე — კართა კარამდის.
აი, უკვე რეკს სამების
ზარი, უმტკეცი რვალისა,
აღდგება საქართველოი!
ჩვენ გვაქვს იმედი ხვალისა.
ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს?
კითხულობს ნინო, ალექსი,
ომარი, ნიკა და საბა,
გიორგი ხმლისა ამლესი.
თქვენ წარუძეხით შვილიშვილთ,
იმკეთ სიკეთის მარცვალი,
ქვეყნად მშვიდობა მეფობდეს,
მიწას განერთხას მტარვალი!

07.12.2004

ბატონ შუქრი ჯაფარიძეს

დღეგრძელი ყოფილიყავი,
ქვეყნად სიკეთის მქმნელია,
ღმერთმა სამშობლო გიმყოფოს,
წარწყმინდოს ავის მთქმელია.
მომავალს — ნათელი ზეცა,
ქვეყნად — მშვიდობა მარადის,
არ მოგკლებოდეთ ღვთის მადლი,
სიკეთე — კართა კარამდის.
თქვენ ნიკორწმინდას სვეტები
ზეცამდის აგიტანიათ,
ბარაკონს — დიდ სალოცავში —
მამალიც აგიყვანიათ.
შაორიც გეამაყებათ,
რიონს — დაწიწკნულ კალმახიც,
ღვინოდ — წითელი ხვანჭკარა,
მინდვრად — უბრალო ბალახიც.
მე კი ვამაყობ თქვენით და
ისაკაძების გვარითა,
ჯაფარიძების ძმობით და
რძლებად გამტანნი ქალითა.
დე, მომავალით ხარობდეთ,
გლოცდეთ ქვეყნისა გამჩენი,
წასულთ ნათელი ხსოვნა და
გიმრავლოთ აქეთ დამრჩენნი!

06.10.2004

გურანდას

მადლობის სათქმელად კალამი ავიღე,
სითბო გულისა უშურვლად გავიღე,
შეგაწევ ჩემს ლოცვას სულიდან მომდინარს,
მინდა გხედავდე სულ მუდამ მომღიმარს!
კაშკაშა ვარსკვლავი გინათებდეს გზას,
შვიდფერი ცისარტყელა გეხვიოს გარს,
ცხრათვალა მზე გითბობდეს ბარს,
მხიარული სახეები გიმკობდეს სახლს!
ძლიერი გიორგი გიკრავდეს ძნას,
შენი სიხარული სწვდებოდეს ცას,
ოცნების გემი მიაპობდეს ზღვას,
ულევი სიყვარული გივსებდეს ჯანს!
შენ კი უმკურნალე, ექიმო, ხალხს,
მალამოდ დაედე ნატკენზე სხვას,
ღმერთი გზად დაგიფენს იას და ვარდს
და მოგაშორებს გულიდან დარდს!

07.08.2007

მალხაზის და თამაზის

რიკოთს იქით ბიჭებია,
შეშურდება რიკოთს აქეთს,
ალბათ სანთლით რომ ეძებოთ,
ვერ იპოვით თბილისს, კახეთს.
წყნარად, მშვიდად მუშაობენ,
აკეთებენ თავის საქმეს,
ამნაირ ხალხს რა მოულევს
შენებას და კედელს სალესს.
მე, პირადად, გულით ვლოცავ,
მშობლებს ვუდღეგრძელებ გამზრდელს,

გაუმრავლე, ღმერთო, შვილი,
ხატის წინ დავუნთებ სანთლებს...
... ღიმილით ზელს „რასტვორს“ მალხაზ,
უბათქუნებს კედელს ბათქაშს,
თაზოს იქით მოულესავს,
არ ელევა ეშხი სარკაზმს.
ყველა დედა იამაყებს,
თქვენნაირი შვილის გაზრდით,
მოგეფინოთ ცხოვრების გზა
გაზაფხულის ია-ვარდით!

31.03.2012

ვუძღვნი ანა ყაბანაშვილს

დაბადების დღეს გილოცავ,
გეხვევი, გკოცნი, ანაო,
გამრავლდეს დედამიწაზე
ასულნი შენისთანაო.
გფარავდეს მაღალი ღმერთი,
დე, იყავ ალვისტანაო!
ლამაზი, ზრდილი, ჭკვიანი,
მოყვასი ქრისტესთანაო,
ღმერთმა გიცოცხლოს მშობლები,
ბაბო და ბებო თანაო,
გიმრავლოს ტოლ-მეგობრები,
გქონდეს გატანის ძალაო.
უღრუბლო ზეცა გფარავდეს,
გემკოს თავთუხის ყანაო,
წინ ია-ვარდი გეფინოს,
აწ იმზეგრძელე, ანაო!!!

05.15.1999

ცირა ჩოკორაია-ომიაძეს

მე შენ შეგადრი
მთვარეს გაბადრულს,
სავსეს, ბრდღვიალას,
ცაზე დახატულს.
კეთილს, წყნარსა და
ნათელის გამცემს,
ქვეყნად ხილულთ და
უხილავთ დამცველს!
არა! შეგადრი ვენახს
მზით გამთბარს,
რომლის მტევნები
იძლევა ბადაგს,
უტკბილეს სითხეს,
ვით რძეს ჩვილისას
თეთრად ჩამოღვრილს
ბაგეს შვილისას!
ო, საოცრებავ —
ქმნილებავ ღვთისა,
შენ ცირა გქვია,
ეკუთვნი ვისა?!
ყველაზე მთავარს,
შემოქმედს ცისას!

21.08.2008

ანა ყაბანაშვილს-სკოლისაკენ

მე არ ვიცი, არც სექტემბრის
მოლოდინით, გოგო-ბიჭთა
უჩვეულო გულის ძგერა,
მე არ ვიცი სკოლის ზარის
წკრიალა ხმა, მასწავლებლის
თბილი სიტყვა, მოფერება.
მხოლოდ ვიცი, აღარ ვივლი საბავშვოში,
დედამ მითხრა: „ანა, უკვე დიდი ხარო“,
უჩვეულოდ მამზადებენ ბებო, ბაბუ,
სექტემბერში შენ სკოლაში მიდიხარო.
თანახმა ვარ, ვიყო წყნარი და ბეჯითი,
გულისყურით მოვისმინო ყველა სიტყვა,
დავისწავლო ფრთახატულა ანი-ბანი,
ვისაუბრო რუსულად და ინგლისურად.
მე, ქართველი, ქართულს კარგად უნდა ვფლობდე,
სხვა საგნებიც შევიყვარო, შევითვისო,
მინდა, ჩემი საქართველო კარგი სწავლით
კიდევ უფრო ავაყვავო, განვამტკიცო.
მაშ, ვზეიმობ ზიარებას ცოდნის ტაძრის,
უამრავი მეგობარი მეყოლება,
მეყვარებით, აღმზრდელებო, დედასავით,
კარგი სწავლით გაგახარებთ, ვფიცავ ყველას!

04.08.1998

ზურა სიხარულიძეს

ზურიკო გამოცანაა,
თვით კროსვორდია დიადი
მაღალი, უხვი, მდაბალი,
ალალ-მართალი, ზვიადი.
ზურიკო სიხარულია,
აღტაცებაა მარადი,
უყვარს ქეიფი, მუსიკა,
ცეკვა, გართობა, ნავარდი.
ზურიკო პატრიოტია,
ის მებრძოლია, რაინდი,
გნებავთ? — გმირია უჩინო,
უსახელო და ყარიბი.
მას მოუვლია სოხუმი,
დაუსერია სვანეთი,
ბევრი ტკივილი რგებია,
არ ავიწყდება არცერთი.
ჭიქას წაუქცევს ძმადნაფიცთ,
ომში დაღლილთ და ჩაკეცილთ,
„მტერს არ ვახარებთ ჩვენზედა“, —
არის პასუხი ასეთი.
ლხინში ბიჭია სიცოცხლე,
მოცეკვავე და მცინარი,
მის გვერდით ყოფნას ინატრებს
ლამაზი ქალი „მდინარი“,
საუბარ მისი ფართოა,
ყველა საკითხში ერკვევა,
მას ყველა იცნობს თბილისში:
დინჯი, ჭკვიანი, პენტერა.
ქალები ეტრფის მრავალი,
ტელეფონი აქვს პყრობილი,
ერთ-ორ მეც ვნახე ლამაზნი

მისსა ფერხთა ქვეშ მხობილი.
„ტანჯულო“, — მისი კლიჩკაა,
რის „ლიმონკა“ და „ნარინჯი“,
სიხარულიძე ზურაბი, კაცი
ვაჟკაცი და დინჯი.
ძმაკაცები ჰყავს მხეცები:
ჯაბა, ჩახანა, კირილე,
ქალაქში ბუზს ვინ აგვიფრენს,
მათი სახელის ჭირიმე.
მახარებს მისი შექება,
ნინიკოს მხრიდან, ნამდვილად,
მაღარიჩს ზურო კისრულობს,
„მეტეხში“ — ყველა სადილად.

03.29.1995

ვუძღვნი ირაკლი სიხარულიძეს

ეკლესიის დიდ გუმბათთან
ფიქრი ჩვენი გარინდულა,
მუხლმოდრეკით თაყვანსა ვცემთ,
ვინც ირაკლი დაგვიბრუნა.
დიდებულმა ძალამ ღვთისამ,
მოწყალებით გადმოგვხედა,
შეგვიბრალა ზეციერმა,
ჩვენი დასჯა არ ინება.
დე, იცოცხლოს იყოს თქვენთან,
ასეთია განაჩენი,
დე, სიცოცხლემ გაიმარჯვოს,
გვიგალობებს ძალა შენი.
სხივნათელო, ზეციერო,
შემოგწირავთ ცხვარს და ციკანს,
ურიცხვ სანთელს აგინთებთ და

დაგიკოცნით ჯვარს და ცისკარს.
... ღმერთმა გაჩუქა სიცოცხლე,
ან გაიხარე ირაო,
აღარ გეძახოს არასდროს
„ვაიმე დედა, მშიაო.“
ეს რა დღეები გვანახე,
გულს რად დააჭდე იარა,
მე მეტს აღარა მოვკვდები,
დიდ ტანჯვამ გადაიარა.
რა საყვარელი ყოფილხარ,
ყველასგან დაფასებული,
რამდენჯერ ციცო ხატის წინ
ძლივს იდგა გაოგნებული.
ყოველდღე მუხლით უვლიდა
გარშემო დიდ სავანესა,
სანთელთან ერთად ეწვოდა
მდუღარე ცრემლი ღაწვებსა,
შვიდ დღეს ილოცა, შვიდ ღამეს
და ფიცი დასდო ღმერთთანა,
არა გაწყვიტოს კავშირი
დიდებულ სავანესთანა.
და განა მარტო დეიდამ?
ეს განიცადა ყველამა:
ნათესავ-მეზობელმა და
ძმაკაცთა გულის ძგერამა.
... როს, მძიმე დღეში იყავი,
დედას უხმობდი საშველად,
მან ხომ მოგისწრო პირველმა,
ცით გამოგზავნა მაშველად.
და იდგა — როგორც სალი კლდე,
ითხოვდა ხსნას და შველასა,
ეწვოდა ჯანი და ცრემლით
გულებს უკლავდა ყველასა.

... არ მიგატოვეს არც დღით, არც ღამით,
გამშრალი მამა, შენს გვერდით იდგა,
სისხლი პირველმა მამამ გაიღო,
რამეთუ ღმერთმა იმიტომ გიხსნა.
აი, ეს ძალა, ძალა უდრეკი,
ამდენი ხალხი ებრძოდა ერთად,
განა შენ მარტო იყავი, გმირო,
ხახადაღებულ ვეება დევთან?
დამარცხდა დიდი სიკვდილი,
თავი დახარა შენს წინა,
უდრეკო, გამძლე ჭაბუკო,
გემრავლებინოს ძე შინა.

03.26.1987

ზუროს ბედნიერებას

საზღვარი არ აქვს სიხარულს,
ეს გამარჯვება თქვენია,
უსაყვარლესი არსება
გადაწყდა, უკვე შენია.
და გაიმარჯვა სიკეთემ,
დამარცხდა კრული, ბოროტი,
კაცად მენახე, ზურიკო,
არ ყოფილიყო რობოტი.
რა საძმაკაცო გყოლია,
სად დაიზარდნენ ნეტავი,
აფერუმ, მაგათ ბიჭობას,
ბევრი უყვარდეთ შენსავით,
როგორც რუსთველის გმირები —
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ,
ისე შეიკრნენ ერთ კონად,
არ გიღალატეს არასგზის,

სამ დღეს გმალავდნენ ორთავეს,
ჩვენ არ ვიცოდით აფერი,
მათ მოგიარეს, გაჭამეს,
მათვე აგინთეს სანთელი.
შენი გულისთვის გაიღეს,
რაც კი ებადათ გროშები,
აღარ ზოგავდნენ არაფერს,
ლამის აგიგეს კოშკები.
აქეთ დათო და იაშკო,
იქით ბალუ და თორნიკე,
მარეკა, ჯიმა, აკაკი,
ყველა საკითხში გვშველიდნენ.
მორბოდა გოჭი შემწვარი,
ჩოკორაიას გულიდან,
ზოგ ღვინოს მოარბენინებს,
ზოგიც შამპანურს ყუთითა.
სუფრა გავშალეთ ზღაპრული,
დაგსვეს ორთავე თავშია,
გრძელი მაგიდა გაივსო,
ღვინო ლიცლიცებს თასშია.
დაგაქორწინეს, დაგადგეს
თავზე ოჯახის გვირგვინი,
დაე, წლისთავზე გაგვეგოს
პატარა კვიცის ჭიხვინი!

მინაწერი

გადღეგრძელეს და დაგლოცეს,
დაგტოვეს ნელის სახლშია,
აწი რაც გინდათ გიქნიათ,
იმათ გაგასწრეს კარშია.

15.08.2000.

მეგობრული გალექსება რამინისთან — გიუნაშვილი

რა უნდათ შენგან, ნეტავ რას გერჩიან,
შენ ხომ არ უშავებ არაფერს არავის,
ვინც გულით გაგკენწლოს,
ვინც ცუდი გაივლოს,
ცოცხალ არ მივიდეს სახლისა კარამდის.
ხუმრობა შენც გიყვარს, ვიცი, გამიგია,
ამ ლექსსაც მოისმენ ბოლომდე სიცილით,
გულში არ გაივლო აუგი ეთერიზე,
თორემ გაწითლდები კაცური სირცხვილით.
ერთურთში ძმობა და მეობა გვითესია,
ამას წლები მოწმობს, გაიხსენ წარსული,
აწიც ძმობით გვევლოს, წლები დაგვრჩენია?!
მიწას დავანარცხოთ ბოროტი ავსული.
... იყო, დრო ლამაზი, ჩვენი ძმაკაცობის.
ვმღეროდით ერთურთის საყვარელ სიმღერებს,
იყო მეზობლობა, იყო მეგობრობა,
იყო გაჭირვებაც და დიდი სიქველეც.
კეთილი ბევრი, ბევრი გითესია,
ღმერთი შენს ოჯახს მფარველობს მარადის,
შვილები გიმზერგძელოს, ცოლი გაგეფურჩქნოს,
არა გეტკონოს რა სიკვდილთა კარამდის.
გყავს საძმაკაცო დასაფიცარი,
გიყვარს მოყვასი და შენი ტომი,
საღამოს მაყვალამ თუ გნახა მთვრალი,
ვიცი, ატყდება დღეს დიდი ომი.
ზრუნავ საძმოსათვის არ აკლებ დასალევს,
ზრუნავ „ბუტკისათვის“, შესატანისთვის,
ხომ ატყობ, არ გათრობს ეგ ღვინო ოხერი,
სულს რატომ სწირავ შავ სატანისთვის.
თუ მართლა კარგია ღვინის სმა, შეკაცო,

ცხოვრება გეჩვენოს ნაზ, ლამაზ ფერებში,
იცოცხლე, ჩაგვასხი, ჩაგვასხი ეგ ღვინო,
ეგებ ჩვენც ვიხილოთ სიმწვანე სერებში.
ზოგჯერ ცხოვრებას უყურო ირიბად,
ზოგჯერ არ ნახო სიავე ცხადლივ,
იქნებ ასე სჯობდეს, იქნება კარგია?!
დრო უკუღმართი კი გარბის და გარბის.
შენ იცი? ეს წლები როგორ გაფრენილა,
შენ ამჩნევ სინანულს მაყვალას ხმაში?
გუშინ რომ პაწია შვილები გყავდა,
დღეს დიდებია ვიღაცის თვალში.
არ გინდა, ნუ დალევ შუშხუნას ყოველღამ,
თავსაც ნუ იწუხებ ხეების რწყვაში,
თუ არ რგავ, ნურც ახმობ, იხარონ იმათმაც,
ახლა კი ვიცი, მომხვდება ყბაში.
გიყვარს სიმღერები ახალგაზრდული,
იმდროინდელი, როს იყავ ბავშვი,
ვერ ამჩნევ, ჯიგარო, წლები მოგჯარვია,
ამას ამტკიცებს თეთრები თმაში.
თეთრებს მოევლება, გიცხონდეს ბაბუა,
ჭკუაა მთავარი მაგ კვახა თავში,
დალევა, იცოცხლე, კაია ძამია,
ნეტავი რა მიგაქვს მაგ ჯიბით სახლში.
თუ მიგაქვს კაია, ეგაც ხეირია,
სადმე არ დაგრჩეს, ვინმესთან გზაში,
იფხიზლე ძამია, გეყოფა შარაფობა,
ცოტა მოუჭირე შარიკებს თავში.
მეტს ვეღარ მოგითმენს მაყვალა ლამაზი,
გაგებუტება, დარჩები ვალში,
მობრუნდი, ჩაეხუტე და მიუალერსე,
მოუცაცუნე ხელები მკლავში.
ისე კი არა, ძვლებს რომ დაუმტვრევ
და ტკაცა-ტკუცუნს უყენებ ტანში,

თქვენს ცოლ-ქმრობაში ნეტავი ერთხელ,
თუნდ ერთხელ, მაინც ჩახედე თვალში?
და თუ ჩახედე, რა დაინახე,
ის ხომ სიყვარულს გთავაზობს გზაში,
გზაში, რომელსაც მიჰყვებით ორნივ,
ეს ცხოვრებაა ამქვეყნიური,
ნეტავი აზრად თუ მოგდის თავში.
გონს მოდი, ძმაო, წამოდექ ფეხზე,
ნურცა მენახე წაქცეულ რამინ,
წაღმართიანად გევლოს დღეიდან,
გფარავდეს ღმერთი, იცოცხლე, ამინ!

08.02.1996

თაკოს და ლევანის

ვნატრობდით და აგვისრულდა
ცელქებს გულის საწადელი,
გაიხედეთ ყვითელ ფოთლებს
დაუფარავს მთა და ველი.
ჰოდა, უთხრა ლეომ ბიჭებს,
ეს ზამთარიც დამდგარაო,
თუ თამუნას არ მოვიყვან,
ეს ბიჭუნა წამხდარაო.
შეიკრიბნენ: დათო, გიო,
დიმა, მიშო და ლევანი,
შეადგინეს მოტაცების
გეგმა, ყოვლგზით შეუვალი.
გადაწყვიტეს, ითათბირეს,
მოიტაცეს თამარ ქალი,
თაკოს ლეო კი უყვარდა,
მაგრამ არ ეგონა ჩქარი.
თაკოს სწავლამოწყურებულს,

ინგლისურის თავისკვლაში,
ფიქრით, „დედა რას მიზამსო“
ცრიდა, აჟრჟოლებდა ტანში.
დაუწყია ლეწვა-ლუწი,
ლეოს მხარი აუბია,
ეს ბიჭები, ძმაკაცები,
ორცეცხლშუა ჩაუყრია.
როგორც იქნა დააწყნარეს
ჩვენი თკო და ლევანი,
თავად აქეთ გამოიქცნენ,
ელოდებათ აქ ყველანი.
გვითხრეს:ტკბილად მოჭუკჭუკე,
წყვილი არის შესაშური,
დაამშვიდეს იქეთ, ლეოს
მშობლები და დათა გუნდი.
... გარბის, გამორბის მაყვალა,
ვერსად იპოვა თამარი,
თქვენ ყველა კარგად მეყოლოთ
იმათ ქორწილში მაყარი.
რამინი გონს ვერ მოვიდა,
არ მოელოდა ნამდვილად,
ერთი მაგარი კურთხევა
ძმაკაცებს შეხვდათ სადილად.
მეორე დღეს კი სიგნალით
მოჰგვარეს ოჯახს წყვილები,
ისე ამრავლოს გამჩენმა,
ვერ დაეთვალოთ შვილები.
... შენს ვაჟკაცობას ჩემო ლევანი,
ბევრი ინატრებს ნაღდი ქართველი,
ორ საქმეს ერთად შემოუარე,
შენი საძმო გყავს ამის მნახველი.
შენ ჯარისკაცულ ფარაჯაშია

მეფე-კაცობა ნამდვილად გშვენის,
უპატიოსნეს ოჯახის შვილო,
დე, დაილოცოს გამჩენი შენი!
დღეს ისეთი ცხოვრებაა,
ყველას ეშინია ჯარის,
ქორწინების შიშიცააქვთ,
მაგრად ჩაუკეტავთ კარი.
არც ერთის და არც მეორის,
არ გქონია შიშის გრძნობა,
კანდელაკის გვარის კაცო,
დაილოცოს შენი ძმობა.
... გულით გეწადა სამშობლოს ვალი
რომ მოგეხადა, როგორც წესია
თვით კომისართან თვითონ მიხვედი,
ლაჩრულად შენ არ დაგიკვნესია.
როს საქართველოს ძლიერ უჭირდა,
ყალიბდებოდა ქართული ჯარი,
მაშინ ჩაიცვი რკინის ფარაჯა,
გიხილე მწყობრში ამაყად მდგარი.
თუმც გაჭირვება მრავალი შეგხვდა,
გატანინებდა ძმათა ძახილი,
მუდამ გახსოვდა დედა-სამშობლო,
ქართველი ქალის თეთრი მანდილი.
არ ივიწყებდი წუთითაც თაკოს,
როს გზას ნახავდი, მაშინ მორბოდი,
აღარ გინდოდა მისგან სიშორე,
ხან-სად და ხან-სად იმალებოდი.
თავს მოიყრიდით ყველანი ერთად
და იწყებოდა თავდავიწყება,
ოთოს გიტარის უნაზეს სიმებს
უერთდებოდა თქვენი სიმღერა.
გითენებიათ მრავალი ღამე,

შემოგპარვიათ ჩუმად აისი,
დე, საქართველოს გაეხაროს და
წყვილად გენახოთ სოხუმს დაისი!
გამრავლდით და გაიხარეთ,
სულ მშვიდობა გერტყათ სარტყლად,
ღმერთმა მშობლები გიცოცხლოთ,
დიდხანს გყოლებოდეთ სარდლად.
შემოდგომით დაქორწინდით,
გაზაფხული გქონდეთ ჩქარი,
იჟღურტულეთ ტკბილად, ნაზად,
არ დაჩლუნგდეს თქვენი ქნარი.
თქვენი დებით გაიხარეთ,
დისშვილები გყავდეთ კარგად,
სესილის და მარის მალე
წაჰყოლოდეთ ორნივ მაყრად.
ისეთ ცხოვრებით გეცხოვროთ,
შემოგნატროდნენ ყველანი,
გლოცავთ, გეხვევით მარადის,
ჩემო თაკო და ლევანი.

02.11.1998

გიორგი გველესიანს

შენ საქართველოს სიამაყე ხარ,
გიორგი არის ამის დასტური,
ნორჩი ყლორტი ხარ დიდი მუხისა
დამშვენებული ალადასტურით.
შენ ქართველი ხარ
და გაქვს უფლება
გაისიგრძევნო თავისუფლება,
... მალე გეხილოს სამშობლო შენი,
აყვავებული, ღიმილის მჩენი,

გალაღებული უფლისა მადლით,
გაბრწყინებული ღვთისმშობლის კალთით.
ღმერთმა გიცოცხლოს მზრუნველი ბაბუ
და დალი ბებოთ გეხაროს დიდხანს,
შენი ლელაკო გყოლოდეს, როგორც
ფერია ზღაპრის, კეთილი მუდამ.
— ო, მარი, მარი,
სადარი მთვარის,
მანათობელი უკუნი ღამის,
არა?! — სადარი ცხრათვალა მზისა,
გამხარებელი დედის გულისა.
ინებეთ მწვანე წალკოტი ფეხად,
ლურჯი ცა — ფერად ცისარტყელებით,
კრიფეთ უეკლო ყვავილი მინდვრად
და მორგეთ ირგვლივ მორცხვი იები.
ღმერთმა გაკურთხათ, ამის დასტურად
გყავთ საამაყო მშობლები, ზრდილი,
ბევრი მენახოს ქართულ ოჯახში
ასე ლამაზად აღზრდილი წყვილი.
ვლოცავ იამზეს, როგორც ჩემსა შვილს,
გფარავდეთ გერის წმინდა გიორგი,
შენი ოჯახი ღმერთისა ძალით
იყოს მზიანი, მუდამ დიადი.
მრავალ წელთა სვლას,
მრავალ სიხარულს, შემოსწრებოდეს
ოჯახი თქვენი,
გაგ ზრდოდეთ გიო, ლელა, მარიამ,
კიდევ გყოლოდეთ ბევრი და ბევრი.
დე, გაუმარჯოს ამ ზაფხულის დღეს,
გიოს ფარავდეს წმინდანის კალთა,
ქვეყნად მშვიდობა არ მოგეშალოთ,
მრავალჟამიერ გრგვინავდეს მაღლა!

03.08.2000

ზვიად ჩინჩალაძეს

განგაცდევინა უფალმა გრძნობა,
როცა ხარ დიდი
და ხარ ზვიადი,
მადლობა უფალს,
შენ საქართველო
ყველას უჩვენე
მძლავრი, დიადი!
იდექ კვარცხლბეკზე
ნომერ პირველი,
მაღლა ფრიალებს
დროშა ქართული
და ისმის ჰიმნი
უპირველესი,
ჰიმნი სიმბოლო
ერის ტანჯულის!
შენ დაუმტკიცე
მსოფლიო ერებს,
არის ქვეყანა
რუსის პყრობილი,
მაგრამ — ძლიერი
როგორც შენა ხარ,
ყველას მჯობნი და
ყველას ძმობილი...
გააკარ ბეჭზე
და თქვი სათქმელი,
აი, ასეთი
მწამს მე ქართველი!

16.09.2013

ბაბოს!

სამარეში ჩამოგძახებ,
თუმცა სული ზეცაშია!
მთელ მსოფლიოს ჩემპიონი
გაიზარდა შენს სახლშია.
ობლობაში გამოზარდე,
ექვსი შვილი შავბნელ დროში.
ქმარი ომმა შეიწირა,
არ გებადა ერთი გროში.
საამაყო ეთერ ქალო,
მისაბაძი დედა ხარო!
ახლაც კრძალვით გიხსენებენ,
მანათობელ მზის სადარო!
მიკვირს, როგორ მოახერხე,
ან რა ღონით, ან რა ძალით?!
დღისით გუთანს უძღვებოდი,
ცრემლებს იმშრალებდი მალვით.
არ ჩამქრალა შენი კერა,
აღვივებენ კოცონს შვილნი.
შვილთაშვილნი მრავალი გყავს,
არ მოშლოდეთ ტკბილი ძილი!
კვლავაც ბევრი ჩემპიონი,
ბევრი სასახელო შვილი.
მუხა ათასწლოვანია,
არ გახმება მისი ძირი!

15.04.2013

ვუძღვნი ეთერი ბაბოს ხსოვნას

სიყვარულით მოვაშურეთ უსაყვარლეს კერას,
დღეს ძალუმად, ახლებურად იწყებს გული ძგერას,
მოწიწებით თაყვანსა ვცემთ შენს ჭკვიანურ მზერას,
დღეს მოვუხმობ შენს საფლავთან შენს მონაგარს ყველას.
თითო სანთელს აგინთებთ და
გაგინათებთ ნათელ სულსა,
იქნებ რაიმე გაიგო და
მალამოდ გეცხოს გულსა.
შენ, უკვდავო ქართვლის დედა,
შენ, ნამუსო სიწმინდისა,
გელაშვილის გვარის ქალო,
გაუტეხელ სინდისისა.
დაგიფასდა ჯაფა მძიმე,
ყველა შვილი შენი ხარობს,
გაიმარჯვა სიკეთემ და,
აი, ჩვენთან რარიგ დარობს.
სირო, მიტო, შენი შურა,
ანა, თამრო და სონია,
ობლობაში გამოზრდილნი
შვილი, ექვსივე შენია,
შენსა მზესა ფიცავს ყველა,
მამას მწუხრით იხსენებენ,
გულმოკლული შვილის ხვედრით
მამის ანდერძს იგონებენ.
დაგიკოცნით უბეს და
დაგიკოცნით კერიას,
ჩემო ტკბილო ბაბო, და
საყვარელო ბებია.
... სექტემბერია, თვე განახლების,
ქვეყნად სიუხვის, დოვლათის მჩენი,
შემოდგომაა, სიცოცხლე მზეობს,

გაგგრძელებოდეთ სიცოცხლის დღენი.
მოხვედით, შვილნო? — ნუთუ თქვენა ხართ?
სადაა ტალო, გუჯა, ეთერი,
ლია, ვახტანგი, თენგიზი, თემო,
ნუგზარი, შოთა, ჯემო და ელო.
ჰო, შვილნო ჩემნო, სისხლნო და ხორცნო,
გამრავლდით, გლოცდეთ ღვთისა გამჩენი,
თქვენი იმედი ყოველთვის მქონდა,
რამეთუ ვზრდიდი ქართველ ვაჯკაცებს,
ქალებს — სიწმინდის შარავანდედით,
ნათელსა ვფენდი მათ ლამაზ თვალებს.
ექვს ქართველს ვზრდიდი,
იმ უკუღმართ დროს,
წყეული იყოს ხსენება მისი,
ვინაც წამართვა უღლიდან ცალი,
გამოუშალა ოჯახსა ბურჯი.
წავიდა ქმარი ხალხის დამცველად,
ქვეყანა თრთოდა, მიწა იწვოდა,
დედა-სამშობლო ეძახდა გმირებს
და თავგანწირვას ერი ითხოვდა.
დადგა მწუხრის დრო, დრო განშორების
და სამუდამო სიმარტოვისა,
უკანასკნელად პაპამან თქვენმა,
რომლისა ნახვას თქვენ ვერ ეღირსეთ,
მან მითხრა, მთხოვა განშორებისას!
„მე მივალ, ეთერ, არ ვიცი საით
და გთხოვ, ძვირფასო, ნუ, ნუ დამინგრევ
ამ მყუდრო კერას,
ოდეს წიწილებს მოშორდეს დედა,
იგი წიწილნი წიოკს დაიწყებს,
დაიფანტება უეცრად ყველა.
გადაეფარე შენს შვილებს კალთით
და დათმე ყველა ამქვეყნიური

სიცოცხლისათვის, შვილებისათვის,
ჩემი და შენი გადარჩენისთვის“.
შვილებს კი, სთხოვა
„იმღერეთ, შვილნო, მომეცეს ძალა,
დაგტოვოთ ყველა და გამყვეს მარად
 უქრობი შუქი,
ჩამესმას ტკბილად მე თქვენი მღერა“
— ასე დატოვა ოჯახი თვისი
ცოლი და შვილი.
მას ეყო ძალა და ანაცვალა
სიცოცხლეს ქვეყნად.
წავიდა ქმარი, ოჯახის ბურჯი
და დარჩა სახლი — ეთერით დიდით —
და მან პირველმა მთელსა სოფელში
რკინის ფარაჯა ჩაიცვა ტანთით,
რკინის ქალამნებს გამოჰკრა ფეხი
და შეეჭიდა გუთანსა იგი.
პირველი ხნული-მკვეთრი გაავლო
და შიგ ჩათესა თესლი ღვთიური,
მისსა ვაჟკაცურ ქართველობას,
აი? ნაყოფი ამქვეყნიური.
და თუ დღეს მზეობს ოჯახი მისი,
ვისით და ვისით? — ეს მხოლოდ მისით,
წმინდა ქალობით, ნამდვილ ქალობით,
ვაჟკაცურ რწმენით და შემართებით,
იმედით დიდით, ხვალის ნათელით,
ცრემლების ღვარად იღვენთებოდეს —
ანთილი მისთვის წმინდა სანთელი!
და მერე შვილნი დამრავლდნენ ქვეყნად,
ყველამ კეთილად იცნო გზა-კვალი,
გადმოგვცეს პაპას დანატოვარი
ხმალი გრძნეული, შეუპოვარი.
ეს ხმალი მახსოვს, რა დამავიწყებს,

განუშორებლად ყოველ ღამესა,
პაპისა ნაცვლად — ბებოს სასთუმალს
ესვენა წმინდა საკურთხეველსა.
თავთითა ედო ხმალი პაპისა,
შეურყეველი, შეურისხვავი,
ვინ გაბედავდა მტრად მისვლას, თორემ
ხმალმა იცოდა თავის მიზანი.
მან შეასრულა — თავის მისია,
პაპის სანაცვლოდ დატოვებულმა,
დე! რელიკვიად შემოინახოს
ჩინჩალაძების დამფუძვნებლებმა.
და დღეს ჩვენ ვხარობთ, ძვირფასო ბაბო,
გავმრავლდით, ნახე შეძენილები?
ყველა კარგი გვყავს,
ჩვენ ვიყავთ კარგნი და იმიტომაც,
ჩვენ, ყველა შენი გამოზრდილები.
შენ ხომ ყველაზე მიგიძღვის ბაბო,
ყველას შვილებზე, იმიტომ რომა
აქ გვიხაროდა, შენ გვეგულვოდით
და გულვდიდობდით,
ძირითად ოჯახს, ძირითად კერას,
მოვაშურებდით სოფლიდან ყველა.
რა სანატრელი დრო იყო,
მოსაგონარი ტკბილად,
ერთად შეზრდილნი ვიყავით
და-ძმურად, ღარიბულად,
გურულ-ქართლური ისმოდა
ვიყავით ვაჟკაცურად.
ხმა შენი ახლაც ჩამესმის,
სიცილი გამშვენებდა,
ჩემო ფაშფაშა ბაბო და
დარბაისელო ბებია,
ო, როგორ მომენატრე

შენი დაკოცნა მწყურია.
გიზრდის შენებურ ყმაწვილებს
შენი ქართლი და გურია.
და, აი, დადგა ნანატრი
დღე შენი გახსენებისა,
დაწესდეს ჩვენთვის „ეთერობა“
მონატრების, მოგონების, სიყვარულის დღე,
თითო სანთელს აგინთებთ და
გაგანათებთ ჩვენ,
თითოს, თითო დაემატოს,
ჩვენ ბევრნი ვართ, ბევრნი,
შენს ნათელში გაიელვებს
შემოდგომის დღე.
შვილთაშვილნი მოწიწებით
წითელ ვარდებს მოგართმევენ,
შენსა საფლავს ცოცხალ ძეგლთა
გალერეა დაამშვენებს,
მერე ისევ მოგაკითხავთ,
მერმის, ბაბო, მანამდისაც,
ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილნი
გაგიხსენებს მარადისა.
... რა დამავიწყებს ბავშვობას,
ტკბილად ნატარებ დროს,
ცხელ პურებს ახლად ამოყრილს,
მწვადად განწირულ გოჭს,
სოკოებს ტყეში დაკრეფილს,
წნილს, მაშო ბიცოლასას,
ბიძებს — ქალაქიდან მოსულთ
და კუნტრუშს ბიცოლასას.
თამარ დეიდას შეკერილ
აჭრელებულსა კაბებს,
ტატოს ლობიოს მოჭყეპილს,
ან ცხელ კეცისა მჭადებს,

მაწონს ქილებით მორთმეულს,
ნაზუქებს ნაზად ნადებს,
დერგიდან ამობრძანებულ თეთრ ყველს
კრაჭუნას, ნაღებს.
იქეთ მამიდას ხვეწნას და მუდარას
ჩვენთან იყავ,
აქეთ ბიცოლების ხვეწნას ჭამე რა,
ეს არ გინდა?!
აბა, რა გინდა, შე კნაჭა, ჰა, კვერცხი მოხრაკული.
იმიტომაც ხარ გამხმარი, თხასავით გაკნაჭული.
დავრბოდით, ვხტოდით, ვანცობდით,
აქეთ დალასტო, გუჯა,
გურამი, გოგი, და ნუგო
იქეთ „ჭყარტო“ და „ყურშა“.
რომელი ერთი მოვთვალო:
ლია, „ყვითელი“, თენგო,
ვახო და თემო ჯიგარო,
რა მწარე ბედი გერგო.
უსაყვარლესო არსებავ,
ჩვენო მზეო და ხატო,
ასეთი მწამდი, მიყვარდი,
შეუდრეკელო კაცო,
ჩემო ჯიგარო თემური,
გეხვევი, გკოცნი მარად,
ეს მე ვარ, შენი ეთერი,
მე ვარ, მგოსნისა დარად.
შენ მოდიოდი, როგორც ლომკაცი,
მოაბიჯებდი ღონივრად, მაგრად,
არცერთ სატკივარს არ უწვებოდი,
თუმც ბევრჯერ მოგხვდა
მძვინვარე ტალღა
და აი, ტრამვა...
ლახვარი დიდი, მოუშუშები,

მძიმე იარა,
გაგლეჯილ გულით
როგორღა ცოცხლობ,
როგორ არსებობ!
ო ჩამოინგრეს
თუნდაც განრისხდეს ღვთიური ძალა,
არ მეშინია, ო, არა, არა!
ისევ გოგასთვის, მისი და- ძმისთვის
და, ისევ მისი მომავალისთვის.
ჰო, ძმაო ჩემო, გაძლება მოგცეს,
ისევ და ისევ, ბუნების ძალამ.
ისე მიყვარხარ, როგორც მიყვარდი
იმ ჯარისკაცულ ფარაჯაშია
და ახლა, როცა ცხოვრებამ თითქოს
ჩვენც მოგვაქცია ყველა ჯარშია.
აღარც წერილით ვკითხულობთ ერთურთს,
აღარც მოკითხვა და სალამია,
გულით ვატარებთ სათუთად სითბოს
ამ და-ძმურ გრძნობის, დასანანია.
... .ისე მიყვარხართ, როგორც მიყვარდით,
ჩემო ძვირფასო სისხლნო და ხორცნო,
თქვენა ხართ, ჩემი ცხოვრების ეშხი,
თქვენით ვამაყობ, ვხარობ და ვცოცხლობ.
ბედნიერ იყოს შეხვედრა ჩვენი,
გიბედნიეროთ ასულნი, ძენი,
არ მოგკლებოდეთ მზიანი დღენი,
განიხვეს თქვენთვის- სამოთხის ბჭენი!

10.09.1988

დედას, თამარ სიხარულიძეს, სამოცი წლისთავთან დაკავშირებით

სამოცი წლისა შესრულდი,
კიდევ სამოცი გეცოცხლოს,
ისევ იყავი გულთბილი,
რომ შვილებს შენზე ელოცოს,
იდღეგრძელე და იხარე
შენი მეუღლით მიტოთი,
ერთად გაგევლოთ ცხოვრების
დიდი გზა საიქიომდი.
შენი შვილების სიკეთით
ყოფილიყავი დამტკბარი,
შვილიშვილები ბარტყებად
თავზე გეხვიოს მრავალი.
გაგზრდოდეს ია, თამუნა
დიმკა, გელა და მაია,
კიდევ მრავალი გყოლოდეს
გულისა გასახარია.
ბუნების ძალამ გაკმაროს,
რაც რომ სიმწარე გინახავს,
არასდროს არ განმეორდეს
ის მოუშრობი იარა.
რაც რომ რომანიმ დაგაკლო,
მისი შვილებით შეგევსოს,
ისეთი გამომდგარიყვნენ
მამის სახელი ეცოცხლოთ.
შენს დედას, ვარდო ბებიას
სულ დაელოცოს მარჯვენა,
მისმა ხელებმა გაგზარდა,
ის კი ცხოვრებამ გათელა.
ბევრ ჭირს მოესწრო საწყალი,
ყველასთვის ტკბილი, კეთილი,

ნამდვილი ადამიანი და
ვარამისგან ცვეთილი.
დაე, იყოს და იცოცხლოს,
ვითარცა ბურჯმა მაგარმა,
კედელმა თქვენი სახლისა
ძველთაგან მონანავალმა!
ვინცა სიცოცხლე გაჩუქა
და დაგილოცა გზა დიდი,
ვინ იცის, შენზე ლოცვითა
ბევრჯერ ყოფილა ხატის წინ?
ხარ ბედნიერი შვილებით
და მათი მონაგარითა,
მალე გვეხილოს ვაჟიკოს
ბედნიერებაც თვალითა.
ვიხაროთ, ვიყოთ ტკბილადა,
ჯანმრთელად, გულმხიარულად,
ვის შერჩენია ამქვეყნად
სიტკბო ბოლომდე დაცლილად?
არ გვქონებოდეს არასდროს
ერთურთში ბრაზი, წყენაო,
გაგება იყოს მარადის
და გავიხარებთ ყველაო.
კიდევ დაგლოცავ გულითა,
იცოცხლე აწ და მარადის,
ეს გაუმარჯოს დიდ დედას!
სამოც წელს გავლილს აქამდის!
და ჩვენ, გიგრძელებთ სიცოცხლეს,
იცოცხლე დედავ, მანამდის,
სანამ შენს შვილებს —
სამ ბიჭებს, მათ ცოლებს,
შვილიშვილებსა, გული ექნებათ
საგულეს და ღვთის კურთხევა
სულებსა!

03.05.1978

დედის მოფერება „ჩემო კუდრაჭა“

დედისთვის შვილი
სულ კუდრაჭაა,
სამოცის იყოს,
თუნდ ოცდაერთის,
წელი რომ გავა,
დედას ვერ ნახავ,
ამას რა ჰქვია?
არა, არ მესმის!
... კიდევ კარგი, რომ
არსებობს ზარი,
გაიგონო ხმა,
იჯერო გული,
ამაზე ფიქრით,
ამაზე დარდით
თვალზე არა მაქვს,
არა მაქვს რული!
წუხელი, ღამე
გამიკრთა ძილი,
რა შორს ვყოფილვარ,
გვაშორებს მილი,
ვიცი, შენც გტკივა,
შენც გენატრება
„ბროლოსანი“ თუ
„ალი“ და „ბრილი“.
... .ქალის ხვედრია
შექმნას ოჯახი,
მშობლები რჩება
რძალუკას ხელში,
შენ აქეთა ხარ,
ისინი იქეთ,
ვერაფერს შეცვლი,
ეტაკე წელში!

11.02.2013

ვუძღვნი დედას

ოთხმოცს გადაცილებულო
განა ერთით,
ოთხი წლითა,
კიდევ მრავალ წლის
სიცოცხლე
მონაგრით და შენი ქმრითა,
სოფლად გამოჩინებულო
შენებით და ფანდურ-ხმითა.
ობლობაში გამოზრდილო,
მამა ფრონტის მსხვერპლი
გახდა,
აირია ცხოვრება და,
როცა საქმე ასე წახდა,
თვით ეთერი, დედა მართვეთ,
გახდა კევრის წინამძღვარი,
გუთნის ხნულში
პურს ეძებდით,
არასოდეს გამაძღარი.
იწვალეთ და ივიშვიშეთ,
ვინ დათვალოს გაჭირვება,
მშიერსა და შიშველ-ტიტველთ
ღმერთ გაძლევდათ მოთმინებას.
დრომ თავისი გაიტანა,
მოაწია ბედის ზარმა,
ბუხულო გამოგიგზავნა,
აღმოსავლეთს მოსულ ქარმა.
დედამთილს ხელი ჩასჭიდე,
გამოუყე „დამოჟნის გზებს“,
თურმე აქ ჩაი გელოდა,
გიშენებდნენ იმედის მთებს.
ისლის სახლში მოგიყვანეს,

წვიმა მოგდიოდა თავზე,
შენი ლამაზი ქალიშვილობა
გაცვალე თოხსა და ბარზე.
ჩაის კრეფით იყავ „სტახანოველი“,
სოფლად უპატიოსნესი,
ლამაზი და მშრომელი,
ჯარიდან რომ ქმარი
დაგიბრუნდა სახლში,
თქვენ შვილები არ გაგიჩენიათ ძნაში!
დაახვედრე სახლ-კარი,
გაუხარე გულია,
შვილებიც გამოუჩინე,
ხარობს ქართლი-გურია!
კიდევ სახლი, დიდზე დიდი,
კვლავ შრომა და შენება,
საამაყო იყავ მუდამ,
ნიგოითის მშვენება!
აი, მაგალითი დიდებული,
რა შესძლებია თურმე სიყვარულს,
სიმღერას ორთავ ხმაზედა,
დილით გხედავდით მიმავალს
თოხით და ბარით მხარზედა,
საღამოს რა გამღერებდათ
ოფლში გაწურულთ ძალზედა?!
ისწავლეთ, შოლტით მოგვდევდით,
არ დაგვეკარგა წამია,
უცოდინრობა იცოდეთ,
შავი, უკუნი ღამეა...
ჩვენც არ ვზოგავდით,
ქვიშანათს გეხმარებოდით ჩაშია,
ხან ბარით ხელში, ყანაში,
არა და?
გაგვიძახებდით კარშია!

გადაიქროლა ცხოვრებამ,
მერანს გაუცვდა ფლოქვები,
ჭიხვინის თავი არა აქვს,
ისმის სამრეკლოს ლოცვები!
გაგიტანიათ ლელო და
სახლში რამდენი ქალია,
ლელა, ბელა და ირინა,
ლია, თამარი, მარია!
კაცნი, ლომგულნი
ვაჟკაცნი,
სამშობლოს ფარი-
ხმალია,
შვილთაშვილები:სალი,
ირაკლი, დავითი,
საბა გულგასახარია, ...
ნისლი დაფარა
ღრუბელმა,
მზემაც გამოყო
თავია,
წინ მამაღმერთი
გიძღოდეთ,
გფარავდეთ
დედა —მარია!

05.01.2013

დედას (მოთქმა) ნამღერი

სიცოცხლის გზა
ძალზე რთული
გადაიარე,
ამ ცხოვრების
ქარტეხილში
სად არ იარე.
ობლობაში
გაიზარდეთ
ექვსი და-ძმანი;
სირო, მიტო,
შენი შურა,
ანა, თამარი.
გიწინამძღვრა
შენმა დედამ —
ეთერ ბებიამ,
ეჰ, ვინ იცის
გაუმხელი
დარდის ბედია!
გვერდით მამა
გიმაგრებდა
უღელს ბედისას,
სულ მღეროდით
იმედიანს,
არა სევდისას!
მაშინ, როცა
ეს ცხოვრება
ძალზე ტკბილია,
ტკივილმა
არ მიგაკარა
თვალზე ძილია!
შვილთაშვილი
ხომ იხილე

და გაიხარე,
ლელა-ბელას
ბუხუს მოვლა
ხომ დაუბარე.
ბოლოს გაგა
გიკოცნიდა
გულს და თვალებსა,
შვილიშვილის
მოლოდინში
ხვრეტდი კარებსა.
გელას, ლელას, ბელას
ბედის
ნატრული გახდი.
როცა ჯერი
მათზე მიდგა
დაგიდეს ლახტი!
მაშინ, როცა
გჭირდებოდი
იქ არ ვიყავი,
ვერა დედი,
ვერა დედი,
ვერ დაგიცავი!
რისთვის უნდა
დედას შვილი,
ერთი მითხარი!
ბოლო დღეზე
მოგისწარი,
გავხსენ
ჭიშკარი!
იმ ერთ ღამეს
მოგეფერე,
მერე დაგტოვე,
ჩაგაბარეთ
ექიმებს და ჩვენ მიგატოვეთ!

იქ, რაც მოხდა
მხოლოდ ღმერთმა
იცის განგებამ,
დაგვანგრია,
გული მოკლა,
მძიმე წამებმა!
მამას როგორ
მოეფერე,
უთხარ სათქმელი,
ჩემო დედი —
ნათელს იყავ,
გენთოს სანთელი!
ამას არ ვწერ,
დედი, ლექსად,
მოთქმით
ვმღერივარ,
ჩემო საყვარელო
დედი,
შენთვის
ბნელი ვარ!
რომ კვდებოდი,
მიხვიდოდი,
ყველას გვითხარი,
ვერა დედი,
ვერა დედი,
ვერ დაგიცავი!
როგორ შეხვდი
ვაჟკაცურად,
ვდნები
დარდისგან,
ჩაგაბარეთ
მაღალ უფალს
გიხსნას ავდღისგან!
დედი,

როგორ მენატრები,
რა ვქნა
მითხარი,
როგორ მეტყვი,
დაგიჭედეს
კუბოს ფიცარი!
შორს ვიყავი
დედი შენგან,
ახლაც შორია,
ტირილს, მოთქმას
ლოცვები სჯობს,
ასე მგონია!
ლოცვით
მაინც შეგეშველო
მარტო დარჩენილს,
ასეთია
ჩვენი ხვედრი
დღიდან გაჩენის!
მაშ მშვიდობით,
ჩემო დედი,
არა, ნახვამდის!
მანდ
რომ მოვალ,
მერე გეტყვი,
ვერ ვთქვი
აქამდის!
შენ ხე იყავ
მსხმოიარე,
ნაყოფიანი,
ამ სამყაროს
ამშვენებენ
მხარბეჭიანნი!

ხელის გულზე
ვინ მოიწვას
ერბო-კვერცხია,
ფანჯარასთან
მიჭიკჭიკებს
ჩიტი „მზეწვია“!

25.01.2014

დეიდა თამარს!

თამარ! თამარ! თამარ!
ხმა გაისმა სახლში,
გეძებს შენი მიტო,
არ გამოჩნდი კარში!
პასუხს არ სცემს
არვინ,
დათარეშობს ქარი!
სიყვარულით განვლეთ
თქვენ ცხოვრება დიდი,
როს გაიდო მყარი
ერთგულების ხიდი.
ჩაამწკრივეთ რიგში:
შოთა, ციცო, ნუგო,
ნაბოლარა ირმა,
კაპარჩხალა თინა.
ასწავლიდით შვილებს
მუდამ გქონდეთ რიდი,
იცანთ კეთილი და,
წინ იარეთ, მიდი!
სახლი იყო სავსე,
თავს ვიყრიდით ყველა,
ბოლოს გსტუმრებიათ
გურიიდან ლელა.

... ყველას პატივსმცემელი,
ყველას დამპურებელი,
ყველას გამამზითვებელი
თამარ დეიდას ხელები!
ობლობაში გამოზრდილო,
რამდენი ცრემლი გიღვრია,
იმდენი რამე გადაგხდა,
ატირდებოდა ნიბლია!
... მუხებს მონატრებია,
შენი ხელის შეხება,
ყველას ჩამხუტებელო,
ახლა არვინ გეხება!
დათარეშობს ქარი,
ჩარაზულა კარი!
... ისევ ჭირდები შვილებს,
ირმა გეძახის, დეი:
„გოჩას დარდს ვერ გაუძელ,
ჩამოგვიბნელე დღეი!
უშენოდ რაა სახლი,
უშენოდ რაა შვილნი,
შენ დედა-ბოძი იყავ,
გთხოვ, დაგვიბრუნე ძილი!
ვერ ჩაგეხუტე გულში,
ვერ დაგიამე დარდი,
მაშინ ვერ გითხარ, დედი,
შენ საფიცარი მყავდი.
მე მკვდარი მქონდა გული,
მეორედ შენზედ მოვკვდი,
ნეტავ გეცოცხლა ჩემთვის,
სხვას არაფერს არ გთხოვდი!
ერთად ილოცეთ ჩვენთვის,
ძალა მომეცეს დიდი,
მეც შევძლო მივცე შვილებს,
ქართველებად რომ გვზრდიდი“!

11.02.2013

დეკემბრის თვეში — ქრიზანთემას

წუხელის თოვდა...
აგივსო ყელი
თეთრი ფიფქების
უსაზღვრო ცვენამ,
ძირს მიწა გითბობს,
დგახარ ძლიერად...
გაკურთხოს ზეცით
ღვთიურმა ზენამ!

25.12.2011.

გოჩას! მ ხ ა ტ ვ ა რ ი!

ამაზე მეტი რის გაკეთება
შეუძლია კაცს?!
მოხატო ეკლესია...
შენი დაწერილი ანგელოზები
აფრინო თაღს!
უყურო ღვთისმშობელს და
ავედრო ქვეყანა მას!
აუნთო გული
მორწმუნე დას!
მამაოს თვალთაგან
გადმომსკდარი
ნიაღვარი
შეუერთდეს
ცრემლების ზღვას!

01.12.2012

ვუძღვნი ჯემალი აფხაძის ხსოვნას

ძმად მეგულვოდი იმ დღიდან, ჯემალ,
როს გაგიცანი სახემღიმარი,
გლახა გულის ვარ, ვერ დაგიტირე,
არ ვნახე შენი ცივი ცხედარი.
დე, იყავ ჩემში მუდამ ისეთი,
როგორიც ახსოვს ჩემსა გონებას,
ჯემალი თბილი, ჯემალი ტკბილი,
სიმღერა, სიტყვა და შთაგონება.
ადამიანი — უპირველესად —
ქრისტესმიერი, მოყვასი მოყვრის,
პატიოსნება, ნამუსი წმინდა,
გამობრწყინება ქართული მოდგმის.
მე ვინ ვარ ნეტა?... კრძალვით ვიგონებ
შენს ომახიან მრავალჟამიერს,
შენ გაფასებდა შენი ქალაქი,
შენ ყველას, ყველას უყვარდი ძლიერ!
ნეტამც იმ დედას, ვინაც გაზარდა
შვილი სწავლული, ალალ-მართალი,
კარგი მეუღლე, ტკბილი მამიკო,
ტრადიციული ლელოს გამტანი.
ვერვინ გადუვა განგებას ღვთისას,
იძინე ტკბილად, მარადის ძილით,
არ მოგაკლებენ სანთელ-სარკმეველს
შენი მშობლები, ცოლი და შვილი.
დასანანია, ლანჩხუთის ქუჩებს
ვეღარ დასერავს ჯემალის გული,
დე! იმზერგძელოს ინგამ და გიგამ,
იქ გაახაროს მამიკოს სული.

05.02.2001

ფელოს ხსოვნას

საქართველოში გაზაფხულია,
ისმის ჩიტების, ბულბულის სტვენა,
იებმა ლურჯად გადიღიღინეს,
შენ სად გიმუხთლა, ფელიქსი, ბედმა,
აქ იზრდებოდი ლამაზ ოჯახში,
ბებოს და ბაბუს ხვევნა-ალერსში,
აროს და აკოს ლამაზო ძმაო,
რატომ გამოწყდი ტოლ-მეგობრებში.
იყავ კეთილი, ჭკვიანი, სათნო,
იყავ მებრძოლი, გმირი, რაინდი,
როს შენს სამშობლოს უჭირდა ძლიერ,
გვერდით დაუდექ გაუსაძლისში!
... როგორ უხდებოდი შენს უბანს,
შენს საძმაკაცოს, ფელო,
ნუთუ არ გაივლი ლამაზად,
ნუთუ არ გამოხვალ, ფელო,
ჩვენ ვიცით რომ შენ აქ არ ხარ,
შენ ხომ წასული ხარ შორეთს,
ჩვენ გელით ყოველთვის, მარადჟამს,
„უფრთხილდი ბობოქარ მორევს“!!!
დედა გაფრთხილებდა, დაღლილი შრომით,
ქართველი ქალი მოშიში ღვთისა,
უპატიოსნეს ოჯახის შვილი,
გამზრდელი ქვეყნად სამ ვაჟკაცისა.
არას ითხოვდა არვისგან იგი,
მხოლოდ სიკეთე და სიყვარული
და სათნოება ამქვეყნიური
ჰქონოდათ უხვად ღვთისკურთხეული.
ცელქები იყვნენ საოცრად ვაჟნი,
როს გაიზარდნენ, გახდნენ დამჯერნი,

მათ იქორწინეს ნამდვილი ლხინით,
ქალნი შეირთეს ქებული ხიბლით.
გაჩნდა პატარა, ხარობს ყველანი
და, როცა იყვნენ ბედნიერებით გაბრუებულნი,
ბოროტმა ძალამ იჩინა თავი,
ვერ შეამჩნია იგი ვერავინ.
... მერე ჩამოდგა მატარებელი,
რომელიც ფელომ ჩათვალა მისად,
კოცნით დატოვა ირგვლივ ყველანი,
არ მოიხედა, გაფრინდა დღისად.
... იყო ბედნიერი დღეები
გატარებული ცოლთან,
იყო მონატრება ძლიერი
მოშორებული თქვენგან,
იყო უდიდესი სიხარული —
შვილის მოვლინება ქვეყნად,
იყავი მამა წამიერი,
წაგყვა შვილის დარდი ზეცად!
... ძლიერო დედავ, წუთით შეჩერდი,
ეს ფელიქსია, გესმის მისი ხმა?
პატიებას გთხოვს, მიმტევებელო...
„შენ უნდა შეძლო!“ — ისმის ზეციდან.
... „მე ხომ სიცოცხლე მინდოდა,
ჩემი გოგონას გამოზრდა,
ნუ გამიწყრები დედიკო,
აზრზე არა ვარ რა მოხდა.
ხომ გაგახარე დარეკვით,
მონატრებულმა ძალიან,
თურმე აქ წყდება ყოველი,
უკანასკნელი ზარია.
გულით მინდოდა, მადონა
მყოლოდა როგორც ფერია,

რა მოხდა, რად ვერ ვიხილე,
სადღაც გავფრინდი მგონია.
ნუთუ ვერ გნახავთ ვერასდროს,
ნუთუ დამთავრდა ყოველი,
მე ხომ მიყვარდით ძალიან,
ვარ თქვენი ხილვის მდომელი.
გულით გთხოვ, ჩემო დედიკო,
შენ არ გიხდება ტირილი,
გამომიზარდე გოგონა
იმ შენებური ღიმილით.
ნუ დამიჩაგრავ არკადის
ჩემსა პატარა ძამიკოს,
ნუ, ნუ მოაკლებ შენს სითბოს
ჩემს ახალგაზრდა მამიკოს.
დაგბრუნებოდეთ მშვიდობით
ჩემი უფროსი ძამიკო,
გთხოვ, მაპატიო ელმირა
შენ, ჩემო ტკბილო დაიკო.
ყველა გამიგებს და ბოლოს
ჩემი ერთგული მადონა,
ვაგლახ? მიმტყუნა განგებამ,
შენ ცხოვრებიდან განმდევნა,
დაიზრდებიან ბავშვები,
ფელოც მათ შორის იხარებს,
ეს დიდი ტრამვა, რაც ნახეთ,
ასწლეულობით იკმარებს.
გემშვიდობებით სუყველას,
ვინაც მიტირეთ გულითა,
მე არ მომკვდარვარ, დედიკო,
ზეცად ავმაღლდი სულითა.“!

24.03.1998

ვუძღვნი სედას ხსოვნას

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის
და სევდა ძლიერდება თანდათან,
შენზე ფიქრს, შენზე დარდს რა მოშლის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ.
ვუყურებ შენს ფანჯრებს დროდადრო
და გელი მომღიმარს სედაჯან,
დუმილით მოცულა ყოველი
არ ჩანხარ, ლამაზო, შენს სახლთან.
... შენ ხომ სიცოცხლე გინდოდა,
სხვა რამ სადარდო არ გქონდა,
შვილების ფრენით ხარობდი,
მათი ჭიკჭიკი გათბობდა.
სიცივემ წაიღო ყოველი,
ჩვენი გულთბილი შეხვედრა,
შენი უზადო ღიმილი,
შენი ლამაზი შეხედვა.
... .და ისევ მოვა ზაფხული,
ყველა გამოვალთ ქუჩაში,
ვაი რომ, ჩემო ძვირფასო,
შენ არ იქნები იმათში.
ყველა დაგტირის გულითა,
მაგრამ რა? ვერვინ გაცოცხლებს,
ცივ სამარეში გძინავს და
შენ განისვენებ სამოთხეს.
დაგტირის შენი შვილები,
შენი ადა და იანა,
გული მოუკალ, მოგლიჯე,
ვინ მოუშუშებს იარას?!
საყვარელ მამას შესტირის
შენი ნანატრი შვილები,
მის უბეს მოჰფარებიან,
როგორც ობოლი ჩიტები.
ობლობის მძიმე უღელი

რატომ დაადგი კისერზე,
სიცილ-კისკისით მიმავალთ
დედა არ ხვდება კიბეზე.
გეძახის შენი შვილები,
მათ მოენატრე ძალიან,
შენ აღარ მოხვალ არასდროს,
ცხოვრება წარმავალია.
სურათით მოგიგონებენ,
იქ ხომ იცინი საყვარლად,
ასეთი დარჩი მარადის,
გულს დარჭობილო ლახვარად.
ვაგლახ, გაფრინდა ყოველი
შენი ფიქრი და ოცნება,
დარდი არაფრის არ გქონდეს,
„ის“არვის დაემონება.
გავა დრო, დღეთა მკურნავი,
შვილებიც დაიზრდებიან,
შენსა მუდმივსა სამყოფელს,
ხშირ-ხშირად გამოჩნდებიან.
„დედა, ძვირფასო, ლამაზო“,
ისმის ძახილი ადასი,
თავს შვილი წამოგდგომია,
ხმა არ ჩამოდის მადამდის?!
დარბის, დაგეძებს იანა,
ვერსად გიპოვა ცოცხალი,
სად ხარ, შვილების ერთგულო,
დაბნელებულა ცისკარი.
ცეკვით დაგვტოვე, სიცილით,
მაღლა იყავი ცათამდის,
ჩვენ, ყველას დაგვემშვიდობე
და გზას დაადექ მარადის...
ყველამ გიტირა სულითა,
გულითა ამით მართალით,
მშვიდად იძინე, ძვირფასო,
არ ჩაქრეს შენი ლამპარი.

16.12.1986

ზაქარია შავერდაშვილის ხსოვნას

ძვირფასი მამა, მამა, ო, მამა,
ზესახიერი ღვთაება, რაღაც
ენითუთქმელი გამბედაობით
გულგავსებული.
შედუღაბებულ რკინის მკლავში
ულევი ძალით,
ნათელი შუბლით, კაცურკაცობით
გამოჩენილი,
მან თქვა თავის სათქმელი ქვეყნად,
ბევრს, ბევრს, აჩუქა
სიცოცხლე ერთხმად.
არ გაიხსენა ამქვეყნიური
ოჯახი თვისი, ცოლი და შვილი,
და დათმო ყველა,
მას ეყო ძალა და ანაცვალა
სიცოცხლეს ქვეყნად.
საოცარია, მაგრამ ეს მოხდა.
წევს, განისვენებს
იმქვეყნად ეხლა.
და თქვენ გგონიათ,
დამთავრდა ამით?
არა, ო, არა,
მისი სიცოცხლე
აქ არის მარად.
მისი შვილებით გრძელდება აწი,
მე ახლაც, ნაირ,
ყურში ჩამესმის
გულისმომკვლელი ქვითინი შენი —
„ო, ღმერთო ჩემო,
არ მეყოლება

მე აწი მამა“,
თქვენ განიცადეთ
სულით ხორცამდე
ეს დიდი ტრამვა.
... ნაირ და ზაზა,
არ ვიცი განა,
რარიგ უყვარდით
თქვენ მშობელ მამას?
როგორც არწივი
თავს გადგათ ისე.
ის გმფარველობდათ
და გზრდიდათ ისე,
როგორც ნამდვილსა
მამულიშვილებს.
მას გაუმართლა თქვენით, კარგებო,
ვიტყვი ხმამაღლა,
რამეთუ თქვენა
ღირსნი ხართ ქების
და ახლა, როცა
ჟამია სევდის,
მხრებით გიჭირავთ
უღელი დედის,
ო, დედის, დედის
გულმოკლულ დედის.
... მამის ოცნებას ფრთები შეასხი,
ძირს დაცემული, ცამდე ახვედი,
შენსა სტუდბილეთს
დედა ცრემლს აფრქვევს,
აღარ გყავს მამა ამის დამხედი.
ვერც ზაზა ნახა
მხედრის ფარაჯით,
ჯარისკაცია შენი ვაჟკაცი!

და ისიც იტყვის თავის სათქმელსა
და გაახარებს თავის გამზრდელსა.
დე! ასეც იყოს,
ჩვენა გვწამს თქვენი,
შეამსუბუქეთ ვარამი დედის,
თქვენ არ მოაკლებთ
მამის საფლავსა
წითელ მიხაკებს,
გულმოსაკლავსა.

20.09.1984.

ედო ადამოვს

ედომ დაფნა დარგო,
გაიზარდა დიდი,
წვერს და ზეცას შუა
გაუდია ხიდი.
თოვლი აწევს ტოტებს,
ქარი ნელა არხევს,
ედო აქ არ არის,
შენივთია სახვევს!
ტოტზე ფოთლებს გვერდით
კოკრები აქვს მრგვალი,
გაზაფხული გახეთქს,
გაიღება კარი.
დაფნის ფოთლებს ახსოვთ
მოფერება დიდი,
კვლავ გაიდო ხიდი,
სული ზეცას მიდის!

31.01.2014

რუსო მაყაშვილს

უამრავია შვილმკვდარი დედა,
ან რა გამოლევს ძაძიან ქალებს,
შენ სატკივარი გარგუნა ბედმა,
აღემატება ყოველგვარ ძალებს.
ორ ვაჟკაცს ზრდიდი ქვეყნის სახელად,
სულითმაღალო, რაჭველო ქალო,
მუდამ მხრებს გედგა მძიმე უღელი,
გაუტეხელო, უდრეკო რვალო.
ქარტეხილებმა გადაიარეს,
აისს ელოდი ვარდისფერს, მზიანს,
გულით ხარობდი ანით, საბათი,
გხედავდი მზრუნველს, ამაყს და ზვიადს.
ამქვეყნად ყველა ახალწლით ხარობს,
ახალწლის დილა შეკრთა შენი ხმით,
მისდევდი შვილს და ვერ დაეწიე,
ვერ აღიმართე ფარად იმის წინ.
... და უძლურია დედა ყოველთვის,
როცა ბობოქრობს ქვეყნად სატანა,
სადაც არ არის ძმობა, ერთობა,
მეგობრობა და ერთურთგატანა.
მაგრამ ამქვეყნად იმედი მეფობს,
დე! მომავალი გქონდეთ ნათელი,
საბას ფარავდეს ღვთისმშობლის კალთა,
ედიდებინოს მამის სახელი!

02.08.2005

ნანული ივანოვა-ბიტკაშის ხსოვნას

გუშინ გეპკურა წვეთები აიაზმის,
გუშინ ცურავდი ცრემლების ზღვაში,
გუშინ ამშვენებდი ჯვრიან კატაფალკას,
ყვავილებს გვჩუქნიდი გზაში.
გუშინ შეგეშველა დიდი წირვა,
ლოცვა — აღვლენილი ცაში,
გუშინ შეჩერდა მოძრაობა,
იკითხეს — „საქმე რაშიაო, რაში?!“
გარდაიცვალა ძვირფასი ნანული,
მოკვდავი, ვითარცა კაცი,
ადამიანი სიკეთის მთესველი,
ფრთიანი ანგელოზის მზგავსი.
მან შექმნა ოჯახი ლამაზზე ლამაზი,
იცხოვრა ყველა წესის დაცვით,
დატოვა ძვირფასი მეუღლე და
ქალ-ვაჟი ვარსკვლავნის მსგავსი.
გუშინ მიგაყარეს პეშვით მიწა,
შენ კი დაივანე ცაში,
იქნები საუფლოში ღმერთთან ახლოს,
ხსოვნით კი იქნები სახლში.
იქნება დღეები არა წვიმიანი,
ღრუბლებს გაფანტავს ქარი.
იქნება შენს ოჯახში ლამაზი პატარძალი,
იტირებს პატარა ბავშვი.
იცეკვებს ანჟელა პატარძლის სამოსით,
შენ რომ გინდოდა იპოვის ისეთს,
ცხოვრება ისევ გაგრძელდება,
შენ კი განათლდები მზისებრ.
... გუშინ დღე იყო მოწყენილი,
ყვავილებს გვჩუქნიდი გზაში,
ნათელი გზა გქონდეს, ძვირფასო ნანული,
იფრინე ღრუბლების ძნაში.

17.09.2003

ნოდარი შიხიაშვილის ხსოვნას

დიდი სიყვარული გვაჩუქე და
ტკივილიც უსაზღვრო მოგვაყენე,
ერთად ვიმგზავრეთ და დავმეგობრდით,
ერთად გადავლახეთ დიდი ღელე.
ერთად ვილოცეთ და ვიტრაპეზეთ,
უფალი ვადიდეთ და ვიხალისეთ,
თითქოს ერთ ოჯახში დავიბადეთ,
ახლა კი, როგორ გისაკლისებთ?!
ძმები შევიძინეთ თქვენი სახით,
ყველას უსაზღვროდ ყვარებიხარ,
ამაზე მეტი რა უნდა ინატროს,
კაცმა იმქვეყნად სამებიდან?!
შენს სახელს ყოველთვის მოვიხსენებთ,
შენს ღიმილს აროდეს დავივიწყებთ,
შენ კი დაუდექ ნუკრის გვერდში,
ამას გთხოვ: — ხშირად დაესიზმრე.
მისთვის ძნელია უშენობა,
ჩვენ ვინა ვართ და ვერ გივიწყებთ,
შენ საქორწინო წახვედი და
მხევალს უფალი გამოგირჩევს!

05.10 2010

ვუძღვნი ტატიანა დეიედას ხსოვნას

არ გადაშენდება ქვეყანა,
რომელშიც იშვა ქალი,
მოყვრის მოყვრულად დამხვედრი,
მტრისთვის ფხიანი ხმალი.
მეამაყებოდით დიდად,
როგორც გურამის დედა
ჯერ ახალგაზრდას სრულად,
წილად გხვდათ დიდი სევდა.
თქვენ გაიზარდეთ გურულ ოჯახში,
მაღალ ბახმაროს ძირში,
ძირგანახლების უბანში,
მრავალ დედმამიშვილში.
თქვენ გზრდიდათ ვარდო ბებია
უსაყვარლესი ქალი,
ქარტეხილგამონავალი და
დიდად ნაჯაფარი.
უშანგი ომმა გააქრო
ახალგაზრდული გულით,
მაგლონა ბედის განგებით
შეიქნა განწირული.
მაგრამ მას დარჩა გოგონა —
მაყვალა, თქვენი შვილი,
ის გამოზარდეთ ზიარად,
ყველას მიგიძღვით წვლილი.
იყო დრო მეუღლის გვერდით
იყავით ბედნიერი,
სამი ნამდვილი ვაჯკაცით
გააძლიერეთ ერი.
ვაგლახ, განგებამ გიმტყუნათ,
ადრე დაგტოვათ კენტად,
არ გატყდით, წამოიმართეთ

თქვენი ოჯახის ღმერთად.
მაშინ დაგაწვათ ცხოვრების
მძიმე უღელი ორმხრივ,
არ დაცემულხართ, უძლებდით,
თუმც დადიოდით ოხვრით.
თქვენ გაუძელით გამოცდას,
ნაწრთობო ქარტეხილში,
ფიქრი ოჯახზე, შვილებზე
არ გასვენებდათ ძილშიც.
რკინის ჯავშანი ტანს გიმშვენებდა,
სიდარბაისლე დიდი,
თქვენი სიტურფე შავმა დაფარა,
თუმც კიაფობდით ჩრდილშიც.
... წამომართულო თეთნულდად,
სპეტაკო, თეთრზე თეთრო,
ქალო, ვაჯკაცად ცნობილო,
ჩოლობარგს ერთადერთო.
დასაფიცარო რძალო ფირცხალაიშვილის გვარისა,
შენ წინამძღოლო ხარო, უთქმელო დიდი დარდისა,
გაუტეხელო რვალო, თვალშისაცემო ქალო,
ყინულებმჭრელო გემო, სწორუპოვარო ფარო!
შეუდარებელო არსებავ,
დედაო ერთადერთო,
შენი გაზრდილი შვილებით
ქვეყანა მძლეთამძლეობს.
ისეთი ღონიერები, როგორიც თქვენ იყავით,
ისეთი ჯიშიანები, როგორიც თქვენ იყავით,
ისეთი პატიოსნები, როგორიც თქვენ იყავით,
მტრისთვის პასუხის გამცემი, ასეთიც თქვენ იყავით!
და გაიმარჯვა სიკეთემ,
ხარობდით მათი ცქერით,
როგორ ლამაზად მოეწყვნენ,
ვერა ძღებოდით მზერით.

თამაზი, რეზო, გურამი,
გულის ძახილი თქვენი,
გამრავლდნენ, გახდნენ მრავალნი
გამოელიოთ მტერი.
შვილიშვილები უსაზღვროდ
გიყვარდათ, ეხვეოდით,
შვილთაშვილს შემოესწარით
ჯერ მხოლოდ ერთადერთის.
ახლა გინდოდათ სიცოცხლე,
წარსულს ჩაბარდა დარდი,
შენი შვილების მამულში
მეფობს წითელი ვარდი.
ოღონდ ცოცხალი ეხილე,
გიფრთხილდებოდა ყველა,
ცივ ნიავს არ გაკარებდა
იზო, ლალი და ლელა.
მაგრამ არ ძალულს შეცვალოს კაცმა,
ღვთის განაჩენი გარდუვალია,
ყველა კაცს მისი აღსასრული აქვს,
დავემორჩილოთ, ჩვენი ვალია.
... დღისით, უშიშრად ჰამაკში მწოლარს,
გინანავებდათ სიო ნეტარი,
ჩაგძინებოდათ ტკბილი ღიმილით,
თქვენ არ გიგრძვნიათ ჩხვლეტა ნესტარის.
გარდაიცვალეთ საოცრად ლამაზად,
ათასში რომ შეხვდება ერთს,
ამქვეყნიური სიზმრიდან
მოხვდით იმქვეყნად ანაზდად.
და განისვენეთ მარადის,
წახვედით ვალმოხდილი,
იცხოვრეთ სუფთა ქართულად,
მარადის — მშვიდი ძილი.
თქვენს ნეტარ სხეულს გასხივოსნებულს

ირგვლივ სანთლების ალით,
რკლად შემოეწნა შენი შვილები
ცრემლით აღვსილი თვალით.
იყო ცრემლები ზღვისფერი თვალებიდან,
მდუღარე დიოდა ქალთა,
იყო მოძღვარის მოციქულობა
დე მიეტევოს კაცთა!
ვერ გაგიყვანეს შენი ეზოდან,
არ ემეტებოდი შვილებს,
წესს ვინ გადუვა?... ნეტა ყოველთვის
ბებოს აყრიდნენ იებს.
შენ არ მომკვდარხარ, დეიდა ჩვენო,
შენზე პოემებს დაწერენ, კარგო,
დღესაც რიდი მაქვს შენი ხსენების,
ვშიშობ, სიტყვას რომ ვამბობ.
ვიცი, ჯავრი გაქვს, თქვენს შემდეგ —
ჩვენი სიშორის შიში,
არ ჩაინგრევა, მყარია
თქვენი გადებული ხიდი.
ჩვენი შვილები ჩაეხვევიან
და გაიხარებთ დიდად,
თქვენ კი, ნათელში იყავით მარად
და განისვენეთ მშვიდად.

25.12.1998

დედას!

არ გავადიდე შენი სურათი,
მინდა ცოცხალი მყოლოდე მარად!
დედი, რომ მოვალ, აღარ დამხვდები?!
სასაფალოზე მომელი კარად?
დედი, ვტირი მე, ...
ცრემლები მცვივა,
შემომჯარვია შენზე ფიქრები,
ნეტავ სადა ხარ?
მარტო ხარ, დედი?
— მიწაში ჩაგდეთ, როგორ იქნები?!
... მამა დაგეძებს
დღისით და ღამით,
ნატრულობს კაცი
შენს დასიზმრებას,
— ნახე წუხელის? რა გითხრა ჩემზე?
ყოველ რეკვაზე ის მეუბნება!!
გთხოვ, ყოველღამე
იყო მის გვერდით,
ის იქ მოგელის,
სადაც დატოვე,
შენი ადგილი
ცარიელია.
... შეუმსუბუქე
მას
სიმარტოვე!

31.03.2014

შენი ბორბალი

კუკიის მიწა არ ეყოთ ბიჭებს,
მიუბჯენიათ ფეხი მახათას,
ქვებს ამშვენებენ — შავ მარმარილოს,
ვინ, ვინ გაიგებს ქვეყნად სამართალს?!
ზოგი თავს იკლავს, ზოგიც სხვებსა კლავს,
ზოგს სხვები კლავენ...
ზოგს უცაბედად მოეპარება
ცელით დემონი,
ათასგვარია გასვლა ქვეყნიდან,
ვის რა ერგება, ან რას მოირგებს,
ზეცას გაფრინდა გალაქტიონი!
ამა სოფელს და იმავ სოფელში
დუღს ბობოქარი რიტმი ცხოვრების,
აქაც ტირიან, ოხრენ, გმინავენ,
იქაც გაისმის მოთქმა გოდების.
ერთადერთია ორთავ სოფელში
მარადიული ნავთსაყუდელი,
დახრილი თავით თუ გასწევ გუთანს,
არ დაგამძიმებს შენი უღელი.
და მაშინ სული იფრენს უფალთან,
იქ სამოთხეა, ირგვლივ წალკოტი,
დაატრიალე შენი ბორბალი,
ფრთხილად! აქვეა — გვერდით,
ბ ა ნ კ რ ო ტ ი!

01.12. 2013.

პასუხი მას-ყველაზე კარგს!

მე რითაც თავსა ვიწონებ,
ჩემი ქმარი და შვილია,
ჩემი ლექსებიც უბეში
გამიჩენ-გამომიზრდია.
მე რად მიწუნებ ლექსებსა?
ან რითმას, წყობას, კუპლეტებს,
ენას ვაჟასაც სწუნობდნენ,
მასაც უძღვნიდნენ ბუკლეტებს.
მე ვაჟას ნუკრის ცრემლი ვარ,
ხმელი წიფელის ფოთოლი,
იას ნეტარი სილურჯე,
ბალახით სავსე გოდორი.
ლექსების წერას არ შევწყვეტ,
სანამ პირში მაქვს სულია,
მოვა დრო, დამიფასებენ
ჩემი ქართლი და გურია.

15.10.2007

ჩემი წარსულით ვამაყობ

ჩემი წარსულით ვამაყობ,
ვამაყობ ჩემი აწმყოთი,
ჩემი ოჯახით ვამაყობ,
ვამაყობ ჩემი საძმოთი!
წარსულს კეთილად ვიგონებ,
მომავალს ვუმზერ იმედით,
ღმერთო, მშვიდობა მომეცი,
დამაჯილდოვე სიკეთით!
ვამაყობ სალი ქალით და
საბინო მხარბეჭიანით,

ელენიკოთი ვამაყობ,
ქათქათა ქერათმიანით!
მსურს ვიამაყო ჰერეთით,
თურქეთში ჩვენი მიწებით!
აფხაზეთს დაბრუნებით და
დიდ სამაჩაბლოს მიზნებით!
ქართველობით მსურს სახელი
გავითქვა ქვეყნად მარადის,
ყველამ გაიგოს, ვგუგუნებთ,
ჩვენ ვართ ყლორტები მარაბდის!

04.07.2013

და, შემოდგომა შემოიპარა

... და შემოდგომა შემოიპარა
ჩუმად, მალულად ჩემს ცხოვრებაში,
მე კი ვერა ვგრძნობ, დიდება უფალს!
იმიტომა, რომ ვარ — ფერებაში!
წლები განვლილი მე გავატარე
სიკეთის თესვა და შენებაში,
დასტურად ამის უფალმა მომცა
კარგი ქმარ-შვილი ედემის ბაღში.
დამასაჩუქრა მაღალმა ღმერთმა,
მე სალის ხილვით ვარ ბედნიერი,
ღმერთო მაღალო, მომასწარ იმ დღეს
წელგამართული ვიხილო ერი!
სიყვარულია თავი და ბოლო,
სწორად ცხოვრების კანონი ვრცელი,
უმორჩილესად ვითხოვ უფლისგან,
არ მოგეშალოთ მზიანი დღენი!

26.10.2007

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
დარდი დავმალე ძნაშია,
არც არვის დავესესხები,
ქვეყნად სიკეთის ქმნაშია.
კვლავ შემოდგომა დამდგარა,
ღვინო ლიცლიცებს ჯამშია,
სუყველას გულით დაგლოცავთ,
სითბო გქონოდეთ ჯანშია.
სულ სიყვარული მეფობდეს
ირგვლივ. მთასა თუ ბარშია,
წინ გასავლელი ბევრი მაქვს?!
მიფრინავს ჩემი რაშია!

28.10.2007

„პოეტი ხარო“

განაჩენ გამოტანილი
კედელს ავეკარ ირიბად,
ნატიფად ამოტვიფრული
წოდება დამრჩა სვირინგად!
დე! ღირსეულად ვატარო,
ფეხი ავუწყვო მათ რიგსა,
წმინდა გიორგი დამიცავს —
„ქურმუხისა“ და „სარკისა!“
ძე ღმერთი ყველას გულშია,
არავის ტოვებს ნაწყენსა,
მადლობელი ვარ, უფალო
რომ მომასწარი ამ დღესა!

01.11.2013

წარმოუდგენელი შეფასება

პოეტი ხარო,
გავბეცდი ლამის?!
უდიდებულესია
ჩემთვის ეს წამი!
ასეთი შეფასება?!
— წარმოუდგენელია...
არ მიფიქრია —
არც დღით,
არც ღამით!
მამამ გაიხარა,
იცის წიგნის
ფასი,
მისთვის ეს იყო
ქვეყნად
დიდი განძი.
თესლმა გამოიღო
ნაყოფი უცხო,
ჩემთვის
საოცრად მიმზიდველი,
ზოგისთვის უშნო!
მოხუცი
ცრემლს ღვრის, —
„ვამაყობ შენით,
ღმერთმა დაგლოცოს,
გაკურთხოს ზენით!“
ეს შეფასება
მივიღო როგორ?!
ღმერთო გადმომხედე,
დარდი მაქვს გოდორ!

10.20.2013

დალოცვა ჩემი

არ მოგეშალოთ წყალობა,
გულს გინათებდეთ აისი,
ალპულ ზონაში კი არა,
თქვენს ეზო-ყურეს ჰყვაოდეს,
სამოთხის ედელვაისი!

18.05.2014

სარჩევი

მე — საქართველოს ერთი კუთხე ვარ	3
გაიყიდა საქართველო	4
დედაო ღვთისა- მზეო მარიამ	5
უწმინდესს	6
დარიალის ხეობა	7
ქალბატონ ცისანა სარდალიშვილს	9
მლეთა	10
დავით გარეჯი	12
მესაზღვრე ბერები	13
მამათა ნატერფალზე ენძელას ეხარა	14
ბოლნური ჯვარი	14
ტანძია	15
წალკა, ბერთა	17
წალკა	18
რაჭა — ისმის „ ბინდისფერია სოფელი“	19
იმერეთი	20
საღამო იმერეთში	21
ცა — მოჭედილი ვარსკვლავით	21
კაცხის სვეტი	23
ანდრია კრიტელის ლოცვის დროს დაწერილი	24
მადლის მაძიებელი კაცი	24
და — ანასტასიას ლოცვა	26
ჰერეთის კარი	27
ქურმუხი	29
მას, ვისაც ეკუთვნის	29
საინგილო	31
მონატრება	32
ჩემი ლანჩხუთი	33
ლელა და ბელას	34
იყოს ქვეყნად მშვიდობა	35
„მე რომ სიყვარული მინდა“	36
არ მბეზრდება	37
„ოცი წლის შემდეგ“	38
გამოძახილი	39
უმისამართო	41
იმედის დილა	42

უძღვნი გაგას და ირინას ბედნიერებას 43
ვუძღვნი ჩემს შვილებს 44
აპრილს ვუმღერე 45
მარის 45
პატარა ირაკლი გოგეშვილს 46
პატარა — მარი დვალიძეს 47
ბელა გოგეშვილს 48
ლელა-ბელას 49
მზია აფხაძეს 50
გელას — საპირველსექტემბროდ 51
ამოძახილი 51
მაისია 52
ნინის და დიმას 52
ნინის დიმიტრისაგან 53
ნინის 54
საბას, სალის, ელენეს 55
ელენეს 56
ელენეს 56
ელენეს 57
სალომეს 58
სალის და საბას 59
მანანა ბებოს სალომესაგან 60
საბამ პირველად იხილა ვარდი 60
საბას 61
სალომეს 61
სალომეს გასეირნება 62
სალის 62
ზამბახები 63
ტიტები 63
გაზაფხულის ძალა 64
იასამანი 64
საბას 65
სალის ჩავიკრავ გულში და... 65
სალომეს 66
სალომეს 66
სალის 67
თებერვალი სალისია 67
საბას 68

რა სიხარული მაჩუქე	68
ეს რა გვრიტი მოფრენილა	69
იამ ააწყო ნაძვის ხე	69
პაწაწოს	69
საბას	70
გაზაფხულიც მოვა	70
გვრიტები	71
ერთგული ჩიტუნა	72
დეკემბრის თვეში — ქრიზანთემას...	72
გზის პირს ყვავილი შევნიშნე	73
ნასტია ბაბოს კიპარისი	73
ამოვა ია	74
ლექსი დედაზე	75
დედასადმი	76
მამას	77
ფენიჩკა ბებიას	78
ექსპრომტად დაწერილი	79
ოთხი დეკემბრის მთვარეს	80
ნეკოს პეპელა	81
პასუხი ნეკოს	81
ნინოს და რაჭველს	82
გოჩას	83
დიდების კარი	83
საშობაო	85
ბატონ — ლაშა ჟვანიას!	85
მამუკა ისაკაძეს	86
ვუძღვნი ნორა ისაკაძე — ომიაძეს!	87
სახლი ეული	89
ელენე ნუცუბიძეს	90
ნინო ფერიშვილს	92
ნონას! ბაჩალიაშვილი — როსტიაშვილი	93
ნონა დეიდას — ელენესაგან	94
ვუძღვნი — პატარა ირინას	94
ქალბატონ ნანას	95
ქალი ვიხილე...	96
ანასტასია ბახტაძეს	97
გერგეთელ ქალს!	97
ქალბატონ მარინა ტყემალაძე- ტაბლიაშვილს	98

იაკობ შონიას დედას	98
გია მერკვილაძეს	99
ძმა — ალექსანდრე წოწორიას	100
ზურა იაშვილს	101
ვეფხია მაჩიტიძის ლოცვა	101
უბისას, გელათის, მოწამეთას მოლოცვის შემდგომი ტრაპეზი	102
ძმებს სიხარულიძეებს	102
დავით კოპალეიშვილს	103
ვასილის	104
გულიკო ჟღენტს	105
მარის — მატევოსიანი	106
ელზა ხმალაძე-ხუბულურს	107
ნინო ხუბულურს	107
ნონა ხუბულურს	108
ოლიკოს!	109
ირინა გოცირიძეს	109
ოქრო წულუკიძე — კურტანიძეს	110
ინგა კურტანიძეს	111
ქალბატონ ჟუჟუნა შავერდაშვილს	112
ქალბატონ ლეილას	112
ოქრო გოგოს	113
ქალბატონ - თინათინ გაგუას	113
ვუძღვნი ქალბატონ ტანია გელანტიას	114
ცუგო ისაკაძე — ზანგურაშვილს	116
ქალბატონ ნინო ჯანგიძეს	116
საღამო კუკიაზე	117
ქალბატონ- ელენე მახათაძეს	118
ლეილა მასწავლებელს — გუჯაბიძე	120
ნანული ჩხარტიშვილს	121
ნანულის	122
ნაირა შავერდაშვილს	123
ნიკოლოზ აივაზოვს	124
სხვა ერის ხალხს-იონა იონანიძეს	125
ვუძღვნი ბატონ — შურა ომიაძეს	127
ბატონ შუქრი ჯაფარიძეს	129
გურანდას	130
მალხაზის და თამაზის	130

ვუძღვნი ანა ყაბანაშვილს 131
ცირა ჩოკორაია-ომიაძეს 132
ანა ყაბანაშვილს-სკოლისაკენ 133
ზურა სიხარულიძეს 134
ვუძღვნი ირაკლი სიხარულიძეს 135
ზუროს ბედნიერებას 137
მეგობრული გალექსება რამინისთან — გიუნაშვილი 139
თაკოს და ლევანის 141
გიორგი გველესიანს 144
ზვიად ჩინჩალაძეს 146
ბაბოს! 147
ვუძღვნი ეთერი ბაბოს ხსოვნას 148
დედას, თამარ სიხარულიძეს,
სამოცი წლისთავთან დაკავშირებით 155
დედის მოფერება „ჩემო კუდრაჭა“ 157
ვუძღვნი დედას 158
დედას (მოთქმა) ნამღერი 161
დეიდა თამარს! 165
დეკემბრის თვეში — ქრიზანთემას 167
გოჩას! მ ხ ა ტ ვ ა რ ი! 167
ვუძღვნი ჯემალი აფხაძის ხსოვნას 168
ფელოს ხსოვნას 169
ვუძღვნი სედას ხსოვნას 172
ზაქარია შავერდაშვილის ხსოვნას 174
ედო ადამოვს 176
რუსო მაყაშვილს 177
ნანული ივანოვა-ბიტკაშის ხსოვნას 178
ნოდარი შიხიაშვილის ხსოვნას 179
ვუძღვნი ტატიანა დეიედას ხსოვნას 180
დედას! 184
შენი ბორბალი 185
პასუხი მას-ყველაზე კარგს! 186
ჩემი წარსულით ვამაყობ 186
და, შემოდგომა შემოიპარა 187
მე ჩემი კალო გავლეწე 188
„პოეტი ხარო“ 188
წარმოუდგენელი შეფასება 189
დალოცვა ჩემი 190

2014
წელი

სონია და ამირან (გუხული)
გოგეშვილები

სალომე, ელენე და საბა

საინგილო. თამარის ხიდი